პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კავოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—59
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

სამშაბათი, 22 ივნისი 1926 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 140 (1595)

ბიბლიოთეკა
თბილისი

დ ღ ი უ რ ი

— მცირე ანტანტის კონფერენციაზე ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.
— დაამთავრა მუშაობა ერთა ლიგის საბჭოს ეკონომიურმა კომისიამ.
— შვეიცარიის ეროვნულმა საბჭომ არ [illegible] 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.
— გერმანია-საფრანგეთს შორის დაიდება დროებითი [illegible] ხელშეკრულება.
— ოსმალეთის რეაქციონერები ახალ შეთქმულებას ამზადებდენ რესპუბლიკის წინააღმდეგ.
— ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტში მუშტი-კრივი გაიმართა.

სამშაბათს, 22 ივნისს, საღამოს 6 საათზე შესდგება
საქართვ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
დასწრება ყველა წევრების და კანდიდატების სავალდებულოა
ს. ს. ცაკის მდივანი თოდრია

„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა ივლისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34, (ტელეფ. 10—49)

საამშენებლო საქმე და უცხოეთის კაპიტალი

მთელ საბჭოთა კავშირში დღეს გახურებული აღმშენებლობითი მუშაობა წარმოებს. საფაბრიკო - საქარხნო, კომუნალური და საბინაო მშენებლობა ფართედაა გაშლილი. თავის თავად ცხადია, ამ დარგში ჩვენ მრავალი სერიოზული დაბრკოლება გვეღობება წინ.

პირველ ყოვლისა საქმეს აბრკოლებს თანხების სიმცირე. ჩვენი საამშენებლო მოთხოვნილებები იმდენად დიდია, რომ მათი დაკმაყოფილება მარტო საკუთარი საშუალებებით შეუძლებელია დღეს დღეობით. ამავე დროს აღსანიშნავია საამშენებლო მასალების ნაკლებობა, რამაც ნიადაგი შექმნა მათზე ფასების სპეკულიატიური ზრდისათვის. ეს გარემოება ძალზე აძვირებს ჩვენს აღმშენებლობას.

უეჭველია ისიც, რომ ჩვენი საამშენებლო ტეხნიკა მეტად ჩამორჩენილია, მაშინ როცა დაწინაურებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ამ მხრივ, განსაკუთრებით ბოლო დროს, უდიდეს მიღწევებს აქვს ადგილი. საკმაო რაოდენობით არ გაგვაჩნია როგორც სამისო მოწყობილობა და იარაღები, ისე ნაკლებად მოგვეპოვება გამოცდილი ტეხნიკური ძალები და კვალიფიციური მუშები.

ყველაფერი ეს იწვევს ზედმეტ ხარჯებს ჩვენს საამშენებლო მუშაობაში, გავლენას ახდენს მის თვისებაზე, აგვიანებს დაწყებულ სამუშაოს დროზე შესრულებას. იშვიათია ჩვენში ისეთი შემთხვევები, როცა რომელიმე აღმშენებლობა წინასწარ გათვალისწინებულ ვადაზე დამთავრებულიყოს: ამის შემდეგ გაივლის მთელი თვეები და ზოგან წლებიც, სანამ ამა თუ სამუშაოს თავი მოებმება. ჩვენ კი დღეს ყველაზე მეტად გვესაჭიროება სიჩქარე აღმშენებლობაში, რადგანაც არსებული მოთხოვნილება ამ მხრივ გადადებას არ ითმენს და რამდენადაც აუცილებელია კაპიტალის სწრაფი ბრუნვა, როგორც საშუალებათა სიმცირის, ისე მშენებლობის ღირებულობის გაიაფების გამო.

როგორ უნდა მოუაროთ ამ საქმეს? თავის თავად იგულისხმება, რომ უმთავრესია საჭირო კაპიტალების ქვეყნის შიგნით დაგროვება. კერძოდ ამისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ გატარებას და სასტიკი გეგმიანობის დაცვას ჩვენს მუშაობაში. ამავე დროს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ტეხნიკურ ძალების მომზადებას. საჭიროა საფუძვლიანად შევითვისოთ ევროპა - ამერიკის ტეხნიკური მიღწევები.

გარდა ამისა, საამშენებლო მუშაობაში ჩვენ უნდა მოვიზიდოთ უცხოეთის კაპიტალი და საამშენებლო ფირმები. ამ მხრივ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ კიდეც გამოსცა ამასწინად დადგენილება „საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე უცხო კაპიტალის დაშვების შეღავათიან პირობების შესახებ“.

დადგენილებაში გათვალისწინებულია საამშენებლო საქმეში უცხო კაპიტალის მოზიდვის სამი ფირმა: უცხოელ ფირმის რეგისტრაცია ჩვენ სამეურნეო ორგანოებთან საამშენებლო ხელშეკრულებათა დასადებად და შესასრულებლად; კონცესია საამშენებლო სამუშაოთა წარმოების უფლებაზე; შერეულ საამშენებლო საზოგადოებათა მოწყობა სახელმწიფოებრივ და კომუნალურ დაწესებულებებთან ერთად.

კონცესიონერს უფლება ენიჭება აწარმოოს საამშენებლო სამუშაო თავის ხარჯზე, ან აიღოს ამ დარგში იჯარა სახელმწიფოებრივ, კომუნალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დავალებით; მას საშუალება ეძლევა ამ მიზნით აავოს წარმოებანი საამშენებლო მასალების დასამზადებლად, უცხოეთიდან შემოზიდოს ხელშეკრულებაში გათვალისწინებული საამშენებლო მასალები, მშენებლობისათვის აუცილებელი მანქანები და იარაღები; გარდა ამისა, კონცესიონერს უფლება აქვს მოიწვიოს საზღვარგარეთიდან მაღალ კვალიფიციურ მუშების და ტეხნიკურ პერსონალის განსაზღვრული პროცენტი. მას ეძლევა ზოგიერთი შეღავათები მის მიერ აშენებულ წარმოებათა და შენობათა ექსპლოატაციის დარგში და სხვ.

თავის თავად ცხადია, კონცესიონერი თუ უცხოეთის ფირმა ვალდებულია საამშენებლო საქმეში დააბანდოს საკმაო კაპიტალი და გამოიყენოს უფრო გაუმჯობესებული, თანამედროვე საამშენებლო ტეხნიკა, აგრეთვე მტკიცედ დაიცვას საბჭოთა შრომის კანონმდებლობა. ყველაფერი ეს გათვალისწინებული იქნება სათანადო ხელშეკრულებაში, რომლის განხორციელებაზე ფხიზელი მეთვალყურეობა იქნება დაწესებული.

უცხოეთის კაპიტალს შეუძლია თვალსაჩინო როლი შეასრულოს ჩვენს საამშენებლო საქმეში. იგი რამოდენიმედ შეავსებს ჩვენი კაპიტალების სიმცირეს და უფრო კი ჩვენი საამშენებლო ტეხნიკის და მუშაობის ნაკლულევანებებს. გარდა მატერიალური ეფექტისა, უცხოელის კაპიტალის მოზიდვას მშენებლობაში ექნება ის მნიშვნელობაც, რომ ამით ჩვენ ადგილობრივ გვექნება შესაძლებლობა შევიძინოთ გამოცდილება საამშენებლო ტეხნიკის და მუშაობის დარგში.

უეჭველია, რომ უცხოეთის კაპიტალისტები თანდათან უფრო ფართე მონაწილეობას მიიღებენ იმ უდიდეს აღმშენებლობაში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწევა, როგორც იმიტომ, რომ მათ ენიჭებათ საკმაო შეღავათები, ისე იმიტომ, რომ ისინი ეძებენ ადგილს თავისი. ხშირად უქმად მდებარე კაპიტალების დასაბანდებლად. საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა, საბჭოთა კავშირის სამეურნეო აღორძინება წინ მიიწევს. და კაპიტალისტური ქვეყნები, მიუხედავად ჩვენდამი მტრობისა, იძულებული ხდებიან გააჩაღონ საბჭოების სახელმწიფოსთან ეკონომიური თანამშრომლობა. და ეს თავს იჩენს საამშენებლო საქმეში უცხო კაპიტალის მონაწილეობაშიც.

მაგრამ, ვიმეორებთ, უცხოეთის კაპიტალი მხოლოდ დამხმარე როლს ითამაშებს ჩვენს აღმშენებლობაში. ჩვენი სამეურნეო აღორძინებისათვის მთავარი გზაა საკუთარი საშუალებების დაგროვება, საკუთარი საწარმოო ძალების განვითარება, საკუთარი ტეხნიკური პერსონალის და კვალიფიკაციური მუშების საკმაო კადრის შექმნა.

პლებისციტის შედეგები გერმანიაში

20 ივნისს გერმანიაში პლებისციტი მოხდა ყოფილ სამეფო გვარეულობათა ქონების აუნაზღაურებელი კონფისკაციის საკითხის გადასაწყვეტად. შედეგი ასეთია: 14.400.000 მოქალაქემ კონფისკაციის სასარგებლოდ მისცა ხმა, ხოლო 538.000 წინააღმდეგ. ყოველი პოლიტიკურად „გაუნათლებელი“ ადამიანის თვალსაზრისით, ეს შედეგი იმის მაჩვენებელია, რომ დემოკრატიული გერმანია წინააღმდეგი ყოფილა ჰოჰენცოლერნებისა და მისი „მოკეთეებისათვის“ 3 მილიარდი მარკის ჩუქებისა. მაგრამ ომის მომდევნო ევროპაში დემოკრატიის ცნება შედარებითი ხასიათის ცნებაა. ინგლისში „დემოკრატია“ ნიშნავს ნოტების გზავნას საბჭოთა მთავრობის მისამართზე, რომ საბჭოთა პროფკავშირებმა დახმარება არ აღმოუჩინონ მემაღაროებს, საფრანგეთში „დემოკრატია“, ფინანსიური კაპიტალის დიქტატურას ნიშნავს, ხოლო იტალიაში „დემოკრატია“ ფაშისტების ძალმომრეობის აქტებში ხორციელდება. თანამედროვე გერმანიაც თავისებურ დემოკრატიას წარმოადგენს, რომლის გაგება ყოველ მოკვდავს როდი შეუძლია. იმ პარტიებს, რომელნიც გერმანიის დღევანდელ პარლამენტში მთავრობის უმრავლესობას წარმოადგენენ, თოთხმეტ მილიონ ნახევარზე ნაკლები ხმა აქვთ მიღებული უკანასკნელ არჩევნებში, ჰინდენბურგმაც მხოლოდ თოთხმეტ მილიონ ნახევარი ხმა მიიღო, მაგრამ მაინც პრეზიდენტი გახდა „ნებით ხალხისათა“. ამისდა მიუხედავად, მარქსისა და შტრეზემანის მთავრობა პლებისციტის ბელადებს ისე აფასებს, თითქო ხალხის ნებისყოფა კონფისკაციის წინააღმდეგ იყოს.

ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ არაფერი გვაგვება გერმანიის მთავრობის ამ პოლიტიკური არითმეტიკისა, და რომ არც დემოკრატიის ცნება გვესმის ისე, როგორც ბატონ მარქსა და მის მიმდევრებს ესმით.

მაგრამ ვაღიარებთ რა ჩვენს უმეცრებას, ჩვენ გვინდა ყველაფერი დაუჯეროთ გერმანიის დღევანდელ მმართველებს, გარდა ერთი რამისა: ჩვენ არ გვწამს, რომ გერმანელ მშრომელ ხალხს მართლაც სურდეს რომ თავიანთ განდევნილ მეფეებს და მთავრებს 3 მილიარდი ოქროს მარკა აჩუქოს. გერმანიის მშრომელ ხალხს თავისი ნებისყოფა დღევანდელ პლებისციტში პირველად როდი გამოუმჟღავნებიათ. 1918 წლის ნოემბერში მან ჰოჰენცოლერნების დინასტია დაამხო, მეფეები გარეკა. მაშინ მათ მილიარდებისათვის არ სცხელოდათ, სიცოცხლის შენარჩუნებას ლამობდენ. 1921 და 1923 წლებში მთელ გერმანიაში ბოლშევიზმის წითელი აჩრდილი დადიოდა და ბრწყინვალე ავაზაკები ვერ ბედავდენ ხმის ამოღებას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჰინდენბურგი პრეზიდენტათ აირჩიეს და გერმანია ანტანტის აშკარა კოლონიათ იქცა, მონარქისტულმა წრეებმა იგრძნეს, რომ დრო დადგა გერმანიის მშრომელი ხალხის წინააღმდეგ შეტევის დასაწყებათ. ამ შეტევაზე ამა წლის მარტში გერმანიის პროლეტარიატმა ღირსეული პასუხი გასცა. კომუნისტური პარტიის მემორანდუმს 12 მილიონმა მუშამ და გლეხმა მოაწერა ხელი, აუნაზღაურებელი კონფისკაციის სასარგებლოდ.

მას შემდეგ ორი თვე ნახევარმა განვლო, მაგრამ მოკლე ხნის განმავლობაში კომუნისტურმა პარტიამ მაინც კიდევ ორ მილიონ ნახევარი ხმა მიიმხრო თავის ლოზუნგის შემწეობით: „არც ერთი გროში მეფეების და მთავრების სასარგებლოდ“. ეს ფაქტი მით უფრო საყურადღებოა, რომ გერმანიის ბურჟუაზია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა კომუნისტური აგიტაციის შესაფერხებლად. მილიონები დაიხარჯა კონტრ-აგიტაციისათვის, მიღებულ იქნა ტერორისტული ზომები, შედგენილ იქმნა შავი სიები. წვრილ ბურჟუაზიული მასსების გადასაბირებლად ჰინდენბურგის „ზეპარტიული ფიგურაც“ გამოიყენეს. გამოქვეყნებულ იქმნა რესპუბლიკის პრეზიდენტის და ყოფილი იმპერატორის მთავარ სარდლის ჰინდენბურგის წერილი, სადაც, სხვათა შორის, სწერია: „ხალხის მისწრაფება ამ შემთხვევაში ეწინააღმდეგება უფლებრივ სახელმწიფოს წესწყობილებას, რომლის ურღვეს საფუძველს, კანონისა და კანონიერად აღიარებული საკუთრების პატივისცემა წარმოადგენს“. ჰინდენბურგმა ამ წერილში აღნიშნა, რომ მან მთელი თავისი სიცოცხლე იმპერატორის სამსახურში გაატარა და ხალხის მისწრაფება „უდიდეს უსამართლობად და ტლანქ უმადურობათ“ გამოაცხადა.

ჰინდენბურგის მოწოდების მიუხედავათ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაწყებულ მოძრაობას ახალი ორი მილიონ ნახევარი ამრჩეველი მიემხრო. თოთხმეტ მილიონ ნახევარმა გერმანელმა „ტლანქი „უმადურობა„ გამოიჩინა და სამეფო გვარეულობის ქონების კონფისკაცია მოითხოვა ღარიბებისა, ქვრივებისა და ობლების სასარგებლოდ.

ეს ძლიერი მოძრაობა ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის, ამ პლებისციტის მიუხედავად. ნამდვილი ბრძოლა სწორეთ ახლა იწყება. რეაქცია თანდათან უფრო თავხედი ხდება. მონარქიის აღდგენის მუქარა ძლიერდება. ამიტომ ბრძოლა, რომელიც სამეფო გვარეულობათა ქონების კონფისკაციისათვის დაიწყო, გაფართოვდება და გამწვავდება; ეს ბრძოლა მთელი ენერგიით მიმართული იქნება აგრეთვე მეფეების ლაქიებისა, აშკარა და ნიღაბაფარებული მონარქისტების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ბედი გადაწყდება არა პარლამენტში, არამედ ქუჩაში და გერმანიის პროლეტარიატი, თავისი რევოლიუციონური პარტიის, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მტკიცედ და გადაჭრით გამოამჟღავნებს თავის ნებისყოფას მონარქიის წინააღმდეგ, საბჭოთა გერმანიის სასარგებლოდ.

გეზა-გოლდ.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში გრძელდება

ერრიომ ვერ შეადგინა მთავრობა.—მთავრობის შედგენა ისევ ბრიანს მიენდო

ბრიანს განზრახული აქვს შედგინოს „რესპუბლიკანური კონცენტრაციის მთავრობა“

ერიოს პროგრამა

ბერლინი, 21 ივნისი. ერიო ადგენს ახალ საფინანსო პროგრამას, რომელსაც კაბინეტს წარუდგენს განსახილველად, თუმცა კაბინეტი ოფიციალურად ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული.

ერიოს იმედები

ლონდონი, 21 ივნისი. „დეილი მეილ“-ის პარიზელ კორესპონდენტის ცნობით, ერიო ფიქრობს კვირას წარუდგინოს პრეზიდენტ დუმერგს ახალი კაბინეტის სია.

ის ადგენს სამინისტროს პროგრამას და ცდილობს შეიყვანოს თავის კაბინეტში ზომიერი რადიკალები და სოციალისტები, გარდა თავისი პარტიის წარმომადგენლებისა.

პარიზი, 21 ივნისი. ერიომ დაამთავრა საფინანსო პროგრამის შედგენა. მას იმედი აქვს, რომ ხვალ შეადგენს კაბინეტს. თვითონ ერიო დაიკავებს გარეშე საქმეთა მინისტრის პოსტს, კაბინეტის შემადგენლობაში შეიყვანს თავისი წინანდელი კაბინეტის მინისტრების უმრავლესობას; პენლევე დაიკავებს ვაჭრობის მინისტრის პოსტს „ფიგარო“-ს გამომცემელი რომიე იქნება ფინანსთა მინისტრი.

ერიომ უარი სთქვა

პარიზი, 21 ივნისი. დღეს დილით **ერიომ უარი სთქვა კაბინეტის შედგენაზე. დუმერგმა კვლავ მიმართა ბრიანს, რომელმაც იმედი გამოსთქვა, რომ მოახერხებს კაბინეტის შედგენას.**

ბრიანი და პუანკარე

ბერლინი, 21 ივნისი. პარიზიდან მიღებული ცნობის მიხედვით, ბრიანს ორშაბათ დილით ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა პუანკარესთან, რომლის შემდეგ პუანკარემ განაცხადა, რომ მას უარი არ ეთქვამს ბრიანისათვის.

ისევ ბრიანი

პარიზი, 21 ივნისი. ელისეის სასახლიდან გამობრუნების წინ ბრიანმა განაცხადა, რომ ის უმრავლესობიდან შეკრებს ძალებს თავისი მისიის შესასრულებლად, რომელიც ამჟამად გაადვილებულია, რაკი თვითონ ერიოს მხედველობაში აქვს ფართო რესპუბლიკანური კავშირი. მან გადასწყვიტა შეადგინოს კაბინეტი.

ფრანკი

ლონდონი, 21 ივნისი. შაბათს ლონდონში ფრანკი დაეცა 176-მდე (ე. ი. გირ. სტერლინგი 176 ფრანკათ ფასობდა), მაგრამ საბირჟო კრების დამთავრებისას კურსი ისევ გაიზარდა და გირვანქა სტერლინგი უკვე 174 ხუთი მერვედი ფრანკი ღირდა.

ბრიანის გეგმები

პარიზი, 21 ივნისი. ბრიანს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა პუანკარესთან.

ჰავასის სააგენტოს წარმომადგენელს ბრიანმა განუცხადა, რომ პუანკარე წინანდებურადმზად არის ითანამშრომლოს კაბინეტში. ბრიანმა განმეორებით აღნიშნა, რომ ის აპირებს რესპუბლიკანური კონცეტრაციის კაბინეტის შედგენას. საფინანსო საკითხის უმთავრესი მნიშვნელობის გამო, ეს საკითხი განსაზღვრავს კაბინეტის ორიენტაციას. ბრიანს იმედი აქვს, რომ საღამოს პასუხს მისცემს პრეზიდენტ დუმერგს.

პერემ, პრეზიდენტთან თათბირის შემდეგ, ინახულა ბრიანი.

ერიოს მარცხის მიზეზი

პარიზი, 21 ივნისი. არც ერთი დილის გაზეთი არ ეხება ერიოს მარცხს. ერიო მთელი ღამის განმავლობაში მოლაპარაკებას განაგრძობდა საფინანსო გეგმის შედგენის მიზნით. მან მოიპატიჟა ფინანსთა სამინისტროში ბოკანოვსკი, დემოკრატიულ ჯგუფის წევრი შამპეტიე-დერპი და ეკონომიურ საკითხების სპეციალისტი ლიუსენ რომიე, აგრეთვე სპეციალისტი ბიუჯეტის საქმეში პიეტრი. ნაშუადღევს შესდგა თათბირი. თათბირზე გამოვიდა ბოკანოვსკი და განაცხადა, რომ ვერ შეუთანხმდა ერიოს მეთოდების საკითხებში.

შამპეტიე დერპმა აღნიშნა, რომ ორივე პალატის თვალსაზრისთა ზომიერება საკმაოდ ვერ იქნება წარმოდგენილი. მან სთქვა, რომ მას დარჩა უაღრესად საპასუხისმგებლო პორტფელები. მან დასტოვა თათბირი და თან გაიყოლია პიეტრი და ლუსიენ რომიე. ამის შემდეგ ერიომ თავისი ამოცანის განხორციელება შეუძლებლად სცნო და 7 საათზე პრეზიდენტ დუმერგს უარი უთხრა კაბინეტის შედგენაზე.

დუმერგმა მაშინვე გამოიწვია ბრიანი. ბრიანმა მიიღო წინადადება და განაცხადა, რომ ის დღევანდელ დღეს მხოლოდ ვიზიტებს მოანდომებს და ხვალამდე გარკვეულს ვერაფერს იტყვის. მან მაინც განაცხადა: „მე იმედს ვამყარებ უმრავლესობაზე, რომელიც მე მიჭერდა მხარს. ამ შემთხვევაში მე გადავსწყვიტე შევადგინო ძალიან ფართო რესპუბლიკანური კავშირის სამინისტრო, რომელიც შესძლებს ქვეყნის დამშვიდებას“.

შესაძლოა, რომ კაიომ და პუანკარემ დახმარება აღმოუჩინონ ბრიანს.

გაფიცვების ტალღა პოლონეთში

სისხლის მღვრელი შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის

რკინისგზელები და ფეიქრები გაფიცვის გამოცხადებას აპირებენ

პილსუდსკიმ ჯარიდან განდევნა ყველა თავისი მოწინააღმდეგენი

გაფიცვების ტალღა

ვარშავა, 20 ივნისი. **გრუდზენზში ტრამვაის მუშებსა და პოლიციას შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებები. დაჭრილია 10-მდე მუშა.**

გრუდზენზში, ტორნში და ვიდგომში გაიფიცნენ კომუნალური მუშები.

თამბაქოს მრეწველობის მუშებმა წამოაყენეს ეკონომიური მოთხოვნილებები და გაფიცვით იმუქრებიან.

მდგომარეობა მწვავდება აგრეთვე საფეიქრო მრეწველობაში. პროფკავშირთა წარმომადგენლებმა შრომის სამინისტროს განუცხადეს, რომ თუ საფეიქრო მუშების მოთხოვნილებები უარყვეს, გამოცხადებულ იქნება გაფიცვა.

ლოძის კომუნალურ წარმოებების და ლოძის რკ.-გზის ხაზის მუშებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან მხარი დაუჭირონ ფეიქრებს და წამოაყენონ თავისი ეკონომიური მოთხოვნილებები.

პრემიერმა ბარტელმა არ მიიღო პროფკავშირების დელეგაცია, რომელსაც [illegible] მიმართა პოლონეთში დაწყებულ საგაფიცვო მოძრაობასთან დაკავშირებით.

29-ის პროცესი

ვარშავა, 20 ივნისი. კოველში დამთავრდა პროცესი 29-ის, რომელნიც მიცემულნი იყვნენ პასუხისგებაში კომპარტიის წევრობისათვის. 4 გაამართლეს, ხოლო დანარჩენთ მიუსაჯეს ციხე, სხვადასხვა ვადით დაწყებული 2 წლიდან.

არმიის გაწმენდა

ლონდონი, 21 ივნისი. ვარშავიდან მიღებული ცნობით, სამხედრო უწყებიდან პილსუდსკიმ დაითხოვა 350 აფიცერი და 250 მოხელე.

პოლონეთი და ერთა ლიგა

პარიზი, 21 ივნისი, „ოფიციალური გაზეთი“ სწერს, რომ თუ მარტო გერმანია შევიდა ერთა ლიგის საბჭოში, პოლონეთიც დაჰკარგავს ინტერესს ლიგისადმი.

გალერის და შიებტიცკის გადადგომა

პარიზი, 21 ივნისი. პრეზიდენტმა ხელი მოაწერა გენერლების იოსებ გალერის და გრაფ შიებტიცკის გადადგომას. ორივე გენერლებმა თვითონ შეიტანეს თხოვნა გადადგომის შესახებ.

პორტუგალიის კაბინეტი

ბერლინი, 21 ივნისი. ლისაბონიდან მიღებული ცნობების მიხედვით, **საბოლოოდ შესდგა პორტუგალიის ახალი კაბინეტი.** გენერალმა კოსტამ პრეზიდენტ-მინისტრის პოსტთან ერთად მიიღო სამხედრო მინისტრის პორტფელიც. გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულია გენერა ლიკარმონა. კაბინეთში შედის 5 ოფიცერი და 3 პოლიტიკური მოღვაწე.

სკანდალი პარლამენტში

ბერლინი, 21 ივნისი. გუშინ ჩეხო-სლოვაკიის სეიმში ეკლესიის შესახებ ახალ კანონ-პროექტისათვის კენჭის ყრის დროს ადგილი ჰქონდა მღელვარე სცენებს, რომელნიც მუშტი-კრივამდის მივიდა.

დაბოლოს კანონ-პროექტი მიღებულ იქნა და კრება დაიხურა.

საფრანგეთ ესპანეთის მოლაპარაკება

პარიზი, 21 ივნისი. პარიზში საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენციაზე დადგენილ იქნა, რომ ახლო მომავალში ესპანეთის ჯარები შესცვლიან საფრანგეთის ჯარებს, რომელთაც ამჟამად ტურგუისტას რაიონი უჭირავთ. ჩრდილოეთ უეცანის რაიონში საფრანგეთის ჯარებმა 15 კილომეტრით წაიწიეს წინ.

პლებისციტის შედეგები გერმანიაში

კონფისკაციას ხმა მისცა 14½ მილიონმა კაცმა

რამდენს მოითხოვს სამეფო გვარეულობა

ბერლინი, 21 ივნისი. გამოცხადდა, რომ გერმანიის ნაციონალურ რეფერენდუმის შედეგები გამოქვეყნდება კვირას საღამოს 11 საათზე.

ლონდონი, 21 ივნისი. როგორც „დეილი მეილ“-ის ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება, კვირის ხმის მიმცემთა რიცხვმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

პრეტენზიები წარმოდგენილია ექსკაიზერისა და 23 სხვა ყოფილ პრინცის მიერ. ნაციონალისტები მათი ქონების ღირებულებას 175 მილ. გირ. სტერლინგით ანგარიშობენ, ანტი-მონარქისტები კი—215 მილ. გირ. სტერლინგით.

კონფისკაციის შესახებ კანონის გასატარებლად საჭიროა 19 მილ. 500 ათასი ხმა.

სოციალისტური პარტია ხმის მიცემის წინააღმდეგ მოუწოდებს ხალხს.

მთელი დღე სიცხე იდგა.

არის ნიშნები, რომ მრავალმა მილიონმა მარკამ, რომელიც ყოფილ პრინცებმა და მათმა მეგობრებმა მოანდომეს პროპაგანდას ნაყოფი გამოიღო.

18 საათის განმავლობაში 35 განყოფილებაში კონფისკაციას ხმა მისცა 7.339.762 კაცმა.

შეტაკება

პარიზი, 21 ივნისი. 15 მილ. ამომრჩეველმა, ე. ი. ჩაწერილთა 36 პროცენტმა, ხმა მისცა ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონების ექსპროპრიაციის სასარგებლოთ.

გალეში შეტაკების დროს მოკლულ იქნა 8 კაცი, დაიჭრა 20.

საბოლოო ციფრები

ბერლინი, 21 ივნისი. ყოფილ მეფის საგვარეულოს ქონების ექსპროპრიაციის საკითხის გამო კენჭის ყრის საბოლოო ციფრები ასეთია: მოსახლეობის 36%-მა ციფრები ასეთია: **მოსახლეობის 36%-მა ხმა მისცა ექსპროპრიაციას; მათ შორის ყველაზე მეტი ხმა მისცეს ბერლინში—66%, ჰამბურგში—52,5%, და ლეიპციგში—51,9%-მა.**

გავლენა ბირჟაზე

ბერლინი, 21 ივნისი. პლებისციტის შედეგების გამო ბერლინის ბირჟას დიდი სიცხოველე ეტყობა. უცხოეთის ჯგუფებში ბირჟისადმი ინტერესი ძლიერდება.

წინასწარი ცნობები

ბერლინი, 21 ივნისი. გუშინდელ რეფერენდუმში გერმანიის მოსახლეობის საერთო რიცხვიდან (50 მილიონი) არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 39 მილიონმა (?). ექსპროპრიაციას ხმა მისცა 14.400.000 კაცმა.

ექსპროპრიაციის მოწინააღმდეგე პრესა კმაყოფილია იმ ფაქტით, რომ იერიში კერძო საკუთრებაზე მოგერიებულ იქნა.

სოციალისტური და კომუნისტური პრესა აღნიშნავს, რომ გუშინდელ კენჭის ყრის დროს მათ აღმოაჩინეს 2 მილიონით მეტი მომხრე, ვინემ უკანასკნელ წინასწარ რეფერენდ-უმის დროს.

რ ე ი ხ ს ტ ა გ შ ი

ბერლინი, 21 ივნისი. რეიხსტაგმა, რომლის მუშაობა ერთი კვირით შეწყვეტილი იყო საპლებისციტო აგიტაციის გამო, ორშაბათს განაახლა თავისი პლენალური სხდომები.

რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისარმა მოისმინა გრაფ ბერნსდორფის მოხსენება ჟენევის განიარაღების წინასწარი კონფერენციის შესახებ და დაადგინა, რომ რადგან ჟენევაში არ განხილულა არც ერთი გადაწყვეტილება, რომელიც ვალდებულებას აკისრებდეს გერმანიას, კომისია არ ეწინააღმდეგება მონაწილეობის მიღებას განიარაღების სხვა კონფერენციებში.

„მაინერ ტაგე ცეიტუნგ“-ის აკრძალვა

ბერლინი, 21 ივნისი. მაინციდან მიღებული ცნობით, ინლანდის ოკუპაციაქმნილ რაიონში მოკავშირეების კომისიის ბრძანებით ერთი თვით აკრძალეს გაზეთი „მაინერ ტაგე ციეტუნგი“.

სტუდენტთა გაფიცვა

ბერლინი, 21 ივნისი. ჰანოვერის ტეხნოლოგიური ინსტიტუტში სტუდენტებმა გადასწყვიტეს ორშაბათიდან გაფიცვა გამოაცხადონ ნიშნად პროტესტისა იმ კომპრომისის წინააღმდეგ, რომელიც მიღწეულ იქნა ბერლინში პროფესორ ლენინგთან მომხდარ ინციდენტის გამო.

უმუშევრობა

ბერლინი, 21 ივნისი. ინგლისის სამხედრო მინისტრი **უორტინგტონ ევანსი წინასწარმეტყველობს უმუშევართა რიცხვის საგრძნობლად გადიდებას, თუ სამთამადნო მუშების გაფიცვა კიდევ 2—3 კვირით გაგრძელდა.**

მფარველობითი ტარიფების საკითხი

ბერლინი, 21 ივნისი. მოტფორდის საქსოვი წარმოებების პატრონებმა ინგლისის ვაჭრობის სამინისტროს სთხოვეს შემოღებულ იქნეს მფარველობითი ტარიფები უცხოეთის საქონელზე.

პრესა ფიქრობს, რომ ეს მოთხოვნილება უმთავრესად მიმართულია საფრანგეთის და ბელგიის საქონლის წინააღმდეგ, რომელზედაც, კურსის დაცემის გამო, მეტად დაბალი ფასებია.

დაუესის გეგმის გატარება

ბერლინი, 21 ივნისი. სარეპარაციო კომისიის სხდომაზე პარიზში გენერალურმა აგენტმა **პარკერ ჯილბერტმა** და გერმანიის რკინისგზების კომისარმა **ლეკერმა** განაცხადეს, რომ დაუესის გეგმას გერმანია დამაკმაყოფილებლად ახორციელებდა ამ გეგმის არსებობის მეორე წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაშიც.

ერთა ლიგაში

პარიზი, 21 ივნისი. ერთა ლიგის საბჭოს ეკონომიურმა კომისიამ, რომელიც შეკრებილი იყო პარიზში, დაამთავრა მუშაობა.

განხილულ იქნა საკითხები: ექსპორტის და იმპორტის აკრძალვის და შეზღუდვის გაუქმების შესახებ, საარბიტრაჟო დადგენილების შესრულების შესახებ საზღვარგარეთ, რეპრესიების შესახებ ყალბ საბაჟო ჩვენებების წინააღმდეგ.

სხდომას დაესწრო ბარბაზა ბარნეირო.

პარიზი, 21 ივნისი. მორალურ მეცნიერებათა აკადემიაში მოსმენილ იქნა ამერიკის საერთაშორისო უფლების ინსტიტუტის მდივნის ალექსანდრ ალვარეცის მოხსენება, შედგენილი იურიდიული კავშირის მეხუთე სესიისათვის.

მოხსენება ეხება ერთა ლიგის პაქტის რეფორმას კონტინენტალურ და რაიონულ ბაზისზე. რეფორმა ჰგულისხმობს კავშირის გაბმას ერთა ლიგასა და პანამერიკულ კავშირს შორის.

ეს ფაქტი ითვლება ერთად-ერთ ნამდვილ საშუალებათ ქვეყნის ყველა სახელმწიფოების წარმომადგენლების მიერ მსოფლიო მნიშვნელობის საკითხების განსახილველათ.

ინგლისის სამთამადნო მუშების გაფიცვა

ჩერჩილის უიმედო ოცნება

ლონდონი, 19 ივნისი. ლონდონში წარმოთქმულ სიტყვაში ფინანსთა მინისტრი **ჩერჩილი** შეეხო იმ გაჭირვებას, რომელსაც ინგლისი განიცდის სამთამადნო მუშების გაფიცვასთან დაკავშირებით და განაცხადა:

„რუსეთის ბოლშევიკებმა დაანგრიეს საკუთარი ქვეყანა, მაგრამ ვერ შესძლეს ჩვენი ქვეყნის დანგრევა. თანხები, რომელიც რუსეთის მთავრობის განკარგულებით გამოუგზავნეს სამთამადნო მუშებს, უმნიშვნელოა, იმასთან შედარებით, რაც ჩვენ რუსებმა მოგვპარეს. იმედი მაქვს, რომ მოვესწრები იმ დროს, როცა რუსეთში იქნება კულტურული მთავრობა ან ჩვენ განვაცხადებთ, რომ აღარ გვსურს მეგობრული ურთი-ერთობა იმ ხალხთან, რომელნიც ცდილობენ ჩვენს დამხობას. მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, **რომ რუსეთთან ურთიერთობის შეწყვეტის დრო ჯერ არ დამდგარა**“.

მაკდონალდიც კი ჰგმობს მთავრობის საქციელს

ლონდონი, 20 ივნისი. მაკდონალდმა ლონდონში წარმოთქმულ სიტყვაში გადაჭრით დაჰგმო ინგლისის მთავრობის დამოკიდებულება რუსეთის პროფკავშირთა ფინანსიურ დახმარებისადმი. ინგლის-საბჭოთა ინციდენტი მაკდონალდმა დაახასიათა, როგორც **„მთავრობის საზიზღარი ცდა შეეწყვიტა მეგობრული ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის“.**

„რუსეთის პროფკავშირებმა—განაცხადა მაკდონალდმა—უდიდესი დახმარება აღმოუჩინეს სამთამადნო მუშების ცოლებს და ბავშვებს. მაგრამ, იმ ხალხმა, რომელსაც ყველგან წითელი საფრთხე ელანდება, გამოაცხადა, რომ რუსეთის მთავრობა ამ დახმარებას ხელს უწყობს არა იმიტომ, რომ მას სურს დაეხმაროს სამთამადნო მუშებს და მათ ოჯახებს, არამედ იმიტომ, რომ მას მიზნად აქვს დასახული ინგლისის მთავრობის დამხობა. ზოგიერთების სიბრმავეს მართლაც რომ საზღვარი არა აქვს“.

დასასრულ მაკდონალდმა განაცხადა, რომ 25 ივნისს რუსეთის საკითხის გარშემო გამართულ კამათის დროს თემთა პალატა დაინახავს „მთავრობის ბრწყინვალე უკან დახევას მთელს ფრონტზე“.

გაფიცვის გარშემო

ლონდონი, 21 ივნისი. დონკასტერში წარმოთქმულ სიტყვაში **კუკმა** გააფრთხილა მაღაროს მესაკუთრენი, რომ თუ ისინი შებიდან ნახშირის ამოღებით საფრთხეში ჩააგდებენ მუშების სიცოცხლეს, დასმულ იქნება საკითხი მუშების სამუშაოდან მოხსნის შესახებ.

გზა-და-გზა გაფიცულთა რაიონებში

(წერილი ინგლისიდან)

„ამ ბრიყვებს არ სურთ მაღაროებში ჩასვლა“

ავტომობილს აბერდერში მივყევარ, გორაკის მეორე მხარეს, სეინონის ხევში. მეორდება იგივე ისტორია: აქაც იგივე მდგომარეობაა: აქაც მუშაობა სრულიად შეჩერებულია, აქაც იგვლივ იგივე შავი უდაბნო იშლება. მხოლოდ მდგომარეობა აქ კიდევ უფრო სასოწარკვეთილია. „საქველმოქმედო. ბიურომ“ დახმარება ოჯახისათვის ათ შილინგამდე (ხუთ მანეთამდე) შეამცირა კვირაში. ღარიბების თავშესაფარი სავსეა. ახალგაზრდა უცოლო მუშებს არც ერთი გროში არ ეძლევათ, დახმარების სახით. ბავშვებს სკოლაში ჰკვებავენ, მაგრამ იმ პაწია ბალღების მდგომარეობა, რომელნიც სკოლაში არ დადიან, აუტანელია. გაჭირვებამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია... მაგრამ ხალხი უძლებს, და კიდევ გაუძლებს, თუ საჭირო იქნა...

დახმარება ნელა მოდის. მემაღაროების ხოროები, რომელნიც ცნობ[illegible] არიან ინგლისში, გზას [illegible] მთელი ქვეყნის მოვლას აპირებენ, ფულის შესაგროვებლად, ესენი თითქო შრომის ტრუბადურები არიან.

ახალ გორაკზე ავდივართ, სხვა ხეობაში შევდივართ და აი ჩვენ თვალწინ მერტირ ტიდფეილი იშლება. ეს მემაღაროების დიდი ცენტრია. ქუჩები სავსეა მუშებით, რომელნიც ქვაფენილებზე სდგანან და მდგომარეობის შესახებ მსჯელობენ. მაგრამ უიმედობის სიტყვებს ვერ გაიგონებთ. თუმცა „მემაღაროების ფედერაციამ“ აქაურ მუშებს მხოლოდ გუშინ მოაწოდა პირველი დახმარება იმ თანხიდან, რომელიც უცხოეთიდან შემოვიდა. მხოლოდ გუშინ მოეწყო პირველი საზოგადო სამზარეულო. ამისათვის დღემდე ფული არ იყო და მემაღაროები ბედის ანაბარა იყვნენ მიტოვებულნი სკოლებში, ბავშვები მხოლოდ ერთხელ ღებულობენ კერძსა. მი[illegible] ღონისძიება, რათა თვითმართ[illegible] კერძის რიცხვი გააორკეცის. უმუშევრების ცოლები 12 შილინგს ღებულობს (6 მანეთს), მათი შვილები ორიდან ოთხ შილინგამდე.

ამ რაიონის მემაღაროების რწმუნებულმა, აბლეტტმა, რომელმაც ეს ცნობები მომაწოდა, მითხრა, რომ ორიოდე დღის წინათ მიტინგი გაიმართა, სადაც მუშებმა და განსაკუთრებით ქალებმა განაცხადეს, რომ შეუდრეკლად იბრძოლებენ იმ დამონების წინააღმდეგ, რომელსაც პატრონები უქადიან. მაღაროებში აღარ ჩავლენ, თუ სიმშილმა ისინი მართლა პირდაპირ არ წააქცია. ქალები კიდევ უფრო შეურიგებელნი არიან, ვიდრე მამაკაცები.

მარტო მემაღაროები როდი არიან უქმათ. დიდი ფოლადის ქარხნებიც დაკეტილია ამ რაიონში. მრავალი ღუმელი ჩამქრალია.

ამ დილით ქვა-ნახშირის ერთმა საზოგადოებამ ტელეფონით სთხოვა მემაღაროების ადგილობრივ გამგეობას, რამდენიმე მოხალისე გაეგზავნა მისთვის. საჭირო იყო ქვა-ნახშირის მიწოდება ცეცხლისმქრობელ რაზმისთვის. ეს მოთხოვნა მუშებს გადასცეს, მაგრამ არც ერთმა არ ისურვა სამუშაოდ წასვლა:—რაც უნდათ, ის ქნან, ეს ჩვენ არ გვეხება.

არსად ქვა-ნახშირის მარაგი არა სჩანს. საზოგადოებანი იძულებულნი არიან ნახშირის მტვერი შეაგროვონ ქვაბების გასათბობათ. ლოკაუტის მოლოდინში მთელი ქვა-ნახშირის მარაგი უკვე გაუზიდიათ აქედან.

მემაღაროების უკანასკნელი დიდი იმედი საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობაა. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ სხვა ქვეყნების მუშები ქვა-ნახშირის შემოტანის ნებას არ მისცემენ ინგლისში. თვითეული შემოზიდული ტონა ქვა-ნახშირი ინგლისელი მემაღაროების ბრძოლის გაგრძელების ნიშნავს, მათი პოზიციის შესუსტებას.

ლაპარაკი ჩამოვარდა საყოველთაო გაფიცვაზე. მან აბსოლიუტური ხასიათი მიიღო ამ რაიონში. არც ერთი მატარებელი, არც ერთი ტრამვაი, არც ერთი ომნიბუსი არ დაძრულა. მაშინვე სხვა დარგის მუშებიც მიემხრნენ მოძრაობას.

გენერალური საბჭოს ღალატს ერთგვარი სულიერი დაცემა მოჰყვა. მაგრამ საყოველთაო გაფიცვის იდეა არ მომკვდარა. პირიქით! ის მხოლოდ ახლა დაიბადა. ის გამოსცადეს. და მუშები ფიქრობენ, რომ ერთგვარ წარმატებასაც მიაღწიეს. ამ საგნის შესახებ სრული ერთსულოვნობა არსებობს: საქმე ბელადების ღალატმა დაჰღუპა.

თუმცა მემაღაროები მარტო დარჩენ ბრძოლის ველზე, მაგრამ ერთ საყვედურის სიტყვასაც ვერ გაიგონებთ სხვა დარგის მუშების მიმართ. მათ სურთ მხოლოდ ტრედიუნიონისტულ მოძრაობის ერთობა შეუბღალავად დარჩეს.

მე განვაგრძობ მოგზაურობას, რომელიც ერთფეროვანი ხდება, მიტომ რომ მდგომარეობა ყველგან ერთნაირია. მტვრიან, შავ მაღლობებზე აჩრდილები მოძრაობენ. ეს მუშებია, რომელნიც დედაკაცებთან და ბავშვებთან ერთად ქვა-ნახშირის ნამტვრევებს აგროვებენ. მთელი დღის მუშაობაა საჭირო რამოდენიმე გირვანქა ნახშირის შესაგროვებლად. მაგრამ „ხელმომჭირნე“ პატრონებს ამის აკრძალვაც უნდათ. ქვა-ნახშირი ხომ მუშების ნესტიან ქოხებს გაათბობს, წვენს მოახარშვინებს საზოგადო სამზარეულოში!

წვიმა სცრის, თითქო შემოდგომის დღე იყოს. ტალახიან გზაზე ძონძებში გახვეული ბავშვების ჯგუფი მხვდება: წვიმას დაუსველებია მათი მჭლე მხრები, რომელზედაც ძვირფასი ქვა-ნახშირის ტვირთი წამოუკიდიათ. კაცს გული აგიჩუყდება, როცა მათ უცქერი...

და მე მახსენდება ერთი მსხვილი ბურჟუას სიტყვები, რომელიც მატარებელში გავიგონე: „ამ ბრიყვებს კიდევ არ სურთ მაღაროში ჩასვლა!“

ტრეჰარისს მივაღწიეთ. ეს არის სამხრეთ უელსის ქვა-ნახშირის აკვანი, ღამდება, მხოლოდ რამოდენიმე ფანჯარაა განათებული ამ სევდიან დაბაში. ერთი ქოხის კარებში დედაბერი სდგას, გამხდარია, ძარღვიანი და დაკოჟრებული, როგორც ამ კუთხის ხეები. მამაკაცების დაბრუნებას ელის, რომელნიც ქვა-ნახშირისთვის წასულან. ბევრი გაფიცვა უნახავს ამ დედაკაცს, ზოგი სამ თვეს, ნახევარ წელიწადს, წელიწადსაც გაგრძელებულა; ხშირად გახვრეტილი გროშიც არ ჰქონიათ ოჯახში.

მაგრამ მას გაგონებაც არ უნდა გაფიცვის შეწყვეტაზე:

— უარესი პირობები ავიტანია, მითხრა მან, ამასაც ავიტანთ... გვეყოფა საწველ ფურათ ყოფნა.

ქ. დავიდ.

ქ. ტრეჰარი.
8 ივნისი.

მცირე ანტანტის კონფერენცია

ბენეშის განცხადება

პარიზი, 21 ივნისი. ბენეშმა განაცხადა, რომ ის არ გადადგა იმისთვის, რომ მცირე ანტანტის კონფერენციას დასწრებოდა, როგორც ყოფილი მინისტრი. პრაღაში დაბრუნების შემდეგ ის პარტიის განკარგულებაში დარჩება.

ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს

ვენა, 20 ივნისი. დამთავრდა მცირე ანტანტის კონფერენცია.

მცირე ანტანტის შიგნით წინააღმდეგობის ზრდას ნათელჰყოფს ის ფაქტი, **რომ კონფერენციას არც ერთ საკითხის შესახებ არ მიუღია გარკვეული გადაწყვეტილება.** ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საბჭოთა კავშირის საკითხში, რადგან ჩეხო-სლოვაკიამ და სამხრეთ-სლავიამ მოქმედების თავისუფლება დაიტოვეს.

ავსტრიის გაზეთების ცნობით, რუმინეთის მინისტრმა მიტილინეუმ განაცხადა, რომ რუმინია ცდილობს მეგობრობის ხელშეკრულება დასდვას იტალიასთან, რის შემდეგ ბესარაბიის ოქმის რატიფიკაცია იტალიის მიერ აღარ იქნება საჭირო, რადგან მეგობრობის ხელშეკრულება შეიცავს რუმინეთის საზღვრების გარანტიას იტალიის მხრივ.

„ვინერ დეისტე ნახრიხტ“ იუწყება, რომ ბენეშის ცდა შეენარჩუნებია მცირე ანტანტის ორიენტაცია საფრანგეთზე, უშედეგოთ დამთავრდა.

ბეტლენის შიში

ბერლინი, 21 ივნისი. მცირე ანტანტის კონფერენცია, რომელიც ბლოდში სწარმოებდა, დამთავრდა.

ოფიციალურ ცნობების თანახმად, დადგენილ იქნა, რომ რუმინეთი იქნება მცირე ანტანტის წარმომადგენელი ერთა ლიგაში და დაიკავებს სათანადო დროებითი ადგილს საბჭოში.

ბენეშმა ერთა ლიგის სექტემბრის სესიას კრიტიკული უწოდა და აღნიშნა, რომ მასზე აღძრული იქნება საშიში საკითხებიო. მცირე ანტანტის შემდგომი კონფერენცია შესდგება 1927 წელს პრაღაში.

შეთქმულება ქემალ-ფაშას წინააღმდეგ

ლონდონი, 21 ივნისი. სტამბოლიდან მიღებული ცნობით, მუსტაფა-ქემალ ფაშის მკვლელობის მზადებასთან დაკავშირებით დაპატიმრებულია ეხლანდელი და წინანდელი პარლამენტის 16 წევრი. ბრალდებულთა შორის არის ყოფილი გარეშე საქმეთა მინისტრი **ბექირ-საჯიბეი**. ის ჩაიყვანეს სმირნაში გასასამართლებლად.

სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შეთქმულება სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენათ სტამბოლიდან მოდის. ყუმბარები დეპუტატების ბარგთან ერთად გადმოჰქონდათ.

პარიზი, 21 ივნისი. ანგორიდან მიღებული ცნობით, პრესა და საზოგადოება ულოცავს რესპუბლიკის პრეზიდენტს მშვიდობით გადარჩენას.

ფიქრობენ, რომ შეთქმულება მიმართული იყო უფრო რესპუბლიკის წინააღმდეგ. ვინემ ქემალ-ფაშას პიროვნების წინააღმდეგ. იმართება დემონსტრაციები მუსტაფა-ქემალ-ფაშას პატივისაცემად.

დიპლომატიურმა კორპუსმა მწუხარება გამოსთქვა მომხდარი ამბის გამო.

მუსტაფა-ქემალ-ფაშა პროკლამაციაში, რომელიც ქება-დიდებას ასხამს რესპუბლიკას, მადლობას უცხადებს ყველას თანაგრძნობისათვის.

სხვადასხვა

— **ეროპლანის დაღუპვა.** შერბურგის რაიონში საფრანგეთის აეროპლანი აფრენის დროს დაეტაკა ამერიკული ნაღმოსნის ანძას და ჩავარდა ზღვაში. მფრინავი მოკლულია.

— **პორტუგალიის სამხედრო ვალი.** ლისაბონიდან მიღებული ცნობით, გარეშე საქმეთა მინისტრმა დანიშნა ახალი დელეგაცია, რომელმაც უნდა გამართოს მოლაპარაკება პორტუგალიის მიერ ინგლისში აღებულ სამხედრო ვალების კონსოლიდაციის შესახებ.

— **ვილმენგდონის წასვლა.** შანხაიდან მიღებული ცნობით, ყოფილი გენერალ-გუბერნატორი ლორდ ვილმენგდონი, რომელიც დანიშნულია კანადაში, პეკინიდან გაემგზავრა ტიან-ძინში, ხოლო იქედან ციმბირით ევროპაში.

— **საფრანგეთ-გერმანიის კომერციული შეთანხმება.** პარიზიდან მიღებული ცნობით, გერმანიის მთავრობამ მიიღო საფრანგეთის მთავრობის წინადადება დროებით ნაწილობრივ კომერციულ შეთანხმების შესახებ.

უკანასკნელი ცნობები

პლებისციტის შესახებ

პარიზი, 21 ივნისი. პლებისციტის შედეგები გერმანიაში მოწმობს, რომ **მეფის საგვარეულოს ქონების ექსპროპრიაციის განხორციელებას დააკლდა 2—3 -მილიონი ხმა.** გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ექსპროპრიაციისათვის მიცემული ხმების რაოდენობა სისწორით გამოხატავს იმ მოქალაქეების რიცხვს, რომელთაც მონარქიის დაბრუნება არ სურთ.

რესპუბლიკანურ კონცენტრაციის კაბინეტი

პარიზი, 21 ივნისი. ბრიანმა განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს შეადგინოს რესპუბლიკანურ კონცენტრაციის კაბინეტი, რომელიც უკანასკნელ არჩევნების დროს მიღებულ უმრავლესობას დაემყარება.

პუანკარეს მიეცა წინადადება ფინანსთა მინისტრის პოსტი დაიჭიროს. პერსთან და სურჟანთან თათბირის შემდეგ პუანკარემ გასცა პასუხი, რომლის შინაარსის გამოქვეყნებაზე ბრიანმა უარი სთქვა. ის ფაქტი, რომ დუმერგმა მოიწვია ბრიანი მას შემდეგ, რაც უკანასკნელმა ინახულა პუანკარე, მოწმობს, რომ მდგომარეობა მერყევია.

ბრიანს რომ გაუძნელდეს ფინანსთა მინისტრის გამოძებნა, პუანკარე, ალბად დასთანხმდება ამ პოსტის დაჭერაზე. მის თანამშრომლობა ყოველ ხზვა სამინისტროში უზრუნველყოფილია.

რადიკალებს შორის

პარიზი, 21 ივნისი. პალატის დეპუტატთა რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტების ჯგუფის სხდომაზე თავმჯდომარედ მყოფმა ერიომ მიიღო საყვედური იმის გამო, რომ იგი ზომიერებისაგან მოელოდა მხარის დაჭერას. ერიომ უპასუხა, რომ ამჟამად აუცილებლად საჭიროა პარტიულ მოსაზრებათა ზევით დგომა.

შოვენის წინადადება, რადიკალების პარტიიდან იმ წევრთა გამორიცხვის შესახებ, რომლებიც ბრიანის კაბინეტში შევლენ, უარყოფილ იქმნა ფრანკლენ-ბუიონის ენერგიული რჩევის შემდეგ.

ალბერ სარომ, წამოაყენა რა თავისი კანდიდატურა სენატის არჩევნებში, დაჟინებით მოითხოვა საფრანგეთისა და კოლონიების მადნეულობის და ბუნებრივ სიმდიდრეების ინტენსიური გამოყენება და განაცხადა, საკმაოა ამ ახალ სიმდიდრის გამოყენება, რომ საფრანგეთმა ფრანკის კრიზის თავი დააღწიოს.

ხელოვნური აბრეშუმი

პარიზი, 21 ივნისი. ორმა გერმანელმა მეცნიერმა გამოიგონა იაფი ქიმიური საშუალება ხელოვნური აბრეშუმის მისაღებად. ტეხნიკური პრესა აღნიშნავს, რომ თუ ეს ცნობა გამართლდა, ეს გამოგონება ნამდვილ რევოლიუციას მოახდენს ხელოვნური აბრეშუმის მრეწველობაში.

კუკის განცხადება

პარიზი, 21 ივნისი. თავის უკანასკნელ სიტყვაში კუკმა განაცხადა, რომ თუ მთავრობა დაიჟინებს კანონის შემოღებას 8 საათის სამუშაო დღის შესახებ, სამთამადნო მუშების ფედერაცია შეეცდება მაღაროში მომუშავე სამთამადნო მუშების მოხსნას, მხოლოდ დატოვებულ იქნებიან საქაჩებზე მომუშავენი, რომ წყალმა არ დაფაროს მაღაროები.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

აზერბეიჯანის პროლეტარიატის პროტესტი

ბაქო, 21 ივნისი. აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი პროფკავშირებში შეკავშირებულ 200.00 მუშისა და მოსამსახურის სახელით აღშფოთებით აღნიშნეს, რომ ინგლ. მთავრობის მემორანდუმი ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევის უმზგავსო ცდას წარმოადგენს. ლორდებისა და მაღაროს მრეწველთა მთავრობა აძლევს თავს ნებას, რომ მუშებისა და გლეხების მთავრობას ასწავლოს, თუ როგორ უნდა მოექცეს იგი პროფკავშირებს. საბჭოთა კავშირის შეკავშირებული მუშათა კლასი ყოველთვის პირველად გაუწვდის დახმარების ხელს ყველა ქვეყნის მუშას მათ კლასიურ ბრძოლაში.

აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს, რომ აზერბეიჯანის მუშები იმავე ენერგიით, როგორც დღემდე, აღმოუჩენენ დახმარებას ინგლისის გაფიცულ სამთამადნო მუშებს, რომლებიც მიუხედავად ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს ზელადთა გამცემლობისა უკვე ორი თვეა მტკიცედ აწარმოებენ ბრძოლას კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ნათქვამია რეზოლიუციაში, რომ ინგლისის მუშათა კლასი ღირსეულ პასუხს გასცემს ინგლისის ბურჟუაზიის შტაბის—კონსერვატიულ მთავრობის შემოტევას, რომელმაც მორიგი ცდა მოახდინა მსოფლიოში ერთად-ერთი მუშურ-გლეხური მთავრობის წინააღმდეგ გამოლაშქრებისა.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის მთლიანობას. გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატს!

ხარჯების შემცირება

ბაქო, 21 ივნისი. აზერბეიჯანის სახელმწიფო კინო-მრეწველობასთან დაარსებულმა მომჭირნეობის კომისიამ მოახდინა ხარჯების შემცირება კინო-მრეწველობის მუშაობაში; ხარჯები შემცირებულია 13.000 მანეთით.

კინო-კურსები

ბაქო, 21 ივნისი. აზერბეიჯანის სახკინომრეწველობამ გახსნა სამთვიანი კურსები კინომსახიობის მოსამზადებლად.

ქარხნების შეკეთება

ბაქო, 21 ივნისი. აზერბეიჯანის აბრეშუმის მრეწველობის სამმართველომ ერთი თვით დახურა აბრეშუმის ქარხნები. ამ დროის განმავლობაში ჩატარდება ქარხნების კაპიტალური შეკეთება. აგრეთვე მოხდება ქარხნის ხელახალი გადაკეთება.

ტრაქტორები

ბაქო, 21 ივნისი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირმა „კეიბირლიგმა“ გადასწყვიტა „ზაკსალმაშისაგან“ შეიძინოს ფორდზონის სისტემის 25 ტრაქტორი.

1.000.000 ფუთი ნავთი დღე-ღამეში

ჩვენმა რედაქციამ ამხ. სერებროვსკისაგან გუშინ შემდეგი დეპეშა მიიღო: „ბაქოს სამრეწველოებში უკანასკნელი დღეების განმავლობაში დღე-ღამეში 1.000.000 ფუთი ნავთი ამოაქვთ“.

მუშათა მოძრაობა

რურის მეშაღაროს მუშები და გაფიცვა ინგლისში

„ინგლისის ნახშირის კონკურენცია“—აი ის საფრთხობელა, რომლითაც სარგებლობდენ გერმანელი მაღაროს მეპატრონები მაღაროს მუშების წინააღმდეგ ბრძოლის დროს. თუ საჭირო იყო შრომის ხელფასის შემცირება ან სამუშაო დღის გადიდება,—გასამართლებელი საბუთი ისევ „ინგლისის ქვანახშირის კონკურენცია“. თუ მწარმოებლები გადაწყვეტდენ ზოგიერთი მაღაროების დახურვას და ძრავალი ათასი მუშის გაყრას ქუჩაში იმ მოსაზრებით, რომ დარჩენილები ერთი-ორათ დაეტვირთათ სამუშაოთი, დამშეულ მუშებს პირში ახლიდენ: „რას იზამ, ინგლისის ქვანახშირის კონკურენციის ბრალი არის“-ო.

ინგლისის მაღაროს მუშათა გაფიცვამ საშუალება მისცა რურის ოლქის მაღაროს მუშებს მოეცილებიათ ეს ბორკილები, განთავისუფლებულიყვენ „ინგლისის ქვანახშირის კონკურენციის“ შიშისგან. რურის მაღაროს მუშები კიდევ უფრო გაათამამა იმ გარემოებამ, რომ მაღაროს მუშათა საერთაშორისო ფედერაციამ ბრიუსელის კონფერენციაზე დაადგინა, თუ საჭირო შეიქნა, გამოაცხადოს საყოველთაო გაფიცვა ინგლისელ გაფიცულების დასახმარებლად და ყველგან 7 საათი სამუშაო დღის შემოსაღებად. ამრიგად, რურის მაღაროს მუშები დიდათ იყვენ დაინტერესებული ინგილსელ მაღაროს მუშების გამარჯვებაში. ამიტომ იყო, რომ რურის ოლქში განსაკუთრებულის აღფრთოვანებით შეხვდენ ცნობას გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

რურის მაღაროს მუშების ასეთმა სულიერმა განწყობილებამ ძალიან შეაშინა არა მარტო მაღაროს პატრონები, არამედ პროფკავშირების ხელმძღვანელი წრეებიც. მაღაროს პატრონებს აშინებდა ის გარემოება, რომ მუშების მიერ ზედმეტ მუშაობაზე უარის თქმა ხელს შეუშლიდა მათ განზრახვას გამოეყენებიათ ინგლისის გაფიცვა გერმანიის ნახშირის გასასაღებლად. რეფორმისტები კი თავის მხრივ ნათლად გრძნობდენ, რომ თუ მუშათა მოძრაობა ერთხელ დაიწყებოდა იგი წავიდოდა და განვითარდებოდა მათ გარეშე და მათი სურვილის წინააღმდეგ. და ამიტომ დაიწყო მაღაროს პატრონების და რეფორმისტების შეთანხმებული შეტევა რურის მაღაროს მუშებზე.

ინგლისის მაღაროს მუშების გაფიცვის პირველსავე დღეებში რურის სამთამადნო მუშებს შორის დაიწყო კამპანია ინგლისელ ამხანაგებისათვის აქტიური დახმარების აღმოჩენის სასარგებლოდ. რათა მოძრაობის ხელმძღვანელობა ხელიდან არ გამოსცლოდათ, რეფორმისტები იძულებული შეიქნენ ანგარიში გაეწიათ მუშების განწყობილებისათვის, რომ ამით მოეტყუებიათ მათი სიფხიზლე.

უკვე 4 მაისს, ინგილისის სამთამადნო მუშების გაფიცვის მეოთხე დღის, რურის ოლქის მაღაროს მუშათა პროფკავშირის აღმასკომმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც ილაშქრებდა ზედმეტი მუშაობის წინააღმდეგ რურის მაღაროებში და მხარს უჭერდა ბრიუსელის კონფერენციის დადგენილებას, საჭიროების დროს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ. ამით პროფკავშირების ბიუროკრატიამ შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ის ფეხდაფეხ მიყვება მუშების მთავარ მასას და უზრუნველყოფს თავისთვის ამ მასების ხელმძღვანელობას. მაგრამ უკვე მეორე დღეს, 5 მაისს, დაიწყო საბოტაჟი. პროფკავშირების ზედაფენები მოუწოდებენ მუშებს „მოთმინებისაკენ“ და ურჩევენ მათ დაუცადონ სათანადო ორგანოების დადგენილებას.

მასიების მოძრაობა ფართოვდებოდა. რურის ოლქის ყოველი კუთხიდან მოდიოდა ცნობები, რომ მუშები მოითხოვენ არა სიტყვით, არამედ საქმით იქნეს გატარებული ცხოვრებაში დადგენილებაბ ინგლისელ ამხანაგების დახმარების შესახებ.

პროფკავშირების ხელმძღვანელი რეფორმისტები მემარცხენე რევოლუციონურ ელემენტებს კავშირიდან გამორიცხვით დაემუქრენ. ამის საპასუხოდ ადგილებზე დაიწყო მოძრაობა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების რურის ოლქისა და სრულიად გერმანიის ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ. ხელმძღვანელობის დაკარგვის შიშით პროფკავშირების ზედაფენები იძულებული შეიქნენ მოეწვიათ სამთამადნო მუშების ორი კონფერენცია—რურის ოლქისა და სრულიად გერმანიის.

მაგრამ კონფერენციების შემადგენლობა შერჩეული იქნა ისე, როგორც ბიუროკრატებს უნდოდათ. მიღებული რეზოლიუციებიც სავსებით შეეფერებოდა რეფორმისტების მოღალატურ პოლიტიკას.

კონფერენციამ დაადგინა, რომ არ იქნას გატანილი ნახშირი მხოლოდ ინგლისში და არა ყველა იმ რაიონებში, სადაც ინგლისის ნახშირი სალდება. რაც შეეხება თვით გერმანიის სამთამადნო მუშების მდგომარეობას, კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია მხოლოდ ზედმეტი მუშაობის წინააღდეგ.

სისტემატიური საბოტაჟის წყალობით რეფორმისტებმა ჩაშალეს რურის მაღაროს მუშების მოძრაობა ინგლისელ ამხანაგების დახმარებისა და თავისი მდგომარეობის გამოკეთებისათვის. მწარმოებლებმა კი რეფორმისტების დახმარებით გამოიყენეს მდგომარეობა თავისი ჯიბის კიდევ უფრო გასასქელებლად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა

უნივერსიტეტის რექტორად ერთხმათ იქნა არჩეული ამხ. თედო ღლონტი

უნივერსიტეტის საბჭოს სხდომა.—უნივერსიტეტის ახალი გამგეობა —საუბარი განათლების სახალხო კომისართან, ამხ. დავით კანდელაკთან.—საუბარი უნივერსიტეტის პრორექტორ პროფესორ კორნელი კეკელიძესთან.

უნივერსიტეტის საბჭოს სხდომა

ამ დღეებში საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა უნივერსიტეტის ახალი დებულება. ამ დებულების თანახმად, გუშინ, 21 ივნისს, სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში მოწვეულ იქნა უნივერსიტეტის საბჭოს პირველი სხდომა.

სხდომას დაესწრენ: დამსახურებული **პროფესორი მელიქიშვილი,** უნივერსიტეტის პრორექტორი სამოსწავლო ნაწილში, **პროფესორი კორნელი კეკელიძე,** პროფესორები: **რაზმაძე, გეხტმანი, ნუცუბიძე, მუსხაძე, ნათიშვილი** და **ზენაშვილი.** დოცენტები: **იოსელიანი** და **ნათაძე,** მასწავლებლები: **მგალობლიშვილი, ივ. ყიფშიძე, ნ. ყიფშიძე, ა. წერეთელი, ლომაური** და სხვ.

რექტორ პროფესორ ივანე ჯავახიშვილის ავადმყოფობის გამო საბჭოს სხდომაზე თავმჯდომარეობდა პრორექტორი სამოსწავლო ნაწილში პროფესორი **კორნელი კეკელიძე.**

სხდომას დაესწრენ, აგრეთვე, უნივერსიტეტის მუშაობით დაინტერესებულ სახალხო კომისარიატების, პროფკავშირებისა და სტუდენტობის წარმომადგენლები.

დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1. რექტორის არჩევა, 2. გამგეობის წევრთა არჩევა, რომლებიც დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს განათლების სახალხო კომისარიატს.

უნივერსიტეტის რექტორათ საარჩევნო წესების ყველა ფორმალურ მხარეების შესრულების შემდეგ ერთხმად იქნა არჩეული ამხ. **თედო ღლონტი.**

გამგეობაში არჩეულ იქნენ: დამსახურებული პროფესორი **მელიქიშვილი** (ერთხმად) პროფესორები: **ნუცუბიძე, მუსხაძე, კეკელიძე** და **რაზმაძე,** მასწავლებლები: **ი. ყიფშიძე, ურქომაიშვილი, თალაკვაძე** და **კ. სულაქველიძე.**

კანდიდატებათ: **ნ. ყიფშიძე, მონიავა** და **ცხაკაია.**

პროფ. მელიქიშვილის სიტყვა

არჩევნების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა დამსახურებულმა პროფესორმა მელიქიშვილმა, რომელსაც მთელი დარბაზი მხურვალე ტაშით და ხანგრძლივი ოვაციებით შეეგება.

თავის მოკლე, მაგრამ ფრიად შინაარსიან სიტყვაში მცხოვანმა მეცნიერმა ხაზი გაუსვა რევოლიუციის მნიშვნელობას უმაღლეს სკოლის და კერძოთ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირების საქმეში. ორატორმა კმაყოფილებით აღნიშნა ის გარემოება, რომ საბჭოს სხდომას უნივერსიტეტის მუშაობით დაინტერესებული სახალხო კომისარიატები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრენ, და სთქვა, რომ უნივერსიტეტისა და ამ ორგანიზაციების შეთანხმებული მუშაობა კიდევ მეტად შეუწყობს ხელს უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობას და აგრეთვე საშუალებას მისცემს მას მჭიდრო კავშირი დაამყაროს ქვეყნის საერთო ცხოვრებასთან.

დასასრულ პროფესორმა მოუწოდა დამსწრეთ ენერგიულ მუშაობისაკენ და გამოსთქვა იმედი, რომ უნივერსიტეტის ახალი გამგეობა, შეუფარდებს რა თავის მუშაობას ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებებს, მართებულად წარუძღვება მეცნიერების უმაღლეს ტაძარს და წინ წასწევს მას (მხურვალე ტაში, რომელიც შემდეგ ოვაციებში გადადის).

ამხ. მალაქია ტოროშელიძის სიტყვა

უნივერსიტეტის საბჭოს სახელით დამსახურებულ პროფესორ მელიქიშვილს უპასუხა ამხანაგმა მალაქია ტოროშელიძემ.

— დღევანდელი დღე, სთქვა ამხ ტოროშელიძემ, ახალი ფურცელია სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში. ეს კრება ამყარებს უახლოეს კონტაქტს მეცნიერების მუშაკთა და პრაქტიკულ საქმიანობას შორის. კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარი საშუალებით უზრუნველყოფს მეცნიერების მუშაკთა საქმიანობას და ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის წინსვლას.

ორატორმა იმედი გამოსთქვა, რომ ახლად არჩეული უნივერსიტეტის გამგეობა და რექტორი, რომელიც ერთხმად იქნა არჩეული, შესაფერის ხელმძღვანელობას გაუწევს უნივერსიტეტის მუშაობას და სამეცნიერო ძალების, სტუდენტობისა და საბჭოთა საზოგადოებრივობისა და ხელისუფლების დახმარებით წარმატებით იმუშავებს მეცნიერების ტაძრის აღორძინებისა და განმტკიცებისათვის (**მხურვალე ტაში**).

სიტყვების შემდეგ კრება ფრიად კმაყოფილი დაიშალა.

სხდომის ოქმი დასამტკიცებლად გადაეგზავნა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს.

საუბარი ამხ. დავით კანდელაკთან

გუშინ ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა განათლების სახალხო კომისართან ამხ. დავით კანდელაკთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ.

— იმ რეფორმის გატარების აუცილებლობას, სთქვა ამხ. კანდელაკმა, რომელიც ახალი წესდების შემოღებით დაიწყო უმაღლეს სასწავლებლებში და კერძოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩვენ კარგა ხანია ვგრძნობდით, რადგან უმაღლესი სასწავლებელი ძველი წესდებით მუშაობდენ, რომელიც არ შეეფერებოდა თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებს. უმაღლეს სასწავლებლებში იყო ერთგვარი კარჩაკეტილობა, სქოლასტიურობა, რაც ხელს უშლიდა მათ მოემზადებიათ ჩვენთვის გამოსადეგი მცოდნე პრაქტიკოსები. ამჟამად უკვე დაწყებულია მუშაობა უნივერსიტეტის გადახალისებისათვის, მაგრამ აქ საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ ეს გადახალისება უნდა მოხდეს და ხდება კიდეც უნივერსიტეტის საუკეთესო მეცნიერულ ძალთა მონაწილეობით, რასაც დღევანდელი საბჭოს კრებაც ამტკიცებს.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ მუშაობის მსურველ და მშრომელი ხალხისადმი მეგობრულად განწყობილ მეცნიერულ ძალთა დახმარების გარეშე უნივერსიტეტის საქმიანობა ჩვენ არ გვაქვს წარმოდგენილი.

ჩვენ გვესმის, რასაკვირველია, რომ გადახალისების საქმეს ძალიან ფრთხილი მიდგომა ესაჭიროება. და ახალი გამგეობისა და რექტორის არჩევა, რომელიც დღეს საღამოს მოხდა, გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ უნივერსიტეტი სდგამს ფეხს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში და ის კარჩაკეტილობა, რომელიც ემჩნეოდა მას დღემდის, მომავალში აცილებული იქნება თავიდან.

ჩვენ ვცდილობთ კონტაქტი დავამყაროთ უნივერსიტეტს და ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას შორის. ჩვენი მიზანი ის არის, რომ ხალხი, რომელსაც ამზადებს ჩვენი უნივერსიტეტი, აკმაყოფილებდეს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებს. გარდა ამისა, ჩვენი სურვილია, რომ უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებდეს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და არ იყოს მოწყვეტილი მას.

ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტის მეცნიერულ ძალების და სტუდენტობის აქტიური მონაწილეობით და საბჭოთა ხელისუფლების ენერგიული დახმარებით ჩვენ ამ მიზნებს სავსებით მივაღწევთ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეში ჩვენი მეცნიერული ძალები ჩვენთან ერთად იქნებიან, რადგან მათ შეიგნეს, რომ საბჭოთა წყობილება სახელმწიფოს ერთად-ერთი ფორმაა, რომელიც ურყევ საფუძველს იძლევა ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის.

საუბარი პროფ. კორნ. კეკელიძესთან

როგორც მოგეხსენებათ, განაცხადა პროფესორმა კეკელიძემ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში, შემუშავებულია უმაღლეს სასწავლებელთა ახალი წესდება, ისეთივე, როგორიც რუსეთის უნივერსიტეტშია. ასეთი წესდება დღემდის არ ყოფილა შემოღებული ჩვენს უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტმა ახლად შემუშავებული წესდება მთლიანად მიიღო და მის თანახმად ხდება რეკონსტრუქცია უნივერსიტეტის მართვა-გამგეობის უზენაესი ორგანოსი, რომელსაც გამგეობა ეწოდება. გამგეობა შესდგება 11 წევრისა და 3 კანდიდატისაგან. გამგეობის თავმჯდომარე იმავე დროს არის რექტორი უნივერსიტეტისა.

დღეს, საღამოს მოწვეული იყო, ახალი წესდების თანახმად შემდგარი, ახალ საბჭოს სხდომა. სხდომას დაესწრო უნივერსიტეტის ძველი გამგეობა, ხუთი წარმომადგენელი პროფესურიდან, ხუთი უმცროს მასწავლებელთა კოლეგიის წარმომადგენელი, ხუთი წარმომადგენელი სტუდენტობისა და აგრეთვე უნივერსიტეტის მუშაობით დაინტერესებულ სახალხო კომისარიატებისა და პროფკავშირების წარმომადგენლები.

ამ საბჭომ აირჩია უნივერსიტეტის ახალი გამგეობა. გამგეობის თავმჯდომარედ და უნივერსიტეტის რექტორად ერთხმად იქნა არჩეული ამხანაგი თედო ღლონტი.

გამგეობაში არჩეულია ხუთი პროფესორი, 1 უმცროს მასწავლებელთა კოლეგიის წარმომადგენელი, 1 წარმომადგენელი გაერთიანებულ მუშათა ფაკულტეტების მასწავლებელთა კოლეგიისა და სამი წევრი საზოგადოებრივ და პარტიულ ორგანიზაციებიდან, რომელთაგან ორი უკვე კარგა ხანია აწარმოებენ მუშაობას უნივერსიტეტში. ახალი გამგეობა შეუდგება ფაკულტეტების რეკონსტრუქციას, ეს მუშაობა დაწყებული იქნება ახლო მომავალში.

ხელისუფლებისა და პარტიის წარმომადგენელთა შემოსვლა გამგეობაში ჩვენის აზრით ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მუშაობას.

ამდენ ხანს ადგილი ჰქონდა ზოგიერთ გაუგებრობას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს გაუგებრობა სავსებით გაიფანტება. უნივერსიტეტი დაინტერესებულია მით, რითაც პარტია და ხელისუფლება არის დაინტერესებული ე. ი. განმტკიცდეს ჩვენი უნივერსიტეტი და რაციონალურ ნიადაგზე დაიდგეს ჩვენი ერის უმაღლესი სწავლა-განათლების საქმე.

სხვადასხვა, უნივერსიტეტის საქმიანობით დაინტერესებულ, ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა დაკავშირება ჩვენს უნივერსიტეტთან დიდ სარგებლობას მოგვიტანს და უსათუოდ გავლენას მოახდენს ჩვენი უნივერსიტეტის საქმიანობაზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გამგეობის შევსება ახალი ძალებით ხელს შეუწყობს ჩვენს მეცნიერულ მუშაობას და აგრეთვე დამყარდება სრული სოლიდარობა და ურთიერთ გაგება. ჩვენი მოლოდინი ეს არის, განაცხადა დასასრულ პროფესორმა, და ვფიქრობთ, რომ ის სავსებით გამართლდება.



თედო ღლონტი

თედო ღლონტი

ამხ. თედო ღლონტს ქართველი საზოგადოება და ინტელიგენცია კარგად იცნობს, როგორც ნიჭიერ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს. წელს თითქმის ოცი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც პირველად გამოვიდა იგი სამწერლო ასპარეზზე და კალმითა, სიტყვით და საქმით შეუდგა ხალხის სამსახურს. ამ ოციოდე წლის წინად ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება მეტად მნიშვნელოვან მოძრაობას განიცდიდა: 1905—6 წლების რევოლიუცია უდიდესი აქტი ჩვენი ხალხის ისტორიაში არა მარტო თავისი შინაარსით, არამედ თავისი ელემენტებითაც. აქ პირველად გამოვიდა საქართველოს ისტორიაში ხალხი როგორც აქტიური ძალა, ხოლო მათი მეთაურობა და ხელმძღვანელობა იმ სოციალურ კლასს ხვდა წილად, რომელიც კაპიტალისტური ურთიერთობის ნიადაგზე ჩამოყალიბდა ჩვენში. ამ პერიოდში ამხ. თედო ღლონტი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მხნედ იდგა სოციალ-დემოკრატიის ბანაკში და მხურვალე მონაწილეობას იღებდა რევოლიუციონურ მოძრაობაში. რეაქციის პერიოდში განსაკუთრებით ეროვნულ საკითხის გამო იგი დასცილდა სოციალ-დემოკრატიის ოჯახს და სოციალ-ფედერალისტების პარტიაში გადავიდა. მიუხედავათ ამისა, მას მარქსისტულ აზროვნებასთან არ გაუწყვეტია სავსებით კავშირი და განსაკუთრებით ეკონომიურ კითხვებში იგი იდგა მარქსიზმის თეორიულ ეკონომიის საფუძვლებზე. სოციალ-ფედერალიზმის პერიოდის მოღვაწეობაში იგი შეუდგა საქართველოს ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ წარსულის შესწავლას, ხოლო ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო მე-19-ე საუკუნესა და მის შემდეგ შექმნილ პერიოდებს. ამხ. თედოს ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური ნარკვევები საქართველოს უახლოეს წარსულიდან ხშირად იბეჭდებოდა მაშინდელს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ამ წერილებით ამხ. ღლონტმა სახელი გაითქვა როგორც მებრძოლმა პუბლიცისტმა და საპატიო ადგილი დაიჭირა სოციალ-ფედერალისტთა პარტიაში.

1917 წლის რევოლიუციის შემდეგ პერიოდში ამხ. ღლონტის მოღვაწეობა ხასიათდება ბოლშევიკური პრინციპების ზეგავლენით. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ იგი სავსებით დადგა საბჭოთა პლატფორმაზე და ძველი პარტიის ფარგლებში, პრესაში, საქ. პარლამენტსა და დამფუძნებელ კრებაში, რომლის წევრათაც ის ირიცხებოდა 1921 წლამდე, ამხ. ღლონტი მხურვალეთ იცავდა ახალ პლატფორმას. ლენინიზმის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების გაცნობამ, იგი სავსებით დაარწმუნა თანამედროვე იმპერიალიზმის დეგრადაციაში,სოციალური რევოლიუციის აუცილებლობასა და სარგებლიანობაში დაჩაგრულ კოლონიალურ ერებისათვის. 1920 წელში ამხ. თედომ გამოაქვეყნა თავისი სოციალ - პოლიტიკური ნარკვევი („ბოლშევიკების სააზიო პოლიტიკა“), რომელმაც თავის დროზე საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა მენშევიკურად განწყობილ ქართულ საზოგადოების ფენებში. ეს იყო პირველი სერიოზული შრომა დაწერილი არა ბოლშევიკთა ბანაკიდან. მენშევიკების სამეფოდ მიჩნეულ საქართველოში. მაგრამ არა მარტო წიგნებით, არამედ თავისი საფუძვლიანი სიტყვებით საქ. დამფუძნებელი კრებიდან ამხ. ღლონტმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მენშევიკების სამოღვაწეო პროგრამა. ამ პერიოდში (1917—20 წ.წ.) საქ. სოც-ფედერალისტთა პარტიაში ჩამოყალიბდა მემარცხენე ფრთა, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა ამხ. თედო, და რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ დამოუკიდებელ პარტიად გადაიქცა მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სახელწოდებით.

1921 წლის გადატრიალების პირველ დღეებშივე, როდესაც ჯერ კიდევ მენშევიკების ჯარები ლიხის გადმოღმა მხარეს ტოვებდენ, ამხ. თედომ ხმამაღლა აღიარა მომხდარი აქტის დიდი პროგრესიული მნიშვნელობა ქართველი ხალხისათვის და ამ დღიდან იგი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა აღმშენებლობის სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოსტებზე. ამხ. ღლონტის ამ პერიოდის მოღვაწეობას კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება: მან აქ თავი გამოიჩინა, როგორც მუყაითმა, ენერგიულმა და საქმით დაინტერესებულმა მოღვაწემ. როგორც მემარცხენე სოც. ფედერალისტთა პარტიაში ყოფნის დროს, ისე ჩვენს პარტიაში შემოსვლის შემდეგაც იგი არ გაშორებია კალამს და სოციალისტურ - რევოლიუციის საზომით აშუქებდა სხვადასხვა მნიშვნელოვან პრობლემებს.

მაგრამ ამხ. თედომ სახელი გაითქვა ჩვენში, როგორც მებრძოლმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ. მისი ნაწერებიდან ცალკე წიგნებად გამოშვებული და დაბეჭდილი არის შემდეგი: 1. „ავტონომია და ფედერაცია“ 1917 წ. 2) „ბოლშევიკების სააზიო პოლიტიკა“ 1921 3) აგრარული საკითხი საქართველოში“, 4) საქართველოს ფინანსიური მეურნეობა (1926 წ.). გარდა ამისა მრავალი ბროშურები და წერილები სხვადასხვა საკითხებზე. ამჟამად ამზადებს დასაბეჭდად დიდ ტომს „კაპიტალიზმი და ეროვნება“ — და „ნარკვევი ფინანსიური მეცნიერებიდან“.

დღეიდან ამხ. ღლონტი ახალ მეცნიერულ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის. — ქართულ უნივერსიტეტს მისი სახით ახალი ენერგიული ძალა ემატება. ჩვენთვის მეცნიერება და პოლიტიკა არ არის ერთი მეორისაგან გარდუვალი მანძილით დაშორებული მოვლენები, წინააღმდეგ, პოლიტიკასა და მეცნიერებას შორის მჭიდრო კავშირი არის გაბმული და ისინი ერთი მეორეს დამატებას წარმოადგენენ. ჩვენი უნივერსიტეტი ჯერ კიდევ ნორჩი დაწესებულებაა, მაგრამ დიდი მოვალეობით დატვირთული. ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა მისცეს საქართველოს მუშებს და გლეხებს რევოლიუციონური შეგნებით აღზრდილი მემკვიდრე თაობა. უნივერსიტეტის წიაღიდან გამოსულმა ახალგაზრდამ უნდა იცოდეს არა განყენებული მეცნიერება, არამედ მისი რეალური დანიშნულებაც კომუნიზმის აღმშენებლობაში. ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი უნდა დაუახლოვდეს და ორგანიულად შეესისხლხორცოს ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას. საუბედუროდ, ჩვენს მეცნიერების სამჭედლოში კომუნისტურ აზროვნებას ერთი ღამეც არ გაუთევია.

მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში ეს, რასაკვირველია ვერ ჩაითვლება ნორმალურ მდგომარეობად. ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ამხ. თ. ღლონტის და სხვა ამხანაგების მუშაობა გამოასწორებს ამ ნაკლს. ჩვენ გვწამს, რომ უნივერსიტეტის ახალი რექტორისა და ჩვენი მშრომელი ხალხის სამსახურისთვის აღზნებულ მეცნიერულ ძალების ურთიერთშორის თანამშრომლობა წინ წასწევს ჩვენი უმაღლესი სკოლის საქმეს.

ს.—ძე.

ჟურნალისტის წერილები

ქართული ინტელიგენციის პროფილი მე-19 საუკუნეში*)

ქართული ლიბერალიზმი

მე-60 წლეები მე-19 საუკ. ისტორიაში ჩვენი კულტურული აღორძინების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს. მოხდა ქართული თავად-აზნაურული ინტელიგენციის პატრიარქალური ოჯახის ორ ბანაკად გაყოფა, მოწინავე წრეების მოწინააღმდეგე ბანაკებად დარაზმვა: ერთის მხარეზე დადგა ძველი თაობა, შეიარაღებული ძველი ტრადიციებით და ვიწრო წოდებრივი ინტერესებით, მეორე მხარეზე—ახალი თაობა, შემომტანი ახალი იდეებისა საქართველოში. არსებითად ქართული ინტელიგენციის ორ ბანაკად დაყოფას სარჩულად ედვა ღრმა სოციალური მიზეზები: ახალი თაობა იყო გამომხატველი იმ ახალი სოციალური ხანისა, რომელიც ჩვენი ცხოვრების სიღრმეში წარმოიშვა მე-19 საუკ. პირველ ნახევარშივე. ქალაქური ცხოვრების განვითარებამ ჩვენში და განსაკუთრებით კი ვორონცოვის პოლიტიკამ ძლიერ შეარყია თავად-აზნაურთა სოციალური და ეკონომიური ცხოვრება. ვორონცოვს მიზნად ჰქონდა დასახული ფართოდ გაეღო კარები რუსეთის სავაჭრო კაპიტალისათვის. ამიტომ ის გაურკვეველი ეკონომიური პოლიტიკის გატარებას შეუდგა ამიერ-კავკასიასა და საქართველოში. ამ პოლიტიკამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა თავად-აზნაურთა ეკონომიურ მდგომარეობაზე. თავად - აზნაურობამ იგემა ფულის მნიშვნელობა და მას დაუწყო ტრფიალი. შეიქმნა ახალი სოციალური ფენა თავად-აზნაურთა წოდებაში, რომელიც ფულის ინტერესს აყენებდა პირველ რიგში. 1859 წ. ალ. ორბელიანი „ცისკრის“ ფურცლებზე სწერდა თავად-აზნაურობის შესახებ: „ისე გავღარიბდით, რომ ღარიბ გლეხკაცზე უფრო მომეტებით, თუ ვაჭრობისათვის არას **ვიფიქრებთ და სხვას შესამატს კარგისა...** აღარც თოფი, აღარც ხმალი,—ვმადლობ ღმერთსა, მაშასადამე რაღაც მნიშვნელობა, იქ რა არის საჭირო. **სწავლა-განათლება, მიწის ნაყოფიერების გამრავლება და ვაჭრობა,** აუცილებელი გამამდიდრებელი კაცისა. დამიჯერეთ, რომ ყველას ეს ფიქრი უნდა ჰქონდეს ახლა“ (ხაზი ჩვენია. ს. ხ.). ჩვენ ვფიქრობთ, რომ მე-60 წლების ქართული ლიბერალიზმის სოციალური საფუძვლები უმთავრესად თავად-აზნაურთა ამ ახალ ფენებში უნდა ვეძიოთ, ხოლო იდეოლოგიურათ მან დიდი გავლენა განიცადა მე-60 წლების რუსეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობისა. ქართველმა ინტელიგენციამ პირველად მე-60-ე წლებში დაასკვნა მაგარი კავშირი რუსეთის ინტელიგენციასთან და მასთანვე აქტიური მონაწილეობა მიიღო საერთო მოძრაობის ფერხულში. ინტელიგენციამ შეითვისა რუსეთის პროგრესიული და ლიბერალურ-დემოკრატიული აზროვნება და გადმონერგვა მოინდომა საქართველოს ნიადაგზე. ამ აზროვნების სოციალური შინაარსი ვერ არის თავისუფალი თავად-აზნაურულ მიდრეკილებისაგან: არსებითად იგი **თავად აზნაურულ ბურჟუაზიულ შინაარსისაა** და ამრიგად ქართულ ლიბერალიზმში თავს იყრიდა როგორც თავად-აზნაურული ლიბერალიზმის ნაკადი, ისე ამომავალ კლასის ბურჟუაზიის აზროვნება. მე-60 წლების ქართული ლიბერალიზმის საუკეთესო წარმომადგენელი არის **ილია ჭავჭავაძე.** ილია, როგორც პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი, ვერ იშორებს თავიდან სავსებით თავად-აზნაურულ იდეოლოგიას. მაგრამ ცდილობს შეუთანხმოს იგი ახალ ცხოვრების ქროლვას და შეარიგოს მომავალი წოდება ახლად მომავალ პროგრესიულ ძალას, გამობას „სასიკვდილოდ გამზადებული თავად-აზნაურობა ეკონომიურად მომქმედი სოციალი კლასის გემს. რასაკვირველია, ასეთი პოლიტიკა ძლიერ ხშირად მარცხით თავდება და 80-ან წლებიდან ი. ჭავჭავაძემ არსებითად გადახარა თავისი პოლიტიკა თავად-აზნაურობის მხარეზე და ალექსანდრე მე-III-ს რეაქციონურ პოლიტიკას დაუჭირა მხარი. პროგრესისტი და ლიბერალი ილია ჭავჭავაძე თავისი მოღვაწეობის მეორე პერიოდში აშკარად დადგა რუსეთის მონარქიის მხარეზე. არჩ. ჯორჯაძე სწერს მის შესახებ: „ილია ჭავჭავაძე ამაყობდა თავისი ერთგულებით (ტახტისადმი) და საჯაროდაც ამჟღავნებდა თავის ლოიალურ გრძნობებს. ამ სტრიქონების დამწერს ერთ საუბრის დროს ეუბნებოდა განსვენებული ილია: ახალმა თაობამ კარგად უნდა დაიმახსოვროს ერთი რამ. **ჩვენ უნდა ვიყვეთ მომხრენი მონარქიული პრინციპისა. რუსეთის იმპერატორი ამავე დროს ქართველთა მეფეა... თუ გინდათ, რომ ჩვენს უფლებათ ისტორიული მნიშვნელობა არ დაეკარგოთ, ხელუხლებელი და პატივსაცემი უნდა იყოს თქვენთვის მონარქიული პრინციპი**“ (ჯორჯაძის წიგნი 2 ტომი გვ. 223-4). ეს ნათლად ამოწმებს ქართული მე-60 წლების ლიბერალიზმის გაკოტრებას, მისი ეროვნული და პოლიტიკური პროგრამის სრულ განადგურებას. მაგრამ თავის დროზე ამ ლიბერალიზმმა დიდი პროგრესიული როლი ითამაშა ჩვენს ცხოვრების და საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიაში. მან შემოიტანა ჩვენში რუსეთის პროგრესიული იდეალები პირველად და ევროპიულ აზროვნებას ჩაუყარა ჩვენში ნიადაგი. ბრძოლა ბატონ-ყმური ურთიერთობის წინააღმდეგ, ქართული სკოლის, ქართული ენის და ქართული კულტურის გაუმჯობესება ქართველ ლიბერალების სამოღვაწეო პროგრამად გადაიქცა. განსაკუთრებული ეროვნული პროგრამა სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ ამ ლიბერალურ მიმდინარეობას ჩვენში არ წარუყენებია იმ პერიოდში, ხოლო შემდეგში (80 წლებიდან) მან სავსებით შეითვისა თავად-აზნაურულ რეაქციონურ ინტელიგენციის პოლიტიკური კრედო.

მაგრამ ქართულ ლიბერალიზმს 60-70 წლებში მეორე მიმდინარეობა ჰქონდა უფრო რადიკალური და დემოკრატიული, ვინემ იყო ი. ჭავჭავაძის ლიბერალიზმი. ამ ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობის მეთაურად შეიძლება ჩაითვალოს **გ. წერეთელი.** გ. წერეთელი აღარ იხედება უკან ი. ჭავჭავაძისავით თავად-აზნაურობისაკენ; მისი სამოღვაწეო პროგრამა ბურჟუაზიული შინაარსისაა და მას კარგად ესმის ის დიდი როლი და მნიშვნელობა, რომელიც მოიპოვა ამ ახალმა კლასმა ცხოვრების წარმატებაში (იხ. კრებული № 3, 4 1873 წლ.). ამიტომ იგი ვაჭარ-მრეწველთა კლასის გამრავლებას და ბურჟუაზიული კლასის მებაირახტრედ გამოდის. ამ მხრივ იგი არ. ჯორჯაძის წინამორბედი არის. მაგრამ გ. წერეთელი სხვა მხრივაც არის საინტერესო. მას და მთელ რიგ მოღვაწეებს ეტყობათ ცდა იროვნული კითხვების პოლიტიკურ ნიადაგზე დაყენებისა. იგი გადაჭრით იცავს ამიერ-კავკასიის ახალ სოლიდარობის პოლიტიკას და კავშირს (იხ. „დროება“ 1879 № 13 და სხ.) მეორეს მხრით ეს ჯგუფი იცავს არა მონარქიზმის შეკეთების, არამედ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ფედერატიულად მოწყობის პროგრამას. **ივ. ჯაბადარის** მოგონებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ამ ჯგუფს 1874 წელში ჟენევაში მოუწვევია კონგრესი, რომელსაც დასწრებია სომხეთის და დაღისტნის წარმომადგენლებთან ერთად ქართველი საზოგადო მოღვაწენიც; მათ შორის: გ. წერეთელი, ალ. სარაჯიშვილი, ივანიშვილი, პ. მელიქიშვილი, ალ. ციციშვილი. (ნაროდნიკი) ნ. ნიკოლაძის ორი და, ელიოზაშვილი, სერგო და კონსტანტინე მესხები, ჩიკოიძე და ჯაბადარი (ნაროდნიკები) და სხ. გარდა ნაროდნიკებისა ქართველ მოღვაწეებს წამოუყენებიათ **ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის შექმნის პროექტი** (იხ. ჯაბადარი: „Процесс 50-ти“ „Былое“ 9/21 197). რასაკვირველია, ეს პროექტი პროექტად დარჩა, მაგრამ ქართველი აზროვნების ისტორიისათვის ასეთ ცდას მნიშვნელობა აქვს. რეაქციონური თავად-აზნაურობა უკვე 30-იან წლებიდან გამოეთხოვა ეროვნული პოლიტიკის წამოყენებას, მან ქედი მოიხარა რუსეთის მონარქიის წინაშე. 70-80 წლებისათვის ბურჟუაზიული ინტელიგენცია ცდილობს ეროვნული პრობლემის განახლებას და ახალი ეკონომიური კითხვების წამოყენებას. მაგრამ მის მოღვაწეობას გასაქანს არ აძლევს დიდხნიანი რუსეთის ბიუროკრატიულ - მონარქიული სახელმწიფოს აპარატი. ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგებიც პოლიტიკურ რადიკალიზმამდი მიდიან და კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის პროგრამას აყენებენ. არსებითად ბურჟუაზიულ ინტელიგენციას სურს ეროვნული პროგრამის წამოყენებით ხელში ჩაიგდოს პოლიტიკური ძალა-უფლება ამიერ-კავკასიაში და ფართოდ გაუხსნას გზა ბურჟუაზიულ განვითარებას ჩვენში.ამრიგად ეროვნული პრობლემა 70-80 წლებში ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ გამოაცოცხლა,მაგრამ რადგანაც ამ პერიოდში ვაჭართა ფენები ჩანასახის პერიოდში იყო, ამიტომ ეს პროგრამაც უშედეგოდ დარჩა და მხოლოდ ინტელიგენციის ნაწილი ესარჩლებოდა ფარულად. 1900 წლებისთვის გ. წერეთლის როგორც ეკონომიური, ისე ეროვნული პროგრამა განაცოცხლა არჩ. ჯორჯაძემ.

ნაროდნიკული მიმდინარეობა

60 და 70 წლები რუსეთის ისტორიაში ცნობილი არის, როგორც რევოლიუციონური მოძრაობის ეპოქა. ხალხოსნური მოძრაობა, ხალხთან დაახლოვება და ხალხში სიარული მორიგ ამოცანად გადაიქცა რუსეთის ინტელიგენციისათვის.საქ. თავისი ეკონომიური წყობილებითა და სოციალური შენობით ძლიერ წააგავს რუსეთს. აქაც იმ პერიოდისათვის სამეურნეო ცხოვრებაში გადამჭრელ როლს თამაშობდა ურთიერთობა თავად-აზნაურთა და გლეხობისა. 1864 წ. საქართველომ ახლად მოიშორა ფეოდალიზმის ქერქი და ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ჩამოყალიბდა სოფლის წვრილ-ბურჟუაზიული კლასი—**სოფლის მესაკუთრე გლეხობა** და აგრეთვე ქალაქის წვრილი ბურჟუაზიაც განვითარდა. ცხადია, გლეხობას, რომელიც ჩვენი ხალხის დიდ უმეტესობას შეადგენდა, უნდა გამოსჩენოდა თავისი დამცველი, თავისი იდეოლოგიის მატარებელი ინტელიგენცია. რუსეთის მოძრაობამ ამ მხრივაც დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს ინტელიგენციაზე და 70-80 წლებში ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ცხოვრების ფონზე უკვე გამოჩნდენ ნაროდნიკული იდეოლოგიით შეიარაღებული მებრძოლი. მაგრამ ეს მოძრაობა არ იყო ხალხური მოძრაობა; ის მხოლოდ ინტელიგენციის ფენებს ეხებოდა. ნაროდნიკული მოძრაობა თავის პროგრამის მიხედვით ორ პერიოდათ შეიძლება გავყოთ მე-19 საუკუნეში: პირველი პერიოდი 70-80 წლებს შეიცავს. ამ პერიოდისათვის ის პროგრესიული მოვლენა არის, რამდენადაც ნაროდნიკული ინტელიგენცია ხელს უწყობდა „სოციალისტურ“ იდეების გავრცელებას მოსწავლე ახალგაზრდობაში და თავის პროგრამით იცავდა სოფლის წვრილ მესაკუთრეს, რომელიც ახლახან გამოძვრა ბატონ-ყმობის ნაჭუჭიდან. გამაგრება სოფლის წვრილი მესაკუთრისა იმ პერიოდში პროგრესიული მოვლენა იყო ჩვენი ეკონომიკისათვის, რადგან ის ხელს უწყობდა კაპიტალიზმის განვითარებას ჩვენში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, არტელები, ასოციაციები და საერთოდ გლეხის კულტურის აყვავება და დაცვა—ეს სამეურნეო პროგრამა, წამოყენებული ჩვენი წვრილ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის მიერ 70—80 წლებში, ფაქტიურად ხელს უწყობდა ჩვენი სოფლის ეკონომიკის განვითარებას ბურჟუაზიული მიმართულებით და მასთანვე ჰქმნიდა საჭირო ბაზარს ქალაქის წარმოებისათვის. მაგრამ ის, რაც პროგრესიული და რევოლიუციონური იყო განსაზღვრული პერიოდისათვის, სრულიად რეაქციონური შინაარსით აივსო [illegible]. 90-იან წლებში ნაროდნიკული მიმდინარეობა ჩვენში გამოხატავდა წვრილ ბურჟუაზიის რეაქციონურ სულისკვეთებას. ნაროდნიკული ინტელიგენცია წინ აღუდგა თავისი პროგრამით კაპიტალიზმის განვითარებას ჩვენში, უარყოფდა პროლეტარიატის როლს და სწადდა ხალხის ეკონომიური სტრუქტურა წვრილი მესაკუთრის ინტერესების მიხედვით აეგო. კაპიტალიზმის განვითარებამ ა.-კავკასიაში ხელი შეუწყო სოფლის წვრილი მესაკუთრის განვითარებას და ინტელიგენციაც, დამფრთხალი ამ მოვლენით, სცდილობდა გადაერჩინა წვრილი მესაკუთრე განადგურებისაგან და წამოიყენებია პროგრამა კაპიტალიზმის განვითარების შეფერხებისა საქართველოში. თავის თავად ეს პროგრამა იყო რეაქციონურ-უტოპიური და ცხოვრებამ იგი უკუაგდო, ხოლო ჩვენი სამეურნეო გზები კაპიტალისტური განვითარებით წავიდა. ნაროდნიკული ინტელიგენცია არსებითად ჩამორჩა ჩვენი ცხოვრების განვითარებას. მან 90-იან წლებში ვერ შეამჩნია ორი დიდი ფაქტორი, ჩვენი ცხოვრების სიღრმეში შექმნილი: ფულის ტრიალის გამეფება, კაპიტალისტური მეურნეობის აღმოცენება და პროლეტარიატის ჩამოყალიბება. ამის გამო ნაროდნიკული ინტელიგენცია გაირიყა ცხოვრებიდან და მისი ადგილი ახალმა მიმდინარეობამ დაიჭირა.

როგორი იყო ამ ჯგუფის ეროვნული პროგრამა?

ნაროდნიკული მიმდინარეობა ჩვენში მოკავშირეს ეძებდა რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიაში და სრულიად არ სცდილობდა ქართველი ხალხი გამოეყო რუსეთის საერთო მოძრაობიდან. ამიტომ იყო, რომ ერთი ნაწილი ჩვენი ნაროდნიკული ინტელიგენციისა (ზდანოვიჩი - მაიაშვილი, ჯაბადარი, გამყრელიძე, ციციშვილი, ჩიკვაიძე და სხვ.) მხურვალე მონაწილეობას იღებდენ რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში. ეს ჯგუფი სცდილობდა ქართველი ხალხის განთავისუფლებას რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიასთან ერთად. 1874 წელს ჟენევის ქართველთა კონგრესზე ამ ჯგუფმა გაილაშქრა ამიერ-კავკასიის ფედერაციის პროექტის წინააღმდეგ და მოითხოვა ქართველი ხალხის გაერთიანება რუსეთის ხალხთან (იხ. **ჯაბადარის „მოგონებები“**). მსგავსივე პოლიტიკით გამოდიოდენ საქართველოში მომქმედი ნაროდნიკული წრეები70—80 წლებშიაც (იხ. **შ. დავიდოვის** მოგონებანი „ჩვენი მატიანე“ № 3 1923 წ. გვ. 204). ამრიგად ნაროდნიკების ეროვნული ფორმულა შემდეგი სახით გამოითქმებოდა: **საქართველოს განახლება განახლებულ რუსეთში.** ამ სახით ნაროდნიკულმა ინტელიგენციამ თავისი მოკავშირე რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიაში ჰპოვა; იგი იდეოლოგიურად, პროგრამით და ორგანიზაციულად გადაეჯაჭვა რუსეთის რევოლიუციონურ მიმდინარეობას. ნაროდნიკულმა მიმდინარეობამ ანდერძად დაგვიტოვა თავისი მემკვიდრე თაობის რუსეთის დემოკრატიასთან კავშირი და მასთან ერთად ბრძოლა საუკეთესო იდეალებისათვის.

მარქსისტული მიმდინარეობა ჩვენში

90-წლები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპოქა არის ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ამ პერიოდში ქართველმა ხალხმა თითქოს ჯამი გაუკეთა თავის ერთი საუკუნის მოღვაწეობას და გაასკეცებული ენერგიით გამოააშკარავა თავისი შემოქმედებითი პოტენცია. ეს ეპოქა ყოველ მხრივ მდიდარი და მნიშვნელოვანი არის ჩვენთვის. ამ ხანაში გარკვეული პროგრამით დაუპირისპირდენ ერთი მეორეს სოციალური კლასები: გაჩაღდა კლასთა შორის არა მარტო ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ბრძოლა, არამედ თეორიულ - იდეოლოგიურ ხასიათის ომიც. 90-იან წლებმა ჩვენ მოგვცა ახალი მიმდინარეობა მარქსიზმის სახით. მარქსიზმის აღმოცენებას და განმტკიცებას ჩვენში ხელი შეუწყო სამმა გარემოებამ: ა) ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ ჩვენში და ახალი სოციალური კლასის — პროლეტარიატის წარმოშობამ; ბ) ძველი სოციალისტური მიმდინარეობის საბოლოო გაკოტრებამ და გ) რუსეთის მარქსისტულ მიმდინარეობის გავლენამ.

90-იან წლებისათვის ჩვენთვის უკვე ჩამოყალიბებული იყო მუშათა კლასი და მას თავისი იდეოლოგია უნდა გასჩენოდა. ეს იკისრა ქართულმა მარქსიზმმა, ხოლო რადგან **ჩვენი პროლეტარიატი [illegible] მასას წარმოადგენდა,** ამიტომ მარქსიზმის შეთვისების საქმეზედაც ამ გარემოებას თავისი გავლენა უნდა მოეხდინა. მაგრამ აღსანიშნავი არის მეორე მომენტიც:, 90-იან წლებში ჩვენში ამოძრავდა წვრილი ბურჟუაზიაც. ნაწილობრივ გლეხობა, ინტელიგენცია და სხვა, რადგან ამ წრეებმა თავისი შესაფერისი დამცველი ვერ ნახეს ნაროდნიკულ მიმდინარეობაში, ისინი გაეშურენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისაკენ. ამ საკითხის შესახებ 1905 წელს ნ. ჟორდანია სწერდა: „წვრილი ბურჟუაზიული კლასები თავის პარტიებში ვერ გამაგრდენ. სამაგიეროდ ისინი მაგრდებიან ჩვენს პარტიაში, ამით ბურჟუაზიულმა აზროვნებამ შემოხეთქა სოციალ - დემოკრატიის კედლებში და მას ემუქრება შიგნიდან (იხ. ნ. ჟორდანიას „დემოკრატია და ს.-დემოკრატია“ გვ. 19). ცხადია, ეს წვრილ ბურჟუაზიული მასა და ინტელიგენციაც თავისებურ გაგებას მისცემდენ მარქსიზმის პრინციპებს. მენშევიზმი, რომელიც შემდეგ ჩამოყალიბდა ჩვენში, არსებითად გამომხატველი იყო ამ წვრილბურჟუაზიულ ფენებისა და მისი სარდლობა ნ. ჟორდანიას ხვდა წილად. ორი დიდი კითხვის გაშუქება-განმარტება დასჭირდა ჩვენში ახლად აღმოცენებულ მარქსიზმს 90-იან წლებში: ა) მარქსისტებმა მეცნიერულად დაამტკიცეს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც თან მოსდევდა კაპიტალიზმის განვითარებას, შედარებით წინა კაპიტალისტურ სამეურნეო ფორმაციასთან. ჩვენში არსებული მიმდინარეობანი (ნაროდნიკები, კონსერვატორები,) ერთის მხრივ მეცნიერულად უარყოფდენ საერთო კაპიტალიზმის დიდ როლს ხალხის წარმატების საქმეში, მეორეს მხრივ სრულიად ვერ ამჩნევდენ (ზოგიერთი ნაროდნიკების გამოკლებით) ახალ მომენტებს ჩვენი სამეურნეო ცხოვრებაში. მარქსიზმმა ამ მხრივ გამანადგურებელი მახვილი ჩასცა მათ დებულებებს და ფაქტებით ხელში დაამტკიცა ის ღრმა ეკონომიური ცვლილების არსებობა, რომელიც განიცადა საქართველომ 1864 წლის შემდეგ: საქართველომ თავი შეყო კაპიტალისტურ ურთიერთობაში და ამის არ დანახვა მხოლოდ ჩამორჩენილობით შეიძლებოდა. მაგრამ კაპიტალისტურ განვითარებას არა ამრტო წარმატება მოჰქონდა, არა მარტო ეკონომიურ დაწინაურებას უწყობდა ხელს, არამედ ჰქმნიდა სილატაკეს და სიმშილს ფართო მასისათვის. ასეთი არის დიალექტიური გზა კაპიტალიზმის განვითარებისა; ბ) მაგრამ კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობას თან მოსდევდა ერის დაყოფა კლასებად; მოწინააღმდეგე ჯგუფებს აქაც გაურკვევლობას იჩენდენ: ერთის მხრით ისინი უარყოფდენ კლასების არსებობას ჩვენში, მეორეს მხრით მათ სრულიად არაფერი გაეგებოდათ იმ დიდი მისიის, რომელიც ისტორიამ დააკისრა პროლეტარიატს აღსასრულებლად. მაგრამ უკანასკნელი კითხვის გარკვევაში მარქსისტული მიმდინარეობის ერთმა ნაწილმა (ნ. ჟორდანია და სხვ.) სრული გაუგებრობა გამოიჩინა და აქ აღმოაჩინა სწორედ მისი ოპორტიუნიზმი და წვრილბურჟუაზიული ბუნება. ჟორდანიამ სრულიად სწორად შენიშნა ჩვენი ცხოვრების გაქალაქების ტენდენციები, ქალაქის მცხოვრებთა დაწინაურება და მათ ხელმძღვანელობა საერთო მიმდინარეობისა. მაგრამ მას დაავიწყდა,რომ **ქალაქის მცხოვრებნი თავისი მხრით დაყოფილნი არიან** კლასებად და მარქსიზმი სწორედ პროლეტარიატს სცნობს მებრძოლ კლასად და მის ჰეგემონიას ამყარებს სხვა დემოკრატიულ ფენებზე. ნ. ჟორდანიამ ეს ელემენტარული, მაგრამ ძირითადი დებულება მარქსიზმისა ვერ შეითვისა და ფართო დემოკრატიული პროგრამა წამოაყენა თავის სამოღვაწეო პლატფორმაში. 1900 წ. იგი სწერდა:... „ჩვენი ერის მოწინავე ხალხის თანდათანი განვითარება, გაცნობიერება, დაბალი საფეხურიდან მაღლა ამოყვანა და შეგნებულ რაზმად გადაქცევა — აი რას უნდა ელტვოდეს მწერლობა, აი მისი დროშა. ეს ერთიანად დემოკრატიული მოძრაობაა და მისი წინამძღოლი პრესაც დემოკრატიულია“ (იხ. „ქართული პრესა“ გვ. 116 1900 წ.) ამრიგად „დემოკრატიის“ მოძრაობა და „დემოკრატის“ დროშა გადაიქცა ნ. ჟორდანიას სამოღვაწეო პროგრამად. ეს პროგრესიული პროგრამა იყო ჩვენში მაშინდელ ცხოვრებისათვის, მაგრამ იგი მაინც შორს იდგა მარქსიზმისაგან. ჟორდანია პროლეტარიატის ხელმძღვანელობას კი არ მოითხოვს ფართო დემოკრატიულ მასაზე, არამედ პროლეტარიატის გათქვეფას მასაში, მისი კლასიური თვითშემეცნების გალესვას დემოკრატიულ ლოზუნგში. დღესაც სიტყვით ამ ლოზუნგით გამოდის მენშევიკური პარტია, მაგრამ იგი დღევანდელი პირობებისათვის რეაქციონურია და სრულიად მიუღებელი. ჩვენში ნ. ჟორდანიას პირით მეტყველებდა წვრილი ბურჟუაზიის პროგრესიული ნაწილი. ნაროდნიკებმა მათი მოთხოვნილებები ვერ დააკმაყოფილეს და წვრილი ბურჟუაზიაც (ინტელიგენცია, მოწინავე გლეხობა და სხ.) მარქსისტულ სამოსელში გამოეხვია და მარქსისტული ნიღაბით გამოვიდა, ხოლო მისი არსებითი ბუნება მაინც წვრილბურჟუაზიული დარჩა. მან თავისი რეალური სახეც მიიღო და ამ გარემოებას ხელი შეუწყო, ერთის მხრით, მოწინავე გათვითცნობიერებული მუშათა კონტინგენტის ჩამოყალიბებამ ჩვენში, ხოლო მეორე მხრით რევოლიუციონური ინტელიგენციის (**ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია** და სხვ.) მხრივ მარქსიზმის სწორედ გაგებამ. ასეთი ნაკადულიდან აღმოცენდა შემდეგში **დამთავრებული რევოლიუციონური სისტემა ბოლშევიზმის სახით.**

* * *

ჩვენ გავითვალისწინეთ უმთავრესი მომენტები ქართული ინტელიგენციის განვითარებისა და დავინახეთ, რომ 60-ე წლებიდან საქართველოს ეკონომიურსა და პოლიტიკურს ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა დაარღვია ინტელიგენციის პატრიარქალური ოჯახი და ისინი სხვა და სხვა ჯგუფების სახით დაუპირისპირდენ ერთი-მეორეს. ეს იყო ანარეკლი სოციალური ცხოვრებისა: რეალურად კლასების დაპირისპირებამ გამოიწვია ინტელიგენციის დაყოფა ჯგუფებად, სადაც ომი უმთავრესად თეორიულ და იდეოლოგიურ ფრონტზე სწარმოებდა. მაგრამ ცხოვრება გამუდმებული წინმსვლელობა არის დიალექტიურის ფორმებით: ის, რაც ერთ პერიოდში პროგრესიული არის, მეორე სოციალ-ეკონომიური პერიოდისათვის რეაქციონური ხდება.ასე ემართებათ კლასებს,ასევე მოსდით პარტიებსაც. მე-19 საუკუნეში მომქმედი ყველა კლასები და პარტიები დღეს სრულიად მიუღებელი არიან ჩვენი რეალური სინამდვილისათვის. აქედან იმავე საზოგადოებრივი ცხოვრების ლოღიკის ძალა მხოლოდ ერთმა შეინარჩუნა თავისი პროგრესიული დანიშნულება: **ეს კლასი პროლეტარიატი და მისი პარტია მარქსისტულ - ბოლშევიკური,** რომელსაც ისტორიამ დააკისრა საქართველოს სინამდვილის გარდაქმნა კომუნისტურ საფუძვლებზე. მე-19 საუკუნემ საკმაო იდეოლოგიური მემკვიდრეობა დაუტოვა პროლეტარიატს და მის პარტიას: ქართულ ინტელიგენციის ნამოღვაწარს ხელაღებით არ უარყოფს პროლეტარიატი: იგი აფასებს ამ მოღვაწეობას ისტორიულ საზომით და კრეფს ინტელიგენციის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობიდან იმას, რაც ცხოვრების წინ წამწევი და პროგრესიული იყო.

სიმონ ხუნდაძე.

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 139.

პარტიული ცხოვრება
როგორ არ უნდა იწერებოდეს რეზოლიუციები

ერთხანს უჯრედში ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი: კრებაზე გაკეთდებოდა მოხსენება, გაიმართებოდა მცირეოდენი აზრთა გაცვლა-გამოცვლა და შემდეგ მოხსენება უმეტეს შემთხვევაში ცნობად იქნებოდა მიღებული. ამ არანორმალურ მდგომარეობის გამოსასწორებლად შესაფერის პარტორგანიზაციების მიერ თავის დროზე იქნა მიღებული ზომები და ამჟამად შეიძლება ითქვას ეს ნაკლი უკვე არ ატარებს მასიურ ხასიათს.

სამაგიეროთ ხშირია გადახრა მეორე მხრივ. ზოგან, რაკი გაიგეს, რომ მოხსენებათა გარშემო უნდა იქნეს მიღებული რეზოლიუცია, თავის წმინდა მოვალეობათ სთვლიან, ამ დირექტივის ცხოვრებაში პირნათლად გატარებას და არის თუ არ არის საჭირო, მაინც მუხლებათ დაყოფილი, გრძელ-გრძელი დადგენილებები გამოაქვთ. მიღებულ დადგენილებებით შინაარსის საქმიან ხასიათზე კი არვინ ზრუნავს. ხშირია მაგალითი, როდესაც მოხსენებების გარშემო (მაგალითად კომკავშირის მუშაობაზე) იღებენ ასეთ ხასიათის დადგენილებებს: მუშაობა ცნობილ იქნეს დამაკმაყოფილებლად. მომავალში დაევალოს კომკავშირის უჯრედს გააძლიეროს თავისი მუშაობა, გააძლიეროს კავშირი უპარტიოებთან, ასწიოს წევრთა პოლიტგანვითარების დონე და სხვადასხვა.

ასეთ დადგენილება რასაკვირველია არც კომკავშირის უჯრედს და არც მით უმეტეს ხელმძღვანელ ორგანოს არაფერს ეუბნება. ასეთი ფრაზები: „გააძლიეროს", „ასწიოს", „გააუმჯობესოს", ოდნავადაც ვერ შეუწყობს ხელს მუშაობის გაცხოველებას, რადგან ისედაც ცნობილია, რომ ყველაფერი ეს უნდა მოხდეს. მთავარია, როგორ უნდა გაუმჯობესდეს, რა გზით უნდა გააძლიეროს კომკავშ. თავისი გავლენა უპარტიო ახალგაზრდობაში, რა გზით ასწიოს თავის წევრთა შორის პოლიტგანათ. დონე და სხ. მთავარია ე. ი. პრაქტიკული წინადადებები, ხოლო ამის შესახებ უმეტეს შემთხვევაში მიღებულ რეზოლიუციებში ლაპარაკი არ არის.

ჩვენის აზრით ეს ორგვარი მიზეზის გამო ხდება. ერთი იმიტომ, რომ უჯრედების სხდომის დღის წესრიგი არ ცხადდება რამოდენიმე დღით ადრე, რის გამო უჯრედის წევრი არ არის გაცნობილი საკითხის და წინასწარ მის გარშემო შემუშავებული აზრით არ მოდის კრებაზე. მეორე კი ის, რომ რეზოლიუციების შემუშავება თითქმის ყველგან უჯრედის კრებაზედვე ხდება. კრებაზე ხშირად დაინახავთ ისეთ სურათს, როდესაც ერთი ამხანაგი მეორეს ეხვეწება შეადგინოს რეზოლიუცია. რასაკვირველია, ასე უცბად შედგენილი რეზოლიუცია ზოგადი ხასიათის არის და მომავალ მუშაობისათვის არავითარ რეალურ ღირებულებას არ წარმოადგენს.

აქ საჭიროა ჩვენის აზრით, შემოღებულ იქნას პრაქტიკაში შემდეგი: უჯრედის ბიურომ ორი-სამი დღის წინ უნდა გამოაქვეყნოს კრების დღის წესრიგი. სასურველია აგრეთვე თუ წინასწარ დაარსდება რამოდენიმე ამხანაგისაგან შემდგარი კომისია, რომელიც შეიმუშავებს პრაქტიკულ რეზოლიუციას მომხსენებელთან ერთად. შემდეგ რეზოლიუციას განიხილავს უჯრედის კრება და ის შევსებულ იქნება კამათის დროს აღნიშნულ საქმიანი წინადადებებით.

იქ, სადაც არ არის შესაძლებელი ასეთი კომისიის მოწყობა ჩვენი აზრით რეზოლიუციის პროექტის წინასწარ შემუშავება უნდა დაევალოს თვით მომხსენებელს.

ბანიძე.

ქალთა შორის
საჭიროა საზაფხულო კურსების გახსნა
(ახალქალაქის მაზრა)

საბჭოთა ხელისუფლების დროს ქალთა შორის წარმოებულმა მუშაობამ ახალქალაქის მაზრებში განსაკუთრებული ნაყოფი გამოიღო. მუშაობაში ჩაბმული არიან განსაკუთრებით გლეხი ქალები. 202 დელეგატ ქალიდან რომლებიც არჩეულნი იქნენ 1925 წლ. დეკემბერში 154 გლეხის ქალია. ქალაქს გარდა, სოფლებში 16 პუნქტში არსებობს სადელეგატო კრებები, სადაც სისტემატიური მეცადინეობა სწარმოებს. აღნიშნულ პუნქტებში სადელეგატო კრებების მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი მასწავლებელი და ძველი აქტიური დელეგატი ქალები.

მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილება მთავარ ყურადღებას აქცევს ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობას. ქალაქის დელეგატ ქალებში ამჟამად მოსპობილია წერა-კითხვის უცოდინარობა, სოფლებში კი წერა-კითხვა შეისწავლა ასამდე გლეხ ქალმა. დელეგატი ქალები ჩაბმული არიან ქოხ-სამკითხველოების და სხვადასხვა წრეების მუშაობაში.

ახალქალაქის სათემო საბჭოებში არჩეულია 63 მშრომელი ქალი, კოოპერატივში 150 ქალია წევრათ. გლეხი ქალები ესწრებიან პარტიის უჯრედების ღია კრებებსაც.

ახალქალაქის მშრომელი ქალი პრესაშიაც იღებს მონაწილეობას, კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებში არჩეულია 22 ქალი, ადგილობრივ გაზ. „რანჩპარ"-ში მონაწილეობას იღებს 8 კორესპონდენტი ქალი.

მუშა და გლეხ ქალთა შორის სამუშაო განყოფილებას მჭიდრო კავშირი აქვს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირთან, პროფ-ბიუროსთან და შრომის სასამართლოსთან; 26 გლეხის ქალია არჩეული სახალხო მსაჯულებათ.

ქალთა შორის მომუშავე განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეს. აყვანილია აღრიცხვაზე ყველა ღარიბი ქალი, შესყიდულია მატყლი და შემოდგომაზე დაარსდება სხვადასხვა სოფლებში არტელები. ქალაქში უკვე არსებობს ერთი ქალთა არტელი და ერთიც ჭრა-კერვის სასწავლებელი.

უნდა ითქვას, რომ თათრის ქალებში მუშაობა მოიკოჭლებს, რაც გამოწვეულია მით, რომ განყოფილებას არ ჰყავს მათ შორის საქმიანი მომზადებული მომუშავეთა კადრი. ზაფხულში აუცილებლათ უნდა მოეწყოს კურსები თათარ ქალთა შორის მომუშავეთა მოსამზადებლად.

ს. ჩ.

საბჭოთა საქართველო
დეპეშები

წერაკუმსის სკოლებში

ქუთაისი, 21 ივნისი. 2925—26 წელში ქუთაისის პოლიტ-განათლების კომიტეტს მიერ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 230 სკოლა დაამთავრა 4,989 კაცმა; ამათგან ქალები—2,129, ეროვნების მიხედვით: ქართველები—4,947, სომხები—11 მუსულმანები—1, რუსები—17, სხვა ეროვნებათაგან—13.

მეცადინეობა გრძელდება 12 სკოლაში.

მეწყერი

ქუთაისი, 21 ივნისი. დიდი ნიაღვრის გამო, 19 ივნისს, რკინისგზის ხაზზე სადგურ სალიატთან ჩამოაწვა მეწყერი. მატარებლების მოძრაობა შეჩერდა საღამოს 7 საათზე.

სახერხი ქარხანა

ოზურგეთი, 21 ივნისი. სამაზრო აღმასკომთან არსებულმა ხე-ტყის დამამზადებელი განყოფილება შეუდგა სახერხი ქარხნის მოწყობას.

ფიცრების დამზადების გარდა, ქარხანა დაამზადებს სხვა საგნებსაც.

სეტყვა

ლიუქსემბურგი, 21 ივნისი. 19 ივნისს მთელ მაზრაში დიდი სეტყვა მოვიდა. სეტყვა ბერძნული კაკლის ოდენა იყო. სეტყვამ გააფუჭა ნათესი 6 თემში და აგრეთვე ლიუქსემბურგისა და დიდი ხარბინის ვენახები. ზარალის გამოსაკვლევად გაემგზავრა კომისია. ვენახების ნაწილი დაზღვეულია.

მძარცველები

თელავი, 21 ივნისი. უკანასკნელ ხანებში თელავში გამოჩნდა ქურდებისა და მძარცველების ჯგუფი.

გაძარცულია პედაგოგიურ ტეხნიკუმის ავეჯის სახელოსნო, კომუნალურ განყოფილების საკანცელარიო ნივთების მაღაზია და სახალხო თეატრისკასა.

წითელი ჯვრის მუშაობა

თელავი, 21 ივნისი. თელავის ქალაქის განაპირა ნაწილის „მაწანწარას" რაიონში, რომელიც ეკვრის სოფლებს: კურდღელაურს და ვარდისუბანს, მრავალრიცხოვან გლეხთა მონაწილეობით მოხდა საქართველოს წითელი ჯვრის ამბულატორიის და აფთიაქის საზეიმო გახსნა.

მანუფაქტურა

თელავი, 21 ივნისი. მეცხვარეთა საზოგადოების „მწყემსის" ადგილობრივმა განყოფილებამ თუშეთში მწყემსთათვის და ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის გაგზავნა, მოძრავი დუქანი მანუფაქტურით დატვირთული.

სამხრეთ-ოსეთი
ნიაღვარი

ცხინვალი, 21 ივნისი. გუშინ ცხინვალის რაიონში მოვიდა დიდი ნიაღვარი. ზარალი მნიშვნელოვანია. წყალმა დაანგრია და წაიღო 12 სახლი და 6 წისქვილი. სოფლები აზნევი და კოხვი წყლით არის დაფარული.

წალეკულია ხიდი. მეცხრე ვერსზე ნიაღვარმა ძლიერ დააზიანა გზატკეცილი. დაიღუპა 6 კაცი.

ადგილზედ ზარალის გამოსარკვევად გაემგზავრა სპეციალური კომისია.

წერილები
სინათლისთვის მებრძოლი ახალი რაზმი
(გორი)

გორის პედაგოგიური ტეხნიკუმი მეორეთ უშვებს წითელი პედაგოგების ახალ გუნდს. შარშანდელ კურს დამთავრებულები ამჟამად მუშაობენ როგორც 7 წლედის, ისე შრომის სკოლებში და აგრეთვე 4 წლედებში. მათი რიცხვი უდრიდა 25-ს.

წელს გორის ტეხნიკუმი მისცემს მშრომელ გლეხობას 24 წითელ პედაგოგს.

მათ შორის 6 ქალია და 18 ვაჟი. პარტიულობის მხრივ 90 პროც. კომკავშირელებია.

მსმენელებმა სავსებით გაამართლეს იმედები, რაც მათ ჰქონდათ დაკისრებული. ამის დამამტკიცებელია უკანასკნელი შემოწმება, რომელმაც ნათლად დაგვანახა მათი ნაყოფიერი მეცადინეობის შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ მსმენელებს ძლიერ მძიმე ნივთიერ პირობებში უხდებოდათ მეცადინეობა, მაინც შესძლეს საქმისადმი მტკიცე მოპყრობით სამოსწავლო წლის წარმატებით ჩატარება. მოსწავლენი იყვნენ, როგორც ადგილობრივები, აგრეთვე სხვადასხვა მაზრებიდან ჩამოსული ღარიბი გლეხისა და მუშის შვილები.

სასწავლებელში არსებობდა სხვადასხვა წრეები; მათ შორის ლიტერატურული, კომპლექსური პროგრამების შემსწავლელი, პროგრამების შემსწავლელი, დრამატიული, წერაკუმსი, და სხვა. მუშაობა ამ წრეებში სისტემატიური იყო.

მსმენელებს უხდებოდათ სისტემატიურად ადგილობრივ შრომის სკოლის მე-4-დან მე-3 ჯგუფამდე სხვადასხვა საგნებში პრაქტიკული გაკვეთილების გადაცემა. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულმა გაკვეთილებმა ძლიერ კარგი შედეგები გამოიღო.

უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლეს საგნებში მსმენელებს მეცადინეობა უხდებოდათ სახელმძღვანელების გარეშე რადგან ასეთები არ მოიპოვება,—თუ არის, გამოცემულია რუსულ ენაზე და მისი შოვნაც ძლიერ ძნელია, ეს კი მეტად აბრკოლებდა საქმეს.

სასწავლებელს აქვს თავისი ბაღი, სადაც მსმენელები პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდნენ სასოფლო-მეურნეობაში და მეფუტკრეობაში.

დასასრულ მე გამოვსთქვამ იმედს, რომ ყველა კურსდამთავრებული ახალგაზრდა პედაგოგები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა საქართველოს კულტურულ და სამეურნეო აღმშენებლობაში.

კურ-ტი ჯელილი დიასამიძე.

კოლია ყასაბი
(ზესტაფონი)

მართალია კოლიას საყასბო გვარი არა აქვს, მაგრამ როცა კაცს გაგიჭირდება აბა სხვა რა უნდა ჰქნა? კოლია აბაშიძის საქმეა ჩეჩნური ჩოხა-ახალოხი, უძიროები, ბეჭზე გადაგდებული ფაფანაკი, ხელში კრიალოსანი და პირში პაპიროსი. მახლას, მართლაც გაფუჭდა და გავერანდა დრო.

მხოლოდ ძილში თუ ნახავს კოლია აბაშიძე ასეთ ცხოვრებას, თორემ ცხადათ ისე ჩავა საფლავში, რომ ვერაფერს ამის მზგავს ვერ მოილანდებს. ტყუილა არ უთქვამს ჩვენს წინაპრებს: „აზნაური მჭადს არ შესჭამს, თუ მოშივდა ქვასაც შესჭამსო".

ქვის რა მოგახსენოთ, ხოლო კოლა აბაშიძეს მჭადზე ნაკლები სახრავი არ უშოვნია ზესტაფონის ბაზარში. ეს სახრავი გახლავთ ხორცით ვაჭრობა. „ძალიან მომგებიანი რამეა ყასბობა, იტყვის ხოლმე კოლია თავმომწონეთ მეზობელ ვაჭრებში, ასეთი საქონელი აბა რომელი მოიძებნება? ყველაფერი ფულია: ტყავი, თავ-ფეხი, ჩლიქები, წელები და ნაკელიც. და აბა ხორცი ხომ არის და არის შიგ ფულიც რა [illegible] ტრიალებს დახლში, დილიდან საღამომდე უკვე იცი რა მოგება ნახე დღეს, თუ რას ზარალობ".

კაცმა რომ თქვას, კოლია მართალს ამბობს. არა, უკაცრავად. მართალზე ნაკლებ ანუ არ ამბობს მთელ სიმართლეს. საქმე იმაშია, რომ ყველა ამ სიკეთესთან, რომელიც ხორცით ვაჭრობას ახლავს, მას ერთი ბედნიერება დაავიწყდა. ეს გახლავთ განსაკუთრებული სახის მუშტარი, რომელიც ხორცის სავაჭროებს ანსხვავებს სხვებისაგან. როგორც მოგეხსენებათ, არც ერთ სავაჭროს ისე არ ეტანება ქალები, როგორც საყასბოს.

და კოლია აბაშიძემაც გადასწყვიტა სხვა სიკეთესთან ერთად, რომელიც ხორცის ვაჭრობას ახლავს, ამ სიკეთითაც მოითბოს ხელი.

ბადეც ოსტატურად გაუფინა კოლიამ ქალებს. სალაროში უზის მაჭანკალი ქალი, რომელიც ხან ერთთან ჩურჩულობს, ხან მეორესთან. კოლია თვითონ თავს არ იწუხებს. საქმე მის გარეშე იჩარხება.

„ეს ქვეყანა დუმაა, ტალე და მიირთვი, სხვა რა შერჩენია კაცს, სანამ ცოცხალი ხარ", ასე ფიქრობს ყასაბი კოლია. როგორც ვიცით, დუმის თლა მისი ხელობაა და აბა, რა გასაკვირი იქნება, რომ ეს ხელობა მან ცხოვრებაშიც გამოიყენოს.

ბევრი ებმება ყასაბ აბაშიძის ბადეში. ხშირია მოტყუებულ ქალების წივილ-კივილი და აყალ-მაყალი მის საყასბოში. ამას წინათ ერთმა გაბედავმა ქალმა სამი სილაც მიაფარა კოლიას „ფათერეთში", მაგრამ ის თავისას მაინც არ იშლის.

სანამ ილაღებს გულს ყოფილი თავადი და დღეს ყასაბი კოლია აბაშიძე ასეთი უზნეო ქცევით, ამას ალბათ ზესტაფონის მილიცია მალე დაგვანახვებს.

მ. ს.

წერილებიდან

წყალში დაღუპული. გორში კარგად ცნობილი მსახიობი აბდუშელი შეიქნა უცაბედი მსხვერპლი ადიდებულ მტკვრისა, 7 ივნისს საღამოს, თბილისიდან ჩამოსულ მსახიობებთან ერთად, როდესაც იგინი კარგა გადაკრულში იყვნენ, შევიდნენ მტკვარში საბანაოდ., აბდუშელი წყალმა გაიტაცა, იძახდა მიშველეთო, მაგრამ მშველელი არ ვინ გამოჩნდა. მისმა „კარგმა" ამხანაგებმა, რომლების ძიეზით მას ეს საქმე დაემართა, აბდუშელი უპატრონოდ მიატოვეს და წავიდნენ თბილისში; მაგრამ გორის სცენის მუშაკებმა არ დასტოვეს წყლით დაღუპული ამხანაგი და იპოვნეს მეორე დღეს უფლისციხის გადასწვრივ. ამოიტანეს გორში და 10 ივნისს მიაბარეს მიწას.

ლიახველი.

წითელ ჯარში
ქართულ სამხედრო სკოლის ხუთი წლისთავი

კვირას, 20 ივნისს, სამხედრო სკოლების საზაფხულო ბანაკში ზეიმით ჩატარდა ქართული სამხედრო სკოლის არსებობის ხუთი წლისთავი.

დილით გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ამხ. ს. ორჯონიკიძე, მ. კახიანი, სამხედრო სკოლების სამმართველოს უფროსი ამხ. პუტნე და მთელი ბანაკის კურსანტები.

ამხ. პუტნემ თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა ის დიდი მიღწევები ქართული სკოლის, რომელიც მას აქვს 5 წლის განმავლობაში. მომავლის ამოცანად,—დასძინა ამხ. პუტნემ,—სკოლამ უნდა დაისახოს მეთაურთა შემადგენლობის მომზადების კიდევ უფრო გაუმჯობესება.

ამხ. პუტნეს შემდეგ კურსანტებს ესალმება ამხ. ს. ორჯონიკიძე. ის თავის სიტყვაში აღნიშნავს გაძლიერებული მეცადინეობის აუცილებლობას. ამხ. სერგო ამბობს, რომ ქართული სამხედრო სკოლა ვ. ი. ლენინის პირმშო შვილია, რადგან ის გვწეროა სკოლის შექმნის აუცილებლობაზე და გვითითებდა, რომ სკოლამ უნდა ითამაშოს დიდი როლი ქართული ნაწილების შექმნაში. სკოლა უნდა ამაყობდეს, რომ მისი სულისჩამდგმელი იყო ლენინი, რაც ავალებს კურსანტებს ყოველთვის იყონ დიდი მასწავლებლის ანდერძების ერთგული.

ესალმება რა კურსანტებს, ამხ. კახიანი მიუთითებს საერთაშორისო ბურჟუაზიის გააფთრებულ იერიშებზე, რომლის გამოხატულებას წარმოადგენს ინგლისის მთავრობის უკანასკნელი ნოტა. „საჭიროა, რათა ყოველთვის მზად ვიყოთ მშრომელთა ძალა-უფლების დასაცავად",—დასძენს ამხ. კახიანი.

სხდომაზე მისალმებებით გამოვიდნენ დანარჩენ სკოლების კურსანტები და წარმომადგენლები მუშა-მბეჭდავებისა. სკოლის მთელი შემადგენლობის სახელით გადაწყდა აღძრულ იქნას შუამდგომლობა კავკასიის წითელდროშოვან არმიის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოსა და სამხედრო სკოლების სამმართველოს წინაშე, რათა სკოლას ეწოდოს „ლენინის სახელობის სამხედრო სკოლა". კრების დადგენილებით ამხ. პუტნე ჩარიცხულ იქნა სკოლის საპატიო კურსანტად.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა ფიზიკური ვარჯიშობა. ნაჩვენები იქნა თავისუფალი ვარჯიშობანი, ჩეხვა, ცეკვა-თამაში და სხვა.

თადარიგში მყოფ უფშემადგენლობის შეკრება

ივნისის თვიდან ქართულ დივიზიის ბანაკში დაიწყო შეკრება თადარიგში მყოფ მეთაურთა და პოლიტიკურ შემადგენლობისა. შეკრების მიზანია—თადარიგში მყოფ უფშემადგენლობის სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის ამაღლება. შეკრებები გაგრძელდება ერთი თვე ნახევარი. საბანაკო პირობები ხელს უწყობს სწავლების მსვლელობას შეკრებაზე. თადარიგის უფშემადგენლობასთან მეცადინეობის მიზნით დივიზიის ნაწილებიდან გამოყოფილი არიან მომზადებული მეთაურები და პოლიტმომუშავენი. იმ მიზნით, რომ თადარიგში მყოფ მეთაურთა და პოლიტიკურ შემადგენლობამ გაეცნოს წითელ-არმიაში წარმოებულ პოლიტმუშაობის ფორმებს და მეთოდებს. შეკრებებზე მოწყობილია „ლენინის კარავი". თადარიგის უფშემადგენლობის პირნი შეკრებებზე იქნებიან მიმაგრებული პრაქტიკულ მუშაობის საწარმოებლად ნაწილებში, უმთავრესად ლეგიონების სკოლებზე. დამაკმაყოფილებლად გადაჭრილია აგრეთვე შეკრებებზე მოსულთა სამხედრო და პოლიტიკური წიგნებით მომარაგების საკითხი, სათანადო ლიტერატურა გამოყოფილია ნაწილების ბიბლიოთეკებიდან.

შეკრებებზე თადარიგში მყოფ მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის მხრივ ინტერესი სამხედრო საქმისადმი დიდია.

ი. რუდოვსკი.

მეთაურთა გამოცდები

15 ივნისიდან № ქართულ დივიზიის ნაწილებში მეთაურთა პოლიტიკური და საერთო განათლების გამოსარკვევად დაიწყო გამოცდები.

ამჟამად გამოცდები ნაწილებში უკვე დამთავრებულია. ყველა, ვისაც კი ეხებოდა გამოცდები, ცხადდებოდენ უკლებლივ.

გამოირკვა, რომ მეთაურთა შემადგენლობა ეწევა თვითგანვითარებას; მეთაურნი გრძნობენ, რომ ის ცოდნა, რომელიც აქვთ, არ არის საკმარისი, საჭიროა მისი გაფართოება. მათი მისწრაფება ცოდნის შესაძენად დიდია, მაგრამ არის ამასთანავე ხელის შემშლელი პირობები. დატვირთვა სხვადასხვა დავალებებით, ბინის სივიწროვე, საჭირო სახელმძღვანელოების უქონლობა. თუ ყველა ეს დაბრკოლებები აცილებულ იქნება თავიდან, მაშინ თვითგანვითარების საქმე წარმატებით წავა.

ხ.

სამხედრო კუთხის გამგეების მომზადება

1 ივლისიდან ტერნაწილებში სამხედრო კუთხის გამგეობის მომზადების მიზნით დაიწყება მეცადინეობა 1903 წელში დაბადებულ ცვალებადელებთან.

პოლიტგანყოფილების მიერ შემუშავებულია და დაგზავნილი სათანადო პროგრამა.

ი—ა.

ოლიმპიადისათვის მზადება

მომავალ მეხუთე საარმიო ოლიმპიადაზე მონაწილეობას მიიღებენ გარდა საკადრო ნაწილების წითელ-არმიელებისა, აგრეთვე ცვალებადი შემადგენლობაც.

ქართული ნაწილები მიიღებენ მონაწილეობას ოლიმპიადის ყველა სახის შეჯიბრში; როგორც არის მძიმე და მსუბუქი ატლეტიკა, ჯირითი, ფარიკაობა და სხვა.

სათანადო მზადება ნაწილებში უკვე სწარმოებს.

ლ.

პროფკავშირებში
პროფკავშირთა ყველა ცენტრალურ გამგეობებს

ინგლისის მაღაროს მუშათა სასარგებლოდ კავშირის წევრთა მიერ მაისში გადადებული დღიური ჯამაგირის მეოთხედი საკმაო რაოდენობით არ შემოდის. ინგლისის მაღაროს მუშათა ბრძოლა ხანგრძლივ ხასიათს ღებულობს, რადგან გაფიცულები გმირულად იცავენ თავის მოთხოვნილებებს.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი საჭიროდ სთვლის ამ წლის ივნისის 21-დან ხელახლა შეუდგეს თბილისის წარმოებებსა და დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებების გამართვას და ჩაატაროს მოხსენებები ინგლისის გაფიცვის მიმდინარეობის შესახებ, რომ ამით გააღვიძოს მუშა-მოსამსახურეებში მეტი ინტერესი აღნიშნულ გაფიცვისადმი. საზოგადო კრებები გამოყენებული უნდა იქნას იმისთვის, რომ შეკრიბოს კავშირის წევრთა დღიური ხელფასის მეოთხედი, რომელიც გადადებული იყო მაისის დადგენილებით და რომელიც ჯერ არ არის შეკრებილი.

რადგან საჭიროა ინგლისის მაღაროს მუშათა საგაფიცვო ფონდის დამატებითი შევსება, ამიტომ თუ საერთო კრებებზე დამსწრე წევრები აღძრავენ საკითხს დღიური ხელფასის მეოთხედის დამატებით შეწირვის შესახებ და საერთო კრებაც შესაფერ დადგენილებას გამოიტანს, ამას ხელი არ უნდა შეუშალოთ.

რა წესით უნდა ჩატარდეს ეს კამპანია პროვინციაში მყოფ წევრთა შორის, ამაზე თქვენ უკვე გეცნობათ. კამპანიის ჩატარებისათვის იხელმძღვანელეთ გაზეთებში მოთავსებული მისამართებით.

საქართველოს პროფსაბჭოს პასუხისმგებელი მდივანი **ფანცხავა**.

საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე **მარკმანი**.

საქართ. პროფსაბჭოს პლენუმის ყველა წევრებს

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის 1926 წლის 17 ივნისის დადგენილების თანახმად, ა.-წ. 1-ლ ივლისს, საღამოს 6 საათზე—ს. პ. კ. ს. დიდ დარბაზში მოწვეულია პროფსაბჭოს მორიგი მეორე პლენუმი

დღიურ წესრიგშია: 1. საკავშირო ცენტ. პროფსაბჭოს მეოთხე პლენუმის შედეგები (მომხს. ამხ. გ. ყურულიშვილი),

2. მოხსენებები ადგილებიდან თავიანთ მუშაობაზე:

ა) ქუთაისის სამპროფბიუროსი,

ბ) სიღნაღის სამპროფბიუროსი,

გ) სამთამადნო კავშირის ცენტრ. გამგეობის ტყიბულის ქვერაიკომის,

დ) მეზღვაურთა კავშირის ს. ს. ს. რ. რაიონულ კომიტეტის და

ე) ამხ. სტალინის სახელობის მთავარ სახელოსნოს ადგილკომის.

3. მაზრებში კულტმუშაობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ. (მომხს. ამხ. ჭელიძე).

4. მიმდინარე საკითხები.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.

საყოველთაო დაწყებითი სწავლება

საქართველოს საერთო მოსახლეობა, ავტონომიური რესპუბლიკების გამოკლებით უდრის 2.062.688 სულს; მოსახლეობა 7-დან 59 წლის ჰასაკამდე შეადგენს 1. 556.915 სულს, აქედან 1925 წ. წერა-კითხვის მცოდნე იყო 52 პროც., წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი კი შეადგენდა 47,6 პროც.

საქართველოში მასიური სკოლის ტიპად აღიარებულია პირველი საფეხურის სკოლა 4 წლიანი კურსით. სკოლაში იღებენ ორივე სქესის ბავშვებს, მიუხედავათ იმისა, თუ რომელ სოციალურ ჯგუფს ეკუთვნიან მათი მშობლები; სწავლება სკოლებში სრულიად უფასოა.

საქართველოში პირველი საფეხურის სკოლების რიცხვი უდრის 1746, ამასთანავე თვითეული სკოლა მოდის 1.182 სულ მოსახლეობაზე.

მოწაფეების ნაადრევ გამოსვლას სკოლებიდან ადგილი აქვს თითქმის ყველა სოფლებში, ამასთანავე ამ მოვლენას განსაკუთრებით არანორმალური ხასიათი აქვს აფხაზეთში, აჭარისტანში სამხრეთ-ოსეთში და ბორჩალოს, ახალქალაქის და დუშეთის მაზრებში. ეს აიხსნება, ერთის მხრივ, მოსახლეობის უკულტურობით და, მეორეს მხრივ, ეკონომიური პირობებით—მუშა-ხელის ნაკლებობით.

საკითხი საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში დიდი ხანია, რაც წამოიჭრა, მაგრამ სისტემატიური მუშაობა არ ყოფილა წარმოებული თანხების და საკანონმდებლო აქტის უქონლობის გამო.

შარშან სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი იყო ათწლიანი პერსპექტიული გეგმა; გეგმა განათლების კომისარიატის მიერ გადაცემული იქნა საქართველოს საგეგმო კომისიაში, სადაც იგი დამტკიცებული იქნა 25 წ. 2 ნოემბერს, რის შემდეგაც გადაცემული იქნა ა.-კ. საგეგმო კომისიაში. ჯერ-ჯერობით ამით დამთავრდა მოსამზადებელი მუშაობა საყოველთაო დაწყებითი სწავლების შემოსაღებად.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია ეს საკითხი. გამოკვლევის მასალების გაცნობის შემდეგ მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაამტკიცა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია საყოველთაო სწავლების, რაც შეიძლება დაჩქარებით განხორციელებისაკენ, ამასთანავე აუცილებლად იქნა ცნობილი, რომ საყოველთაო სწავლების საკითხი ეხლავე იქნეს გატარებული საკანონმდებლო წესით.

თბილისის საბჭოს სექციებში

გუშინ 21 ივნისს შესდგა თბილისის საბჭოს სექციების მორიგი სხდომა.

კომუნალური სექცია

კომუნალურ სექციის მორიგ სხდომაზე მოხსენება **წყალსადენის მდგომარეობის და მუშაობის შესახებ** გააკეთა ინჟ. ლევ. **დიასამიძემ**, რომელმაც ვრცელი მიმოხილვა გაუკეთა უკანასკნელ მიღწევებს საწყალსადენო მშენებლობაში. წყალსადენის ტეხნიკურმა გაუმჯობესებამ ერთი მხრივ შემცირა ხარჯები და წყლის თვითღირებულება და მეორე მხრივ გაადიდა წყლის მიწოდება ქალაქისათვის. მაგ. თუ 1922 წელს ყოველ 100 ვედრო მიწოდებაზე იხარჯებოდა 33 გირვანქა მაზუთი,—ამჟამად იხარჯება არა უმეტესს 7 გირვანქისა. თუ 1922 წელს თვითეულ 1000 ვედროს გადმოსაქაჩად იხარჯებოდა 51 კაპეიკი, ამჟამად იხარჯება—14 კაპ.

1923 წლის წყლის მიწოდება ყოველ საათში უდრიდა—9,900 ვედროს, ამჟამად უდრის—13.000 ვედროს. წყლის მიწოდების გადიდებასა და თვითღირებულების შემცირებასთან ერთად გაუმჯობესდა წყლის ღირსება. 1,5 მილიონი ვედრო წყლიდან, რომელიც დღიურად ეძლევა ქალაქს,—600.000 ვედრო წყაროს წყალია, დანარჩენი ფილტრში გავლებული და დაშაბული. შემცირდა აგრეთვე წყლის უსარგებლოდ დაღვრა. ახალი წყალსაზომების დადგმის და მათი რიცხვის გამრავლების გამო გაუმჯობესებულ იქნა წყლის აღრიცხვა. ამჟამად წყალსაზომები დადგმული აქვთ წყლის მომხმარებელთა 71%-ს. წყლის მიწოდების გადიდება არ შეეფარდება წყლის ხარჯვას. მოქალაქეები საჭიროებაზე ნაკლებ წყალს ხარჯვენ. იმ მიზნით, რომ სავსებით გამოყენებული ყოფილიყო მთელი მიწოდებული წყალი, განაპირა უბნებში გაყვანილ იქნა ახალი მაგისტრალები, 1925 წელს 8,5 ვერსის, ხოლო 26 წლის პირველ ნახევარში—3 ვერსის სიგრძის.

დასასრულ მომხსენებელი [illegible] ებებს, რომელიც მიღებულია წყალსადენის საელექტროფიკაციოდ და ახალი (ნატახტარის) წყალსადენის გასაყვანად.

იმ კომისიის სახელით, რომელიც წინა სხდომაზე სექციის მიერ წყალსადენის მუშაობის გამოსაკვლევად იქნა ამორჩეული, მოხსენება გააკეთა ამხ. ს. **ჭეიშვილმა**, რომელმაც სექციას წარუდგინა კონკრეტიული ღონისძიებები წყალსადენის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სექციამ წყალსადენის მუშაობა სცნო ფრიად დამაკმაყოფილებლად.

საფინანსო სექცია

საფინანსო სექციის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. **გავაშელის** მოხსენება ბიუჯეტის გეგმის შედგენისა და შესრულების შესახებ 1925—26 წლის პირველი ნახევრისათვის. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ბიუჯეტის გეგმა საშემოსავლო ნაწილში შესრულებულია 45 პროცენტით, ხოლო საგასავლო ნაწილი 40 პროცენტით.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ბიუჯეტის შედგენა, საბიუჯეტო წლის პირველ ნახევრისათვის აღიარა წარმატებულად, ხოლო შესრულება დამაკმაყოფილებლად.

ჯანმრთელობის სექცია

ჯანმრთელობის სექციის მორიგ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება სანიტარულ-ჰიგიენურ ინსტიტუტის მუშაობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში ინსტიტუტს უწარმოებია ნაყოფიერი მუშაობა, რასაც შედეგად მოჰყოლია საკვები პროდუქტების, სასმელი წყლების და სანოვაგის ფალსიფიკაციის შემცირება და მათი ღირსები გაუმჯობესება.

ამჟამად ინსტიტუტის ლაბორატორიაში სწარმოებს ბაზარზე გასაყიდათ გამოტანილ რძის და [illegible] სასმელი წყლის ქიმიური გამოკვლევა.

„მარტაკოჩი"-ს მე-1000-ე ნომერი
ამხ. მიხა ცხაკაიას მისალმება

რადგან საშუალება არა მაქვს (ავადმყოფობის გამო) დავსწერო ისეთი წერილი, რომელიც შეეფერება **საოლქო** (საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის და ა.-კ. ცაკის) **პარტიულ-საბჭოთა ორგანოს (სომხურ ენაზე)** სპეციალური ნომრის საზეიმო გამოსვლის მომენტს, — რედაქტორებს და ყველა თანამშრომლებს, მათ შორის—მუშა-გლეხ - კორესპონდენტებს, — ვუძღვნი ჩემს მხურვალე სალამს და ვუსურვებ „მარტაკოჩს" მომავალშიაც იყვეს ამიერ - კავკასიის მშრომელთა, განსაკუთრებით სომხური მოსახლეობის განწყობილების, მოთხოვნილებების და მიზნების საუკეთესო გამომხატველი, მაღლა ეჭიროს შრომის და კომუნიზმის წითელი დროშა, წინ უძღოდეს განათლების და კულტურის განვითარებას და მტკიცედ ატარებდეს კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივებს.

ამასთანავე ერთად „მარტაკოჩს" ვუსურვებ, რომ არასოდეს არ დაივიწყოს საერთაშორისო პროლეტარიატის დიადი ბრძოლა კომუნიზმისათვის, პროლეტარული რევოლიუციისათვის. რომ არასოდეს არ დაივიწყოს აგრეთვე აღმოსავლეთის და მთელი ქვეყნის კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების დიადი, განმანთავისუფლებელი რევოლიუციონური ბრძოლა საზიზღარ იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს „მარტაკოჩ"-ის მე-1000-ე ნომერს!

გაუმარჯოს სომხეთის მშრომელთა ძმურ კავშირს ამიერ - კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან.

დეე მომავალში მუდამ სცოცხლობდეს „მარტაკოჩში" ლენინიზმის — კომუნიზმის — მარქსიზმის სული!

მიხა ცხაკაია.

გაზ. „მარტაკოჩის" რედაქციას

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქცია და მისი თანამშრომლები, გაზ. „მარტაკოჩის" მეათასე ნომერის გამოსვლის გამო, ამხანაგურ სალამს უძღვნიან თანამოძმესა და თანამებრძოლს მშრომელთა ფართო მასების კომუნისტურად აღზრდის ფრონტზე. „მარტაკოჩი" ყოველთვის მოუწოდებდა სომხეთის მშრომელებს საერთო აღორძინებისა და ხანგრძლივ შემოქმედებითი, აღმშენებლობითი მუშაობისაკენ, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს მუშებისა და გლეხების საკეთილდღეოთ.

დეე, ეს მოწოდება მომავალშიაც განუწყვეტლივ გაისმოდეს მუშათა საქმისათვის ბრძოლაში ათასჯერ გამოცდილ „მარტაკოჩი"-ს ფურცლებიდან.

სალამი ყველა ამხანაგებს, რომელნიც ჰქმნიდენ გაზეთის ყოველ ნომერს, დიადი კომუნისტური პრესის ყოველ ნაკვეთს.

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქცია და თანამშრომლები.

ელექტროფიკაცია
ქუთაისის ჰიდრო-ელექტრო სადგური

ქუთაისის ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგების საკითხი, რომელიც უახლოეს ამოცანას წარმოადგენს ჩვენი მომავალი აღმშენებლობისათვის, საჭიროებს ყოველ მხრივ გაცნობას და გაშუქებას, ვინაიდან ტეხნიკურ-ეკონომიური მნიშვნელობა ამ სადგურსა ადგილობრივ ეკონომიაზე და განსაკუთრებით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე მეტად დიდია.

ეს გარემოება გაითვალისწინა საქართველოს ტეხნიკურმა საზოგადოებამ, რომელმაც კვირას, 20 ივნისს, ამ საკითხზე გამართა ინჟ. მელიქ-ფაშაევის მოხსენება.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მდ. რიონის წყალმოცულობა მეტია, ვიდრე მდ. მტკვარის, ამიტომ რიონი შეიძლება ფართოდ გამოყენებული იქნეს ელექტროფიკაციისათვის. რიონის საერთო სიმძლავრე უდრის 500.000 ცხენის ძალას.

მდ. რიონის გამოყენება რკინის გზის საუღელტეხილო უბნის საელექტროფიკაციოდ განზრახული იყო ჯერ კიდევ ომამდე; 1913 წელს პროფ. ბახმეტიევის მიერ შედგენილი იყო ჰიდრო-ელექტრო-სადგურის პროექტი, რომლის მიხედვით მაშინდელი გზათა სამინისტრო 1913—14 წლებში აწარმოებდა მდ. რიონის დაწვრილებით გამოკვლევას ხონამდე. ამ გამოკვლევას შედეგად მოჰყვა „ლვოვის კონცესიის" დაარსება, რომელიც შემდეგ ხოშტარიას გადაეცა. მუშაობის დაწყებას ხელი შეუშალა იმპერიალისტური ომის დაწყებამ.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა ფერო-მარგანეცის კომისიის წევრის პროფ. **ლიუდინის** პროექტზე და თავის ორ ვარიანტზე, რომლებიც მის მიერ შემუშავებულია ამ პროექტის დამატებად.

პროფ. ლიუდინის პროექტი ითვალისწინებს მდ. რიონის და წყალწითელას გამოყენებას ჰიდრო-ელექტრო-სადგურის ასაგებად. ამ პროექტის მიხედვით სადგურის სიმძლავრე იქნება 41.000 ცხენის ძალით.

ინჟ. მელიქ-ფაშაევის ვარიანტი ეყრდნობა პროფ. ლიუდინის იმავე პროექტს, მაგრამ რამოდენიმე ისეთი შესწორება შეაქვს მასში, რომელთა მიხედვით სადგურის აგება უფრო იაფი ჯდება, ამას გარდა ამ ვარიანტის მიხედვით სადგურის სიმძლავრე იქნება 62.400 ცხენის ძალა.

ინჟ. მელიქ-ფაშაევის პროექტის მიხედვით სადგურის აგება დაჯდება 12 მილიონი მანეთი, ინჟ. მელიქ-ფაშაევის პროექტი კი შესამჩნევად ამცირებს ამ თანხას.

ცხენთა გადარბენა

კვირასაღამოს თბილისში ჩამოვიდა ცხენთა გადარბენის პირველი სამი მონაწილე. სამივე მხედარმა მთელი გზა როსტოვსა და თბილის შუა გაიარა დღის ნახევრად წმინდა ჯიშის ცხენებზე. ცხენები და მხედრები კარგად გრძნობენ თავს. 858 კილომეტრის მანძილი მათ ადვილად გაიარეს 10 დღეში.

გუშინ საღამოს 7 საათზე თბილისში ჩამოსულ ცხენებს უჩვენებდენ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

21 ივნისს ჩამოვიდენ გადარბენის დანარჩენი მონაწილენიც.

გადარბენაში მონაწილე ცხენები გასინჯულ იქნება სავეტერინარო პერსონალის მიერ და ამ გასინჯვის შედეგების თანახმად განსაკუთრებული კომისია გამოარკვევს, თუ რომელი ჯიშის ცხენი უფრო გამოსადეგია შორეულ გადარბენისათვის, რაც შეადგენს ეხლანდელი გადარბენის მთავარ მიზანს.

საქართველოს ცხენთსაშენის წარმომადგენლები გადარბენის მონაწილეთ შეხვდა დუშეთში, საიდანაც მათთან ერთად იმგზავრა თბილისამდე.

გუშინ საღამოს 6 საათზე გადარბენაში მონაწილე ცხენები გამოიყვანეს დიდუბის იპოდრომზე. მხედრების შესახვედრად და ცხენების დასათვალიერებლად მოვიდნენ ამხ. **სერგო ორჯონიკიძე**, ამხ. **მამია ორახელაშვილი**, ამხ. **ხალუცკი**. **კუზნეცოვი**, საქართველოს ცხენთა საჯინიბოს წარმომადგენელი და სხვა.

გადარბენაში მონაწილე მხედრებს მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ამხ. **მამია ორახელაშვილმა** და **სერგო ორჯონიკიძემ**. მათ აღნიშნეს გადარბენაში მონაწილე ცხენების და მათი მხედრების გამძლეობა,—სიმტკიცე და გაჭირვების ამტანობა.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა გადარბენის მეთაურმა ხელმძღვანელმა ამხ. ტიუულენევმა, რომელმაც მთავრობის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა სტუმართმოყვარეობისათვის.

გადარბენაში მონაწილე მხედრებს დაურიგეს ვერცხლის ჟეტონები და ახ-ახი მან. ჯილდო.

წყალსადენი
ახალი მაგისტრალები

უკვე დამთავრდა წყალსადენის ახალი მაგისტრალის გაყვანა საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზიშვილის) და მის მახლობლად მდებარე—შესახვევ ქუჩებში. ახალი მაგისტრალის საერთო სიგრძე უდრის 2 ვერსს, ამავე რაიონში მიმდინარეობს მუშაობა წყალსადენის გასაყვანად სახლებში. ერთი კვირის წინად დაიწყო მეორე ახალი მაგისტრალის გაყვანა ახალშენის უბანში, სადაც უკანასკნელ დრომდე იყო მხოლოდ ერთი ქუჩის ონკანი. ამ წყალსადენის მაგისტრალის საერთო სიგრძე იქნება ვერს ნახევარი.

წყალის გაწმენდა

წყალსადენის სამმართველომ შეიმუშავა ახალი ფაცერის მოწყობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა წყალსადენის მთავარ სადგურზე მდინარის წყლის გასასუფთავებლად. ფაცერის აგება დაჯდება —14 ათასი მანეთი.

მარჯაფა ფაცერის საჭიროება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ არ გაფუჭდეს მოწოდებული წყალი, როცა მოხდება პირველი [illegible] გარეცხვა-გასუფთავება.

ახალი წყალსადენი

ნატახტარის წყაროებიდან წყალსადენის გაყვანის დაწყება განზრახულია მომავალი წლიდან. თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით ზამთრის დროებით მექანიკური იარაღები და მოწყობილობა გადაეცემა წყალსადენის სამმართველოს ნატახტარის წყაროებიდან წყალსადენის გასაყვან მუშაობათა საწარმოებლად.

წყალსადენის სამმართველო ელექტრო-სელეკტრისთან სდებს ხელშეკრულებას, რომლის ძალით იგი მოვალე სამმართველოს მიაწოდოს ელექტრო-საქაჩები ტრანსფორმატორები წყალსადენის საელექტროთიკაციოდ.

თრიმლის დამზადება

ამჟამად ლეჩხუმისა და სიღნაღის მაზრებში სწარმოებს თრიმლის დამზადება. თრიმლი, იშვიათი და ძლიერ საჭირო მცენარეა ტყავეულობის წარმოებისათვის.

თრიმლზე ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა, როგორც ამიერ - კავკასიაში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში.

თრიმლის დასამზადებელ მუშაობაში ჩაბმული არიან გლეხები.

სანიტარ. ლაბორატორია

შრომის კომისარიატთან არსებული სანიტარული სექცია შეუდგა ქიმიური ლაბორატორიის მოწყობას. ლაბორატორიის მოწყობის მიზანია იმ სანიტარული პირობების გამოკვლევა, რომელშიაც მუშაობა უხდებათ წარმოება-დაწესებულებების მუშებს.

პირველ რიგში ლაბორატორია გამოიკვლევს ხპილენძის ჩამოსასხმელ ქარხანას, თამბაქოს ტრესტს, ტყავტრესტს და სხვა წარმოებებს.

ქარხანა - ფაბრიკების დათვალიერების დროს გამოიკვლევენ მუშაობის ყველაზე უფრო საზიანო მომენტებს (აღუღების მომენტი, ჩამოსხმის, გაშრობის და სხ.). გამოკვლევის მიზანია, თუ რა და რა საზიანო გაზებს ან ნივთიერებებს ითვისებს მომუშავეს ორგანიზმი ერთი საათის განმავლობაში.

ლაბორატორია მოეწყობა და მუშაობას დაიწყებს ორი კვირის შემდეგ.

საცდელი პუნქტები

ჩვენი სასოფლო მეურნეობის შესწავლის მიზნით მიწათმოქმ. სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა რესპუბლიკაში სასოფლო-მეურნეობის საცდელი პუნქტების მოწყობის გეგმა.

ახლო მომავლისათვის, ამ მიზნით, განზრახულია, გარდა სამაზრო ქალაქებისა დაინიშნონ აგრონომები უფრო დამახასიათებელ რაიონებში.

დღეს - დღეობით პროვინციაში საჭიროა 43 აგრონომი. აქედან 16 აგრონომი იმუშავებს მაზრის ფარგლებში და 27 რაიონებში.

აგრონომიული ქსელის მოწყობის შემდეგ გაადვილებული იქნება საცდელი დაწესებულებების მოწყობა, რაც თავის მხრივ გაადვილებს ჩვენი სასოფლო მეურნეობის შესწავლის საქმეს.

რკინის გზებზე
ნაციონალიზაციის გასატარებლად

კურსები

ტრანსპორტზე ნაციონალიზაციის გატარებისათვის ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოსთან არსებულ ცენტრალურ საინიციატივო ბიუროს განკარგულების თანახმად საგზაო პროფგანათლების განყოფილებასთან გაიხსნა დამატებითი კურსები სამმართველოს მოსამსახურეებისათვის ადგილობრივ ენების შესასწავლად ა.-წ. 1 ოქტომბრამდე. ეს კურსები მოწყობილია განსაკუთრებით იმ მოსამსახურეთათვის, რომელთაც შარშან შეისწავლეს ადგილობრივი ენები და გაიარეს გამოცდები. კურსების მიზანია—მისცეს აგენტებს ცოდნა უმთავრესად სარკინიგზო ტერმინოლოგიის და საქმის წარმოების სფეროში.

კურსებზე მუშაობს ხუთი ჯგუფი ქართულ და თურქულ ენაზე.

აზერბეიჯანში

ცენტრალურ ნაციონალიზაციის გამტარებელ კომისიის დადგენილებით, აზერბეიჯანში რკინის გზის აგენტებისათვის თურქულ ენის შესასწავლად გახსნილ კურსებზე მეცადინეობა ზაფხულის პერიოდში შესწყდა. მეცადინეობა განახლდება 1 ენკენისთვისათვის.

კურსები საჟუდებთან

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოსთან არსებულ ნაციონალიზაციის გამტარებელ კომისიის დადგენილებით 17 ივნისიდან ხაშურის საჟუდთან დაარსებულია განმეორებითი კურსები უბნის მემანქანეების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ასეთივე კურსები გახსნილია ბაქოს, სამტრედიის და ბათომის საჟუდებთან. ასეთსავე კურსებზე, რომელიც არსებობდა თბილისის და განჯის საჟუდებთან, მეცადინეობა უკვე დამთავრდა.

კონფერენცია

საგზაო პროფგანათლების განყოფილებასთან დღეს იწვევენ საუწყებო ოთხდღიურ კონფერენციას მთელი გზის მასშტაბით. კონფერენციის მიზანია განყოფილების მუდმივ სასწავლებლების (მუშფაკები, ტეხნიკუმები) წლიური მუშაობის აღრიცხვა, გასულ წელში სკოლებს მუშაობაში მიღწევების და დეფექტების გამორკვევა და საშუალების გამონახვა ადმინისტრატიულ სამოსწავლო-მეთოდიურ მუშაობაში ცვლილებების შეტანისათვის... [illegible]

ორთქმავალის გადავარდნა

18 ივნისს სადგ. ალიათში (აზერბ. გზაზე) მატ. № 247 მანევრების დროს მემანქანის თანაშემწე ხოლიავკომ არ დაუცადა ნიშანს ისრის მომზადების შესახებ და დასძრა ორთქმავალი ისრის გადაყვანის მომენტში, რის გამო უკანასკნელი გადავარდა ლიანდაგიდან წინა ორი ბორბლით. ორთქმავალი ამოიღეს.

მატარებლის გაწყვეტა

19 ივნისს, დილის 10 ს. და 35 წუთზე. მუხიან-რიონის შუა, გაწყდა სახალხო მატარებელი № 5. მატარებელი მიიყვანეს რიონში ორ რიგად. ამ შემთხვევის გამო მატ. № 5-მა დაიგვიანა 20 წუთით.

მეწყერი

19 ივნისს, ღამის 3 ს. და 30 წუთზე, რკვიასალიეთს შუა (ქიათურის ხაზზე) სხვადასხვა ადგილებში ჩამოშვავდა მიწა. გზა ჩქარა გაწმინდეს.

მატ. № 63 ქიათურაში დააკავეს 3 საათით.

ნიაღვარი აზერბეიჯანის ხაზზე

19 ივნისს, დილის 6 საათზე და 20 წ., დოლიარ-ძეგამს შორის ადგილი ჰქონდა ნიაღვარს გზა სილითა და ხრეშით გაივსო. გზის გასაწმენდათ მიიღეს სასწრაფო ზომები და მოძრაობა აღადგინეს დილის 7 საათზე და 55 წუთზე.

მოძრაობის შეწყვეტა

21 ივნისს დიდი წვიმების და ნიაღვრების გამო გზა ყარაია-ქმობა-რუსთაველს შორის ღამის 12 საათიდან დაიკეტა. მოძრაობა განახლდა ღამის 3 საათზე და 20 წუთზე.

გზის წალეკვა

სადგ. კოვლიარში ღამის 12 ს. და 30 წ. ძლიერმა ნიაღვარმა წალეკა რკ. გზის ხაზი მე-409 ვერსზე 60 საჟენის მანძილზე. სახალხო მატ. № 5 დაკავებულ იქნა სადგ. ტაუზში ღამის 1 ს. 20 წუთიდან დილის 4 ს. და 32 წუთამდე.

დრეზინის გადავარდნა

20 ივნისს, დილით დოლმომეტლო-ზაჰალის შუა ლიანდაგიდან გადავარდა დრეზინა, რომელიც დატვაკა ქვას. იგი ამოიღეს ორ საათში. უბედურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. დოლმომეტლში დაკავებულ იქნა მატ. № 192.

მეწყერის გამო

რკვია-სალიეთს შუა 19 ივნისს მოწყვეტილი მიწა მოხვდა მატ. № 159, რის გამო ლიანდაგს ასცდა ორთქმავალი. მოძრაობა აღადგინეს დილის 7 საათზე.

პატარა ფელეტონი

„დაკარგული რეჟიმი"

„რეჟიმ-ეკონომია, ლაპარაკი რად უნდა,
ჩვენს სოფელსაც ესტუმრა, აღმასკომშიც შეცურდა;
თუმცა ყველას, უნდა ვსთქვათ. მისი მისვლა არ სწადდა,
მაგრამ, ასე თუ ისე, საქმე ყველგან გახურდა.
ზოგან კარგად მიიღეს: პატივით და რიდითა.
ზოგან გააპანღურეს მუშტებით და წიხლითა,
ზოგან „მოთმინებითა", შეხვდენ კბილთა ღრეჭითა,
ზოგან ვერც კი გაიგეს და დაუხვდენ კეტითა.
ჩვენ გავიგეთ, რომ ზოგან „რეჟიმ ეკონომია",
ქალაქიდან მოსული „ვიდვიჟენცი" ჰგონიათ.

—:—

ერთხელ, ერთი აღმასკომის საგანგებო იყო სხდომა.
(ნეტავ არვის მოსწრებოდა იმ სხდომაზე იმ დღეს ჯდომა)
როცა თავის ადგილებზე წამოსკუპდა დინჯად ყველა
თავმჯდომარემ ზარი დაჰკრა, ერთი მაგრათ ჩაახველა,
სიტყვა სთქვა შესავალი, სიტყვას მუშტი მიაშველა,
მოჰყვა ქვეყნის თავსავალი, გათავება არ აშველა
შემდეგ ბრძნულად აიშვირა მაღლა თავის შუა თითი,
(მაშ! სუყველა გააკვირა იქ დამსწრენი მან ამითი).
მდივანს უთხრა: ცირკულიარი წაიკითხე, შენ ხმა მაღლა
სხაპასხუპით მიაყოლე, არ შეგეტყოს ოდნავ დაღლა.
... და მდივანმაც წაიკითხა: „ცირკულიარი № 7 აღმასკომს.
ძვირფასო ამხანაგებო, დღეს მთავრობა აი რას გთხოვს:
უსათუოდ გაატარეთ მანდ სულ ყველგან თქვენ რეჟიმი,
კამპანია ჩაატარეთ არ მოიკლათ ჩქარა ჟინი".
მორჩა იგი ცირკულიარი ცენტრში უცბად გამომცხვარი
ჯინ?.. „რეჟიმი" გავატაროთ?: არჩევნები რომ დამთავრდა,
საქმეს როგორ მოუაროთ?.. ყველა ერთხმად აყაყანდა.
„ხომ არ გინახავთ რეჟიმი?!"—თავმჯდომარე წევრებს ჰკითხავს,
„შეთვალყურე არავინ გვყავს", წევრი ყვირის, მდივანს ჰკიცხავს.
მდივანიც ხომ კაცი არი. მისგანაც ისმის საჩივარი:
მადლობა ღმერთს, თვით მთავრობამ გამოგზავნა ცირკულიარი,
თორემ რეჟიმის კი არა და ვის არ უთხრეს ჩვენში ვარი,
(სადმე „რამე" თუ გამოჩნდა, კანდიდატი აქ არ არი?)
თავმჯდომარე თავზე ფიქრობს: „ეს რეჟიმი ვინ და არი?!
დიდი „ვინმე" უნდა იყოს, თუ აღნიშნავს ცირკულიარი".
ადგილს უთმობს, თანახმაა, თვით გადარჩეს ოღონდ ხიფათს,
თუ „რეჟიმი" ამხანაგი, არ წაახდენს მის მარიფათს".
რაღა გავაგრძელო სიტყვა (თუმცა სიტყვა ბევრი ითქვა),
დაადგინეს: ცირკულიარი ყურადღების ღირსი არი.
აირჩიეს კომისია, ამხ. რეჟიმის შესახვედრათ
და თადარიგს სტუმრისათვის სწრაფ შეუდგა ყველა „ერთხმად".

—:—

გადის დღე და გადის ჟამი, რეჟიმი კი არსად სჩანა,
წევრნი აღმასკომისანი რაღაც იჭვმა აიტანა,
ვაჰ, ფიქრობენ, თუ მალულად ის რეჟიმი მოგვეპარა,
გვითვალთვალებს აქ მზაკვრულად, „მობრძანებაც" არ გვაკმარა.
აქეთ ეცენ, იქეთ ეცენ, სოფელს ხალხი მიუსიეს,
კითხულობენ ყველგან, ქექენ, შიკრიკს ტყლიპი ჩაუქციეს,
მაგრამ ვერსად ვერ იპოვეს მათ „რეჟიმი" ამხანაგი,
მოიწყინეს, მოიგლოვეს, სთქვეს: არ გვადგას ჩვენ დღე კარგი.
თავმჯდომარე დღესაც დადის, ეძებს „რეჟიმ"-ს დღე და ღამე,
შემოაწვა სევდა, დარდი, მოსთქვამს: „რეჟიმ რათ გვაწამე?!"

—:—

მკითხველთან გვაქვს მცირე თხოვნა, რომ საქმე ქნან მეტად კარგი.
თუ იპოვონ გადმოგზავნონ მათ „რეჟიმი" დანაკარგი.

ხოზიკა.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის
როგორ „მუშაობს" ელექტროტრესტი

ხონის აღმასკომს ხელშეკრულება ჰქონდა დადებული ცენტრალური რაიონის ელექტრო-ტეხნიკურ ტრესტთან, რომლის ძალით ეს უკანასკნელი კისრულობდა 80 ძალიანი ჰიდრო-ელექტრო-სადგურის აგებას ხონში. ტრესტმა შეადგინა პროექტი; მუშაობას ამ პროექტის მიხედვით აწარმოებდა სახელმწიფო ელექტრო-ტრესტი („გეტი").

მიმდინარე წელში სადგური „დამთავრებული იქნა". მაგრამ სადგურის მისაღებად გამგზავრებულმა კომისიამ აღმოაჩინა, რომ სადგურს ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია.

გამოცდის დროს შესაძლებელი გახდა მხოლოდ 49,4 ცხენის ძალის მიღება, ე. ი. განზრახული სიმძლავრის მხოლოდ 60 პროც., აღნიშნული იქნა მთელი რიგი ტეხნიკური დეფექტებისა; სწორად არ არის დადგმული ტრანსმისიური ბოძი, დამთავრებული არ არის გაგამანაწილებელი განყოფილება და სხვა.

ყველაფერი შესრულებულია ცენტრალური რაიონის ელექტრო - ტეხნიკური ტრესტის პროექტის მიხედვით; ეს პროექტი არა თუ არ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნილებებს, არამედ ყოვლად გამოუსადეგარია.

კომისიამ უარი სთქვა სადგურის მიღებაზე და თავისი დასკვნა მოახსენა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მხედველობაში მიიღო რა კომისიის მიერ აღნიშნული დეფექტები, დაადგინა, რომ სახელმწიფო ელექტრო-ტრესტმა არ შეასრულა ხელშეკრულება; აუცილებელია, რომ სადგურის უვარგისი ნაწილები შეცვლილი იქნეს ახალი მოწყობილობით.

სახელმწიფო ელექტრო-ტრესტმა საქართველოს საგეგმო კომისიაში უნდა წარადგინოს სადგურის ხელახლა მოწყობის დაწვრილებითი გეგმა.

პრესა მომჭირნეობის შესახებ
„უცოდველი" მოანგარიშეები

ანგარიშწარმოების სათანადო ნიადაგზე დაყენება ერთი მთავარი პირობათაგანია დაწესებულება-წარმოების ნორმალურ მუშაობაში. სამწუხაროთ, უნდა ითქვას, რომ კვალიფიციურ მუშა ხელის ნაკლებობა საგრძნობი ხდება ანგარიშწარმოების დარგშიაც. დახელოვნებული მოანგარიშეები და ბუხჰალტერები დღეს სანთლით საძებარია.

ამიტომ არის, რომ ბევრ დაწესებულება-წარმოებებში ანგარიშების საქმე მნიშვნელოვნად მოიკოჭლებს, რაც თავის დაღს აჩენს ამ წარმოების მუშაობის საერთო მსვლელობას, საბუხჰალტერო ანგარიშებში დღეს ხშირათ ნახავთ ნაუცბათევად „გამომცხვარ" მოანგარიშეებს და ბუხჰალტერებს, რომელთაც, რაც უფრო ნაკლები ცოდნა და გამოცდილება აქვთ თავის დარგში, მით უფრო მაღლა მოაქვთ თავი.

გაზეთი „პრავდა" (№ 127) ამის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს:

„ბუხჰალტერიის მუშაობა ჩვენს დაწესებულებებში საიდუმლოებითაა მოცული. ის რაღაც წმინდათა-წმინდაა, სადაც ფეხს ვერ შედგამთ უკურთხებლათ. ბუხჰალტერიის მნიშვნელოვანი ნაწილი—ახალი ხალხია. რომელთაც შეუსწავლიათ ანგარიშების საქმე ყოველგვარ სახელმძღვანელოების საშუალებით და რომელთაც არ ესმით ეს საქმე. მიუხედავად ამისა ისინი თავს უცოდველებათ სთვლიან.

გაზეთს ამის შემდეგ მოჰყავს ამხ. დ. მ-ვის „პრავდა"-სადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიაც მოთხრობილია შემდეგი ფაქტი:

„აღა ისე იშვიათი შემთხვევაა, როცა ბუხჰალტერია სტყუედება და მასთან ერთად მოტყუებული რჩება დაწესებულებაც. „რეზინოტრესტი"-ს ბუხჰალტერიამ 1924 წელს ამოსწერა ანგარიშებიდან 70.000 მან. საქონელი, როგორიც დაკარგული, რომელიც შემდეგ თავის ადგილას აღმოჩნდა. იქვე ამოწერილი იქნა ანგარიშებიდან 35.000 მანეთის საქონელი, რომელიც როგორც შემდეგ გამოირკვა, გაგზავნილი ყოფილა ტამბოვის გუბერნიის კოოპერატივთა კავშირზე.

გაზეთ „პრავდა"-ს კორესპონდენტს კიდევ მოჰყავს რამდენიმე ასეთი ფაქტები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ არც საქართველოშია ყველაფერი რიგზე. საჭიროა ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს. ამისთვის საჭიროა, ერთი მხრივ საანგარიშო ცოდნის გავრცელების საქმის მოგვარება და მეორე მხრივ: უკვე არსებულ ბუხჰალტერ-მოანგარიშეთა შტატის კვალიფიკაციის შემოწმება და ხელახალი გადამზადება.

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა
გლეხების კვება

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საექსკურსიო ბიუროს ექსკურსანტგლეხთა საერთო საცხოვრებელში მოწყობილია სამზარეულო, საიდანაც აკმაყოფილებენ გამოფენაზე ჩამოსულ გლეხებს უფასო სადილით.

გლეხებს ეძლევათ ჩაი დილა-საღამოს და სადილი ორი კერძისაგან. სადილს ამზადებენ ახალ სინოვაგისაგან და მასთან გემრიელია.

სანამ გლეხებს დაურიგებენ სადილს, მას სინჯავენ: ექიმის თანაშემწე და საექსკურსიო ბიუროს წარმომადგენელი.

გლეხები დიდ კმაყოფილებას და მადლობას გამოსთქვამენ კარგი კვების გამო.

აღსანიშნავია ერთი შემთხვევა, რომელსაც ამ ორი დღის წინად ჰქონდა ადგილი საერთო საცხოვრებელში. სრულიად მოულოდნელად გამოფენაზე ჩამოვიდნენ ქუთაისის მაზრიდან 90 გლეხი და სომხეთიდან 12. ვინაიდან მათ არ მოელოდნენ, ამის გამო მათთვის წინასწარ სადილი არ იყო მზად და საექსკურსიო ბიუროს მოუხდა მათი დაკმაყოფილება სხვაგვარ საშუალებით, რამაც გამოიწვია მოულოდნელი ხარჯები. რათა მომავალში ასეთ შემთხვევებს არ ექნეს ადგილი, სასურველია მაზრებმა აცნობონ საექსკურსიო ბიუროს წინასწარ, რომ ამა და ამ დღეს გამოფენაზე მოდის ამდენი და ამდენი გლეხი.

ამით გლეხებიც კმაყოფილნი დარჩებიან და ბიუროსაც არ დასჭირდება ზედმეტი, მოულოდნელი ხარჯების გაწევა.

ჰ.

ექსკურსიები

უკანასკნელ ხანებში ექსკურსანტთა რიცხვი ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საგრძნობლად გაიზარდა. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია მოწაფეთა და მუშა-მოსამსახურეთა ექსკურსიები.

გამოფენის გახსნიდან დღემდე გამოფენაზე გაიარა 201 ექსკურსანტმა-გლეხმა სომხეთიდან, 325 აზერბეიჯანიდან და 66 საქართველოდან; ამას გარდა საექსკურსიო ბიუროს საშუალებით გამოფენა დაათვალიერა 84 წითელარმიელმა.

გამოფენის დამთავრებამდე საექსკურსიო ბიუროს განზრახული აქვს გამოფენაზე გაატაროს 25.000 მოწაფე, 30.000 მუშა-მოსამსახურე, 10.000 წითელარმიელი და 5.000-დე გლეხი.

გამოფენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის; კერძოდ გლეხებისათვის, რომლებიც გამოფენის პრაქტიკაზე გაეცნობიან სასოფლო-მეურნეობის მექანიზაციის მნიშვნელობას.

ამიტომ საექსკურსიო ბიურო სცდილობს გამოფენაზედ რაც შეიძლება ფართო ინფორმაცია მიაწოდოს ცალკე მანქანა-იარაღების შესახებ.

ამ მიზნით გლეხთა საერთო ბინაში საღამოობით იმართება ლექცია-მოხსენებები რუსულ, ქართულ, სომხურ და თურქულ ენაზე. მოხსენებებს კითხულობენ საექსკურსიო ბიუროს ძიეო მოწვეული სპეციალისტები.

ამას გარდა მიმდინარე კვირიდან გლეხებისათვის და საერთოდ ყველა მოქალაქეებისათვის გამოფენაზე დაიწყება საჯარო ლექციების კითხვა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ცალკე მანქანების შესახებ. პირველი ასეთი ლექცია გაიმართება ხვალ, საღამოს 7 საათზე. ლექციას კითხულობს აგრონომი ვ. **მიკუსი**.

შემდეგი ლექცია გაიმართება შაბათს, 26 ივნისს, საღამოს 6 საათზე; ლექციას ტრაქტორების შესახებ წაიკითხავს პროფ. კ. **ამირაჯიბი**.

ვინაიდან ამ დღეებში მოსალოდნელია გლეხთა მრავალრიცხოვანი ექსკურსიების ჩამოსვლა საქართველოდან, საექსკურსიო ბიუროს განზრახვა აქვს სთხოვოს „ახალი სოფლის" რედაქციას, რომ ამ უკანასკნელის მიერ გამოყოფილი იქნეს სპეციალური ლექტორები გლეხებთან საუბრების გასამართავად სხვადასხვა თემებზე.

გამოფენის ქრონიკა

119 გლეხი

გუშინ გამოფენის დასათვალიერებლად ზორაპანი და ოზურგეთის მაზრიდან ჩამოვიდა 119 გლეხი-ექსკურსანტი.

აგრონომ ვ. მიკუსის ლექცია

გუშინ გამოფენაზე აგრონომმა ვ. მიკუსმა ლექცია წაიკითხა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შესახებ.

მანქანების დემონსტრაცია

დღეს გამოფენაზე გაიმართება სხვადასხვა ფირმების მანქანა-იარაღების დემონსტრაცია.

ქარის წისქვილი

ამერიკულმა ფირმამ გამოფენაზე მოაწყო მეორე ქარის წისქვილი.

სიმფონიური კონცერტი

დღეს გამოფენაზე გაიმართება მორიგი სიმფონიური კონცერტი. შემდეგი კონცერტი ხუთშაბათს და შაბათს. კვირას გაიმართება უკანასკნელი კონცერტი.

„გზის მაჩვენებელი"

გამოვიდა და იყიდება გამოფენის გზის მაჩვენებელი. ფასი 50 კაპ.

კ. ჩხენკელის ლექცია

კვირას ექსკურსანტ-გლეხების საერთო ბინაში ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ კ. ჩხენკელმა ლექცია წაიკითხა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მათი შეძენის წესის შესახებ.

ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია გლეხებში.

მუშათა ცხოვრება

როგორ ვმუშაობთ და ვცხოვრობთ

(თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი"-ს მუშების ცხოვრებიდან)

ჩვენს ფაბრიკას ნედლი მასალა ბლომად მოეპოვება. დამზადებულიც ბევრი საქონელი გვაქვს. დამზადებულ საქონელზე მოთხოვნილება დიდია.

მომჭირნეობის რეჟიმის ზეგავლენით 14-მდე მუშა მოხსნეს სამუშაოდან, მაგრამ წარმოება იზრდება დღე და დღე და ამისათვის შესაძლებელია დათხოვნილები კვლავ დაბრუნონ სამუშაოზე.

შრომის ხელფასს მუშები ღებულობენ, მექანიკების და კანტორის მოსამსახურეების გარდა, თვეში ორჯერ: პირველ ნახევარს—თვის 18-ში და მეორე ნახევარს ახალ თვის 3-ში. მუშა-ხელის საერთო რიცხვი უდრის 303 კაცს. აქედან მამაკაცები—128, დედაკაცები—161.

ამათში მოზარდნი ქალები—16, კაცები—4.

საშუალოდ შრომის ხელფასი ყოველ მუშაზე ნაანგარიშევია 54 მანეთი და 24 კაპ.

რა გავაკეთეთ

უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში—მარტო აპრილსა და მაისში დამზადებულია 116 მილიონი და 59.000 ცალი პაპიროსი; თუთუნი პაჩკებით დამზადებულია 875.000 კილოგრამი.

ყოველ ოთხ თვეში ერთხელ კავშირის ხელმძღვანელობით იდება კოლექტიური ხელშეკრულება, რომელსაც ჯერ მუშათა საერთო კრებაზე განიხილავენ ხოლმე მუშები და მერე ნებას აძლევენ ხელის მოწერისას.

ფაბრიკა ამ ერთი-ორი თვის წინედ ცუდ მდგომარეობაში იყო, რადგანაც მისი ბინა დახურული იყო ასვალტით, დახეთქილი ადგილებიდან წყალი ქარხანაში ჩამოდიოდა რის გამოც საქონელიც ფუჭდებოდა მანქანებიც და მუშაობასაც ხელს უშლიდა. მაგრამ ამ ბოლო ხანებში მას ზემოდან დაადგეს ახალი სახურავი და ეს დეფექტიც გამოსწორებულია და ახლა არავითარი ხიფათი არ მოელის არც საქონელს და აღარც მანქანებს.

ქარხანის ერთს დიდს ნაკლულოვანებას შეადგენდა სასადილოს უქონლობა. მაგრამ მაისის უკანასკნელ რიცხვებში უკვე დასრულდა საუკეთესო სასადილო, რომლისათვისაც დაიხარჯა 25 ათასი მანეთი. სასადილო ძლიერ ფართო და მოხერხებულია. მასში თავისუფლად თავსდება 400 მუშა-მოსადილე. აქვე არის 25 სასადილო მაგიდა, რომელზედაც ისადილებს 10—14-მდის მუშა, 50 სკამი.

უნდა გაიხსნას სამზარეულო, სადაც დამზადდება ერთი კერძი ცხელი საჭმელი და იქნება აგრეთვე მშრალი საჭმელი მუშებისათვის ხელმისაწვდომ ფასებში. აქვე არის მოწყობილი ლენინის კუთხე—სამკითხველო, ადგილკომის ოთახი, სცენაც და წარმოდგენა-კონცერტებიც უნდა მოეწყოს.

დილის 10 საათზე, ზარის დარეკვის დროს მთელი ქარხანა იცლება და მუშები საუზმისათვის შედიან სასადილოში, სადაც მუსიკის მცოდნე პირები უკრავენ როიალს და ერთობიან.

წერა-კითხვის არამცოდნეთა ლიკვიდაცია სავსებით გატარდა.

წერა-კითხვა თითქმის ყველამ იცის, გარდა რამოდენიმე ღრმად მოხუცებულ მუშებისა.

რაც შეეხება მუშებს და ადმინისტრაციას შორის განწყობილებას, უნდა ითქვას, რომ იგი სამაგალითოდ არის: არავითარ „მბრძანებლობას" ან უდიერათ მოპყრობას მუშებისადმი აქ ადგილი არა აქვს. მათი განწყობილება მეგობრულ და საქმიანია.

არავით[illegible] უბედურ შემთხვევას დღემდის აქ [illegible] და თუ ჰქონია სრულიად უმნიშვნელო[illegible]. შრომის დაცვის კომისია ენერგიულად ებრძვის ყოველგვარ არანორმალობას ფაბრიკაში და ამით სპობს უბედურ შემთხვევათა შემქმნელ პირობებს.

არსებობს აგრეთვე სხვადასხვა კომისიები: საწარმოო-სათათბირო, შემფასებელი-საკონფლიქტო; საშეფო; „რემედასი", „ჰაერო-ქიმია", სათეატრო წრე და ურთიერთ დამხმარე სალარო და კულტკომისია.

ლად მუშაობენ.

მუშკორი ალექს. [illegible]იაშვილი.

ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე

ჯერ იყო და მთელი ზამთარი ეგრედ წოდებულ მნაცაკანოვის ხიდზე ხან საქონელი და ხან თვით ადამიანიც კისერს იმტვრევდა გავლის დროს და მას დიდი სიფრთხილე სჭირდებოდა, რომ მტკვარში არ გადავარდნილიყო. ეხლა კი ალმასკომმა (აგერ ერთ თვეზე მეტია) შეღობა ეს ხიდი და აკრძალა მიმოსვლა. ყველამ ვიცით, რომ ორთაჭალაში მდებარეობს ტყავტრესტის და სხვა მრავალი ქარხანა-ფაბრიკები, რომელთაც ნედლი მასალის მოტანა უხდებათ ნავთლუღიდან ამ მომჭირნეობის რეჟიმის დროს [illegible] ტრანსპორტს უხდება ნავთლუღიდან ყოფ. ციციანოვის დაღმართზე ჩასვლა, აქედან რიყეზე თათრის მოედნით ორთაჭალაში ჩასვლა.

ეს კი სრულიად ხელსაყრელი არ არის წარმოებისათვის. ჯერ ერთი გზის სიშორის გამო, გამოზიდვაც ძვირი ჯდება, მარილის დროზე მიწოდების საქმე ფერხდება. ამიტომ საჭიროა ქ. ალმასკომმა დააჩქაროს ამ ხიდის შეკეთება, რომ წარმოებებს დიდი ზარალი არ მოუვიდეს.

მუშკორი რისხვა.

ამ უბანსაც მიხედეთ

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალაქის განაპირა უბნებს. ერთ-ერთ განაპირა უბნად ითვლება, „ნავთლუღი" „მამუკინის სოფლით", რომელიც დასახლებულია მუშებით და გლეხებით, მაგრამ მას ნაკლები ყურადღება ექცევა.

რა დაამავა ამ უბანმა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ სიკეთეს?

მისთვის არ არის არც სინათლე ქუჩებში, არც „ბოძების ჩასხმა" მომავლისათვის სიმედოდ, არც ქუჩების დაჭრა და მოკირწყვლა; ლაფში და წუნწუხში იტანჯებიან მცხოვრებნი. ტრამვაი თითქმის ყველგან გაიყვანეს. თითქმის ყველგან დასრიალობენ რონოდები, ნავთლუღში კი იყო და ისიც მოშალეს.

ნავთლუღელებმა თხოვნითაც მიმართეს, პირადათაც შეეცადნენ, მაგრამ გულშემტკივრობა ვერავინ გამოიჩინა და მშრომელი ხალხის მდგომარეობა აუტანელია.

ხშირად შემომჩივლებენ გულდაწყვეტილნი.

— ყველას ეშველა. ყველას სიკეთე აგემეს, ჩვენი მდგომარეობა კი გაუარესდა!

ალმასკომო მიხედე ამ უბანსაც.

მუშა შაქრო ნავთლუღელი.

მოგვეცით ექიმი დაზღვეულებს

მაზრის დამზღვევ სალაროს აღარ ყავს ექიმი, მხოლოდ არის ერთი ფერშალი, რომელიც მუშაობს ამბულატორიაში. ამიტომაც დაზღვეულებს არ შეუძლიათ მიიღონ სახლში საექიმო დახმარება, ვინაიდან ამ ფერშალს არ შეუძლია ამბულატორიას მოშორდეს. გვყავდა ერთი ექიმი, მაგრამ ის მარტის 1-ლი რიცხვიდან მოხსნილი იქნა. ეს საკითხი ერთი თვის წინედ გალის მაზრის მასწავლებელთა საერთო კრებაზე იყო წამოყენებული, და დაგვპირდნენ ექიმის შოვნას; მაგრამ ეს დაპირებად დარჩა. ვეკითხებით აფხაზეთის დამზღვევ სალაროს, ვეღირსებით ოდესმე დაზღვეულები ექიმს, თუ არა?

სეთ.

შენიშვნები

ყველა მუშა-მოსამსახურე, იმის და მიუხედავათ, თუ რა კატეგორიის თანამდებობა აბარიათ მათ ევალებათ სამუშაო დროის განმავლობაში იყვნენ თავის ადგილას და მათზე დაკისრებული საქმე კეთილსინდისიერათ გააკეთონ. სამუშაო დრო მთლიანად უნდა იქნეს გამოყენებული დავალებული საქმისათვის. სინამდვილეში კი ზოგიერთ ჩვენ დაწესებულება-წამოწყებებში შრომის დისციპლინა სრულებით არ არის დაცული; სამსახურზე მოდიან დაგვიანებით. სამუშაო დღის განმავლობაში თითქმის სისტემატიურად იწვევენ „გადაუდებელ" კრება-თათბირებს, რომელიც გრძელდება რამოდენიმე საათის განმავლობაში; არის ასეთი მაგალითებიც: მოდიან დაწესებულების უფროსთან. ან რომელიმე განყოფილების გამგესთან მუშები და გლეხები რაიმე საჭირბოროტო და გადაუდებელ საქმისათვის; აქ მათ ეუბნებიან: უფროსი არ არის: განყოფილების გამგე არ არის; მდივანი?—არც მდივანი არის.—საქმის მწარმოებელი?—არც ის არის.—სად არიან?—თათბირზე,—კრებაზე, ან ორი წუთით გავიდნენ. მოვლენ ეხლავე. ამბობს გულცივად შიკრიკი.

უცდიან გლეხები და მუშები ორ წუთს კი არა ხშირად ორ საათსაც. მაგრამ ამაოდ. „მუშაკები" არა სჩანან და ისინი იძულებული ხდებიან დაბრუნდნენ შინ. სამუშაო დღე უხეირო „მუშაკებმა" არამც თუ თვითონ დაჰკარგეს უნაყოფოდ, არამედ იგი დააკარგვინეს გლეხებს და მუშებს, რომელთაც მასთან ერთად თავიც არა ერთხელ ეწყვეტინეს.

საჭიროა ბოლო მოეღოს ამ ბოროტებას დაუყოვნებლივ. მუშგლეხინმა უნდა მიიღოს სასტიკი ზომები ასეთი „მუშაკების" წინააღმდეგ, რომელნიც ნებსით თუ უნებლიეთ ძირს უთხრიან შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეს; სამუშაო დროის უხეირო ფლანგვას საზღვარი უნდა დაედვას. ყოველი მუშაკი, ვინც გინდა იყოს იგი, „დიდი თუ პატარა" უნდა თავის ადგილას მთელ სამუშაო საათებში და აკეთებდეს დავალებულ საქმეს; კრებებსა და „თათბირებს" სამუშაო საათების განმავლობაში ადგილი არ უნდა ექნეს.

სამუშაო დროსაც უნდა მომჭირნეობა და გონივრულად გამოყენება.

ზონი.

პროფუჯრედების კულტმუშაობა მოისუსტებს

ფაბრქარხკომების და ადგილკომების დეცენტრალიზაციას, როგორც ვიცით, მოჰყვა კულტმუშაობის დეცენტრალიზაციაც და გვეგონა. რომ ყველაფერ ამას მოჰყვებოდა ადგილებზე კულტმუშაობის გაცხოველება-გაჯანსაღება, მაგრამ, როგორც სინამდვილემ დაგვანახვა, ეს ასე მოხდა. პროფუჯრედების დეცენტრალიზაციამ—ესენი დაასუსტა ფინანსიურად; პროფმუშაკების მცირე რიცხვი დაქსაქსა ათეულ და ასეულ ადგილკომებში და ყველა ამის გამო შეუძლებელი გახდა ადგილებზე კულტმუშაობის ნორმალურად წარმოება. ჩვენი ადგილკომები არ აწარმოებენ თითქმის არავითარ მუშაობას მათთან თავმოყრილ კავშირის წევრებში. ადგილკომების პასუხისმგებელი მუშაკები მუშაობენ შეთავსებით და ხეირიანად ვეღარ ასრულებენ ვერც საკავშირო და ვერც თავიანთ პირვანდელ სამსახურს.

ასეთი მოვლენა ყოვლად მიუღებელია. სრულებით არ კმარა მარტო დაარსება ყოველ ფაბრიკა-ქარხანასთან ადგილკომებისა, საჭიროა მათთვის ისეთი პირობების შექმნაც, რომ მათ შეეძლოთ ნორმალური მუშაობა პროფმოძრაობის ყოველ დარგში.

განი.

მუშათა ქრონიკა

ტრამვაის მოძრაობის დარგში

— **სპეციალური კომისიის დაარსება.** ტრამვაის მოძრაობის დარგის ადგილკომმა სთხოვა ქალ. ალმასკომს დაარსოს კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს ვატმან-კონდუქტორების მუშაობას.

— **ტრამვაის მოძრაობის დარგის საწარ. კომისიამ დაადგინა:** შესწავლილი იქნეს ყველა ის მოვლენები, რომელიც ხშირია წარმოებაში და აფერხებს წარმოების აღორძინებას.

— **რონოდების სადგურის შემცირება.** ტრამვაის საწარმოო სათათბირო ბიუროს დაევალა გამოიმუშაოს გეგმა რონოდების სადგურის შემცირების შესახებ.

— **რონოდების გასინჯვა.** იმ მიზნით, რომ დაზიანებული რონოდები არ იქნეს გაშვებული ხაზზე, ტრამვაის საწარმოო კომისიამ დაადგინა: პარკიდან გამოსული რონოდები იქნეს გასინჯული.

— **ტრამვაის რკ. გზის მასიური შეკეთება.** ტრამვაის საწარმოო სათათბირომ დაადგინა: ვინაიდან დაზიანებულია რკინისგზა მუშაობას ხელს უშლის მიღებული იქნეს ზომები გზათა შესაკეთებლად.

— **მოხსენება.** ტრამვაის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებაზე სარევიზიო კომისიის წევრმა ამხ. მახარაძემ გააკეთა მოხსენება სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ. კრებამ მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

მეორე თამბაქოს ქარხანაში

დამხმარე სალაროში. მეორე თამბაქოს ქარხნის დამხმარე სალაროში ერთი წლის განმავლობაში შემოსულა საწევრო ფული 265 მან. სალაროს წევრებად ითვლება 320 კაცი.

— **წითელი კუთხე.** მეორე თამბაქოს ქარხკომმა დაადგინა მუშების სასადილოში მოეწყოს წითელი კუთხე.

— **სამზარეულოს მოწყობა.** იმავე ქარხკომმა დაადგინა მუშების სასადილოში მოეწყოს სამზარეულო ცხელი საჭმელების დასამზადებლად.

ქრონიკა

ცაკის წევრების დაბრუნება

სოხუმიდან თბილისში დაბრუნდნენ და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მამია ორახელაშვილი,** საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. **ფ. მახარაძე** და საქართველოს ცაკის მდივანი ამხ. **ს. თოდრია.** მათთან ერთად თბილისში დაბრუნდნენ ცაკის სხვა წევრებიც.

პენსიონერები

სამხრეთ-ოსეთში, სახელმწიფოს კმაყოფაზე ამჟამად ითვლება ომის 91 ინვალიდი, შრომის 17 ინვალიდი და ინვალიდთა 19 ოჯახი.

ამ პენსიონერებზე სახელმწიფო წელს დახარჯავს 13.532 მანეთს; აქედან სახელმწიფო ბიუჯეტით—3.203 მანეთს, ადგილობრივათ—10.329 მანეთს.

ელექტრომშენებლობა

საკავშირო ელექტრო-ბანკის ამიერ-კავკასიის კანტორამ დღემდე საქართველოს ელსადგურების მშენებლობისათვის გასცა სესხად:

აჭარის წყალის ელსადგურისათვის—350 ათასი მან., აბაშის—210 ათასი, ზაჰესს—8 მილიონი და წვრილ ელექტრო-სადგურებს—600 ათასი მანეთი.

საბავშვო ბაღები

თბილისში არსებულ საბავშვო ბაღებში მეცადინეობა შეწყდება ივლისის პირველს, ხოლო განახლდება სექტემბრის პირველს. ბაღებში მოთავსებულ ბავშვების უმრავლესობა საგარაკოთ გაიგზავნებიან თბილისის აგარაკებზე, ხოლო ზოგიერთი ბავშვები დარჩებიან თბილისში. ამიტომ განზრახულია თბილისში დარჩენილ ბავშვებისათვის მოეწყოს 7 მოედანი.

თბ. ალმასკომში

— **წყაროს გამოყვანა.** ხაშმში წყაროს გამოსაყვანად გადაიდო 10.000 მან.

— **წყლების გამოკვლევა.** ქიმიო-ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტს დაევალა მოახდინოს დეტალური გამოკვლევა თბილისში და მის მაზრაში არსებულ მდინარეებისა და წყაროების.

ჯანმრთელობა

— **თბ. ალმასკომის ჯანმრთელობის** განყოფილება წელს მაზრაში გახსნის რამოდენიმე დისპანსიერს.

— **სანიტარული ექიმები.** დიდ რაიონებში, სადაც ექიმები მეტად დატვირთული არიან მუშაობით, თბ. ჯანმრთელობის განყოფილება აწესებს სანიტარულ ექიმების თანამდებობას.

სხვადასხვა

— **ლუდი.** გასულ წელს თბილისში გაიყიდა 66.800 ვედრო ლუდი. წელს გრილ ამინდის გამო ლუდზე ნაკლები მოთხოვნილებაა.

— **ხელოვნურ წყლებზე** არსებული აქციზი მოიხსნა.

— **თვითმშრომელ ხელოსანთა საზ-ბა** ამჟამად მთელ საქართველოში ითვლება 18.

— **ახალი ბინები.** გასულ წელს „ცენტრამშენმა" თბილისში ააგო 56 ბინა.

— **წ.-კ. უცოდინართა სკოლები** წელს თბ. მაზრაში დაამთავრა 5022 კაცმა.

— **ქოხ-სამკითხველოებთან** განათლების ინსპექტორების ხელმძღვანელობით, თბ. მაზრაში არსდება ქოხ-სამკითხველოების მუშაობის გასაფართოებელი საბჭოები.

შემთხვევები

— **ჩხუბის დროს** 19 ივნისს უცნობმა მოქალაქემ ცისკაროვს თავი მიახეთქებინა კედელზე. მძიმედ დაშავებული ცისკაროვი გადაიგზავნა საავადმყოფოში.

— **დაჭრა.** 19 ივნისს „თათრის მოედანზე" გარსან მამედ-ოღლიმ დანით მუცელში დაიჭრა თავი.

— **გაუპატიურება.** სოფ. სუტრიანში (ერწოს თემი) იოსებ და მოსე კოტოშაშვილებმა მოიტაცეს და გააუპატიურეს ვასო ზარიძის ცოლი. დამნაშავენი შეიპყრეს.

— **გამტაცებელთა შეპყრობა.** თიანეთის თემმილიციამ შეიპყრო 11 ივნისს [illegible] ღვინიაშვილის გამტაცებლები: ლევან ირაჯელი, იოსებ გინაშვილი და ლევან წიველაშვილი.

— **შეპყრობა.** 19 ივ. კომ. ქ., 7, შიგარდილოვის ბინაზე შეიპყრეს დავით ოდელი, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

— ამავე დღეს ქურდობისათვის შეიპყრეს ფულსაზ დაფარაშვილი და სიმონ თათეკაშვილი.

— 18 ივ. შეშის ქ., № 17, ჯალალ იბრაგიმოვის ბინის გაქურდვისათვის შეიპყრეს შახტანტინსკის ქალი.

— **ქურდობა.** 19 ივ. ნერსესოვის ქ., № 2, გაქურდეს სურენ დაბგიანცის ბინა.

— ამავე დღეს ცხაკაიას ქ., № 11, გაქურდეს მარგარიტა არუთინიანის ბინა.

— ამავე დღეს ნორაშენის ქ., № 28, გაქურდეს რუბენ ცინელიძეს ბინა.

— **ჯიბგირობა.** 19 ივ. ბაზარში სიდონია გელაძეს ჯიბიდან ამოაცალეს საფულე.

მტკვარში გადავარდნა

გუშინ საღამოს, 10 ნახევარ საათზე, ვერის ხიდიდან მტკვარში გადავარდა **ლილი ზარათაშვილი,** გვამი ჯერ ვერ იპოვეს.

მიზეზი რომანიულია.

სასამართლო

საზოგადოებრივ-საჩვენებელი გასამართლება

(პავლე მაკაროვის საქმე)

20 ივნისს, ლენინის უბანში (ნაძალადევი) პლეხანოვის თეატრში დღის 11 საათზე გაიხსნა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სხდომა ამხ. **შ. ოდილავაძის** თავმჯდომარეობით.

თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით—უმეტესობას დეპოს მუშები შეადგენდენ.

ირჩეოდა საქმე რკინისგზის მთავარ სახელოსნოების მომუშავე პავლე **მაკაროვის,** რომელსაც ბრალდებოდა თავისი ცოლის მოკვლა.

ბრალს სდებდა პროკურორი **ბარამიძე,** ბრალდებულს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი **შალიბაშვილი.**

სასამართლოს წინაშე ბრალდებულმა განაცხადა, რომ ის არ სცნობს თავს დამნაშავედ ცოლის მოკვლაში. სინამდვილეს არ შეეფერება,—ამბობს ბრალდებული მაკაროვი,—რომ თითქოს ჩემი ცოლი წინასწარი განზრახვით მომეკლას და დასძენს, რომ ეს ბოროტმოქმედება მან ჩაიდინა მოულოდნელად.

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ რამოდენიმე თვე ცოლ-ქმარი კარგად ცხოვრობდენ, შემდეგ მაკაროვმა დაიწყო უმიზეზოთ იჭვიანობა.

შემდეგ მაკაროვს შეუყვარდა სონა ქავთარაშვილი. აღუთქვა ცოლად შერთვა, მაგრამ ქალმა უარი უთხრა. ბრალდებულის ცოლმა იჭვი აიღო ქავთარაშვილის ქალზე და ერთ დღეს, ქუჩაში შეხვედრისას უმაწური სიტყვებით მიმართა მას. ეს ამბავი ქავთარაშვილის ქალმა უამბო ბრალდებულ მაკაროვს. მაკაროვმა სიმთვრალის დროს შაშხანა თოფით მოჰკლა თავისი ცოლი.

გამოირკვა, რომ მაკაროვი (კომკავშირის წევრი) ხშირად დადიოდა სასულიერო დღესასწაულებზე, როდესაც ბრალდებულს მეზობლები შეკითხებია, რად მოჰკლა თავისი ცოლი, მას უპასუხებია—„რა თქვენი საქმეა, ჩემი ნებაა, როგორც მოვიქცევიო".

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ მოკლული ეკატერინა მაკაროვისა ყოფილა პატიოსანი და ოჯახისათვის თავდადებული ადამიანი.

ღამის 11 საათზე სასამართლომ გამოიტანა განაჩენი: ბრალდებული მაკაროვი დამნაშავედ სცნო თვისი ცოლის მოკვლაში წინასწარი განზრახვით და მიუსაჯა მას ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით, წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

ხალხი ტაშით შეხვდა განაჩენს.

ძ.

სუსლინის მასხულიას და სხვათა საქმე

1923 წლის ბოლოს, ინგლისის „კლაიდესდალ ბანკ"-მა გამოგზავნა საქართველოში თავისი რწმუნებული **ჯონ-ელიოტი**—პრეტენზიებით. ობიექტათ პრეტენზიებისა იყო შავიქვის მადანი, რომელიც ინახებოდა ფოთში და იმყოფებოდა საგანგებო სამდონო სამმართველოს განკარგულებაში. ეს მადანი აღნიშნულ სამმართველოს გადაეცა „რუსეთ-აზიურ ბანკის" ყოფილ ბათომის განყოფილების ლიკვიდაციის დროს. მოქ. ჯონ-ელიოტმა „კლაიდესდალ ბანკის" დავალებით განაცხადა პრეტენზია ამ მადანზე და სათანადო განცხადება შეიტანა სახალხო ბანკში, სადაც გადავიდა ყველა საქმეები ლიკვიდაცია ქმნილ კომერციულ ბანკებისა.

განცხადებაში მოქ. ელიოტი სწერდა, რომ ფოთის ნავთსადგურის ტერიტორიაზე მყოფი შავი ქვის რამოდენიმე პლატფორმა დაახლოებით 700.000 ფუთი მადანით ეკუთვნის „კლაიდესდალ ბანკს". რუსეთ-აზიურ ბანკის ლიკვიდაციის დროს ეს პლატფორმები შეცდომით ნაჩვენებია, როგორც ბანკის ყოფილ კლიენტების **გომერ-ავგერიონის** ქონება, დაგირავებული ბანკში დავალიანების ასანაზღაურებლად. აგრეთვე განაცხადა, რომ რუსეთ-აზიური ბანკი დავალიანებული იყო „კლაიდესდალ ბანკის" წინაშე 15.000 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით და ეს ვალი არ არის ანაზღაურებული.

ამ დროს რუსეთ-აზიურ ბანკის სალიკვიდაციო განყ. გამგეთ იმყოფებოდა **მიხეილ სუსლინი.**

მოქ. ჯონ-ელიოტს ესაჭიროებოდა სათანადო საბუთები, რომ მადანი ნამდვილათ ეკუთვნის კლაიდესდალ ბანკს, ხოლო ვინაიდან ბანკის წიგნებიდან სჩანდა, რომ ეს მადანი ეკუთვნის მოქ. გომერ-ევგერიონის და მადანი დაგირავებულია რუსეთ-აზიურ ბანკში, მოქ. ელიოტმა ინგლისის სამთამადნო ფირმის „ფორვურდ და სილარის" რწმუნებულის **გიორგი ტარსიის** და საზოგადოება „ჩემო"-ს ყოფილ თავმჯდომარის **მიხეილ მასხულიას** მონაწილეობით გაიმართა მოლაპარაკება სუსლინთან.

მოქ. ელიოტი აღნიშნულ პირების თანდასწრებით შეპირდა სუსლინს „ჯილდოთ" 400 გირვანქა ინგლისური სტერლინგი, თუ საქმე კლაიდესდალ ბანკის სასარგებლოდ მოგვარდებოდა. ამისათვის საჭირო იყო სუსლინს მიეცა მოქ. ელიოტისათვის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომ აღნიშნული მადანი მართლაც ირიცხება კლაიდესდალ ბანკის სახელზე. ამ საქმის მოგვარება სუსლინმა აღუთქვა მოქ. ჯონ-ელიოტს. სუსლინი 1924 წ. 9 თებერვალს უქვეთებს მოხსენებას ბანკის გამგეობას, რომელშიაც ამბობს, რომ შავიქვის მადანი, მდებარე ფოთის ზოგიერთ პლატფორმებზე, შეადგენს ინგლისის კლაიდესდალ ბანკის საკუთრებას. გარდა ამისა რუსეთ-აზიურ ბანკს ემართა კლაიდესდალ ბანკის 15.000 გირვანქა სტერლინგი და ამ ვალის ანგარიშში ქიათურიდან ქ. არხანგელის გზით გადაგზავნილ იქნა ინგლისში 500 ტონა პერაქსიდი (გაწმენდილი მარგანეცი), რომელსაც არ მიუღწევია დანიშნულებისამებრ. სუსლინი მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ეს ცნობა სისწორეს არ შეეფერება; 500 ტონა პერაქსიდი სრულიადაც არ ყოფილა გაგზავნილი ქიათურიდან. სუსლინი დაასკვნის, რომ ინგლისის კლაიდესდალ ბანკს 15.000 გირვანქა სტერლინგის ანგარიშში ეკუთვნის ფოთის ზოგიერთი პლატფორმები მადნებით და „დოკუმენტით" არ მართლდება ის, რომ ეს მადანი დაგირავებული იყოს რუსეთ-აზიურ ბანკში მოქ. გომერ-ავგერიონის მიერ. სუსლინის აზრით, ეს მადანი უნდა მიეცეს ინგლისის ბანკს.

მიუხედავათ სუსლინის ცდისა ჯონ-ელიოტმა ვერ მიიღო აღნიშნული მადანი.

საქმე გადაეცა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს. უკანასკნელის მიერ დანიშნულ იქნა სპეციალური იურიდიული კომისია, რომელსაც დაევალა ამ საკითხის გამორკვევა.

კომისიამ გამოარკვია, რომ სუსლინის მოხსენება ნაკარნახევია ანგარების მიზნით და სინამდვილეს არ შეესაბამება.

აღსანიშნავია, რომ სუსლინმა ამ „საქმიანობის" პროცესში ჯონ-ელიოტისაგან მიიღო თარჯიმან ტარსიის ხელით 8 გირვანქა სტერლინგი 400 გირ. სტ. ანგარიშში. აგრეთვე მასხულიასაგან მიიღო 8 გირვანქა სტერლინგი.

ამის გამო პასუხისგებაში მიცემული მიხეილ სუსლინი, მიხეილ მასხულია და გიორგი ტარსიი.

სუსლინს ბრალდება ყალბი საბუთების შედგენა და ქრთამის აღება; (ბრალდება გათვალისწინებულია ს. ს. კოდექსის 119 და 117 მუხ.)

მასხულიას და ტარსიის ბრალდებათ ქრთამის მიცემა: (ბრალდება გათვალისწინებულია ს. ს. კოდ. 117^1 მუხ.).

ხვალ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში დაიწყება ამ საქმის გარჩევა.

განათლების ფრონტზე

მოწაფეთა ექსკურსიები გამოფენაზე

თბ. განათლების განყოფილება შეუთანხმდა საგამოფენო კომიტეტს, გამოფენის დასათვალიერებლად მოწაფეთა ექსკურსიების დაშვების შესახებ. უკვე მოეწყო მოწაფეთა რამოდენიმე ექსკურსია.

მომავალი სასწავლო წელი

განათლების განყოფილება უკვე შეუდგა სამზადის მუშაობას მომავალი სასწავლო წლისათვის. მუშავდება სკოლების მტკიცე ქსელი,—ტიპის, საფეხურისა და ჯგუფის რაოდენობათა სასტიკი განსაზღვრით. მუშავდება აგრეთვე პროექტი სპეცკურსებისა, პროფტეხნიკური სკოლების გახსნისა და მაზრის შვიდწლედების რეორგანიზაციის შესახებ.

განხრები

მომავალ სასწავლო წლიდან შრომის სკოლებში მტკიცეთ იქნება შემოღებული შემდეგი განხრები: კოოპერატიული, პედაგოგიური, პოლიტგანმანათლებელი, სტატისტიკური, საბჭოთა ადმინისტრატიული, ინდუსტრიალური, კომუნალური, ელექტრო-ტეხნიკური.

საბუღალტრო კურსები

თბ. ალმასკომის განათლების განყოფილებას განზრახვა აქვს ამ ზაფხულიდან მოაწყოს საბუღალტრო კურსები.

ნათესების მდგომარეობა

ივნისის პირველ ნახევრის განმავლობაში ამიერ-კავკასიის თითქმის ყველა რაიონებში წვიმები არ შეჩერებულა. ნალექების სიმრავლემ ხელი შეუწყო უვარგის ბალახების ზრდას და სოკოსებური ავადმყოფობის გავრცელებას.

სომხეთის მთიან ადგილებში იყო სეტყვა. ასეთივე მდგომარეობა იყო ახალციხის მაზრაში, სადაც საგრძნობლად დაზიანებულია ბაღები და ბოსტნები. მთიან ყარაბაღში ხშირი იყო სეტყვის შემთხვევა. ნათესები ბევრ ადგილას დაზიანებულია.

ამიერ-კავკასიის პურეულობის ნათესების მდგომარეობა საერთოდ აჭარბებს საშუალოზე მეტს. გასული წლის 15 ივნისთან შედარებით, პურეულის მდგომარეობა წელს გაცილებით უკეთესია. შემოდგომის ნათესებს კი განსაკუთრებით კარგი პირი უჩანს.

კერძოთ საქართველოში გამოკეთება ეტყობა ნათესების ყველა დარგებს: შემოდგომის ხორბალს, შემოდგომის ქერს, გაზაფხულის ხორბალს. ქერს და სიმინდს.

ბამბის ნათესების მდგომარეობა მთელ ამიერ-კავკასიაში საშუალოზე უკეთესია, ზოგან კი საშუალო. გამონაკლისს შეადგენს სომხეთი, სადაც ბამბის ნათესების მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი.

ვენახების მდგომარეობა აზერბეიჯანში და საქართველოში საშუალოზე უკეთესია. სომხეთში—საშუალო.

საერთოდ ნათესების და ბაღ-ვენახების მდგომარეობა მთელ ამიერ-კავკასიაში საშუალოზე უკეთესია, სომხეთის გამოკლებით, სადაც შედარებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა.

გადასახადი

ვინაიდან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და გასული წლის ნარჩენების შეკრეფა ისევ მეტათ ნელი ტემპით მიმდინარეობს, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა რესპუბლიკანურ ფინსახკომებს. მიიღონ ზომები გადასახადის აკრეფის გასაძლიერებლად.

საფინანსო ორგანოები, რომლებიც უმოქმედობას გამოიჩენენ გადასახადის აკრეფის საქმეში, პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული.

1924-25 და 1925-26 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენების სალიკვიდაციო კამპანია სავსებით დამთავრებული უნდა იქნეს მიმდინარე წლის 15 ივლისისათვის.

ფეხბურთი

„დურუჯი"—„პოლიტეხნიკუმი"

კვირას, 20 ივნისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა „დურუჯი"-ს და „პოლიტეხნიკუმი"-ს მეტად საინტერესო კალენდარული მატჩი.

პირველი კატეგორიის გუნდებს შორის პირველობის აღების ყველაზე მეტი შანსები ჰქონდა „პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს". „დურუჯთან" შეჯიბრის მოგებით ის 13 ქულას აგროვებდა და პირველ ადგილზე გამოდიოდა.

მაგრამ კვირის შეჯიბრმა დაამტკიცა, რომ „პოლიტეხნიკუმი" ვერ აიღებს პირველობას. პირველობის საკითხს გადასწყვეტს მიმდინარე სეზონის [illegible] მატჩი „დურუჯსა" და „დინამო"-ს შორის.

შეჯიბრში გუნდები გამოვიდენ თავისი ძირითადი შემადგენლობით. თამაში იწყება „დურუჯი"-ს შეტევით, რომელსაც ჩქარა „პოლიტეხნიკუმი"-ს ფეხბურთელების იერიშები სცვლის. პირველი ხავტაიმის მე-15 წუთზე „პოლიტეხნიკუმი"-ს ცენტრ. ფორვარდს პირველი ბურთი შეაქვს „დურუჯი"-ს კარებში.

ამის შემდეგ თამაში უფრო მწვავე ხასიათს იღებს. ორივე გუნდი ძლიერ იერიშებს ანვითარებს. პირველი ხავტაიმის მეორე ნაწილში უკვე აშკარავდება „დურუჯი"-ს უპირატესობა. ხავტაიმის ბოლოს „დურუჯი" ლამაზ ბურთს მოაქცევს „პოლიტეხნიკუმის" ბადეში და თამაშის პირველი განყოფილება თავდება 1:1.

მეორე ხავტაიმში სურათი ერთბაშათ იცვლება. თამაშის მთელი მეორე ნაწილი „დურუჯი"-ს გაათეთრებული იერიშების ნიშნის ქვეშ ჩატარდა. ამ უკანასკნელის ფორვარდები ზედი-ზედ არღვევენ მოწინააღმდეგის ფრონტს და გოლი გოლზე შეაქვთ. მეორე ხავტაიმის განყოფილებაში „დურუჯმა" 6 ბურთი მოაქცია „პოლიტეხნიკუმის" ბადეში, სამაგიეროთ მხოლოდ ერთი ბურთი მიიღო თავის ქიშკარში.

ამრიგად შეჯიბრი გათავდა 7:2 „დურუჯი"-ს სასარგებლოდ.

აღსანიშნავია „დურუჯი"-ს ახალი ცენტრ-ფორვარდის—ბათომელ აბაშიძის მეტად მოხდენილი და დაკვირვებული თამაში.

ფ.

მეცნიერება და ტეხნიკა

ენერგიის გამოყენება

დედამიწაზე მთელი ენერგიის წყაროა მზე. ეს გავარვარებული მნათობი, რომლის დიამეტრი 1.390.000 კილომეტრს უდრის, ყველა მიმართულებით განუწყვეტლივ ისვრის სინათლეს, სითბოს და სხვ. სახის ენერგიას. თუ ჩვენ მოვიგონებთ, რომ დედამიწა, რომლის დიამეტრი 12.800 კილომეტრს უდრის, მზისგან 150 მილიონი კილომეტრით არის დაშორებული, ნათელი შეიქნება, რომ დედამიწა ღებულობს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს იმ ენერგიისას რომელსაც მზე იძლევა—სულ 1/45.000.000 ნაწილს. მაგრამ ადამიანის მიერ ჯერ-ჯერობით გამოყენებულია მხოლოდ მცირე ნაწილი იმ ენერგიისა, რომელიც ხვდება დედამიწას. მოვიგონოთ, თუ როგორ იზომება ენერგია. სითბოს ერთეულს (კალორიას) ჩვენ უწოდებთ სითბოს იმ რაოდენობას, რომელიც ერთ კილოგრამ წყალს ათბობს ცელსიუსის ერთი გრადუსით (ე. წ. „დიდი კალორია"). თუ სითბოს ერთეულს მუშაობათ გადავაქცევთ, მივიღებთ 427 კილოგრამო-მეტრს, ე. ი. მუშაობას, რომელიც საკმაო იქნება 427 კილოგრამის ასაწევათ ერთი მეტრის სიმაღლეზე.

ახლა წარმოვიდგინოთ მიწის ნაჭერი, სივრცით 500 კვ. მეტრი, დაფარული 15 სანტიმეტრის სისქე ყინულით. ამ ყინულის გასადნობათ, თურმე საჭიროა სითბოს ისეთი რაოდენობა, რომელიც ეთანაბრება 43 მილიონ კილოგრამომეტრს, ე. ი. ენერგიას, რომელიც საჭიროა, რათა სამგზავრო მატარებლებმა 100 კილომეტრის სისწრაფით (საათში) გაიაროს 1500 კილომეტრი მეტად წარმტაცია მზის ენერგიის უშუალოდ მექანიკურ ენერგიად გადაქცევის იდეა, მაგრამ ასეთი ამოცანა დღემდი არ არის პრაქტიკულად გადაჭრილი.

დღეს დღეობით კაცობრიობა სარგებლობს მზის ენერგიით, რომელიც დაგროვებულია ქვანახშირის, ტორფის, ნავთისა და სხვა მასალების მარაგის სახით, აგრეთვე წყალის ვარდნის, ქარის და სხვ. ენერგიით. ენერგიის წყაროების დაშრეტის საკითხი მთელი თავისი სიმწვავით დაისმება მომავალ თაობათა წინაშე. ამჟამადაც კი დგას საკითხი იმ ენერგიის უფრო წესიერად და მიზანშეწონილად გამოყენების შესახებ, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია. საერთოდ ენერგიის გამოყენების საკითხი განხილული უნდა იქნას სამი თვალსაზრისით: 1) ენერგიის ახალი წყაროების გამონახვა, 2) ჩვენს განკარგულებაში მყოფ ენერგიის წყაროების უფრო მიზანშეწონილად გამოყენება და 3) მომხმარებლისათვის ენერგიის მიწოდების საკითხის მოგვარება.

1876 წ. ამერიკაში დამზადებული იქნა 1000 ძალიანი ორთქლის მანქანა.

1900 წ. უკვე მოიპოვებოდა 5000 ძალიანი მანქანა მაგრამ სათბობი მასალა ორთქლის მანქანებში არამიზანშეწონილად იხარჯება. 1903 წ. ჩიკაგოში აამუშავეს 5000 კილოვატიანი მანქანა (ერთი კილოვატის სიმძლავრე უდრის 1 მესამედ ცხენის ძალას და წამში შეუძლია 75 კილოგრამო - მეტრი სამუშაოს შესრულება). ახლა უკვე მოიპოვება 60.000 კილოვატიანი ორთქლის ტურბინები.

1882 წ. მსოფლიოში უდიდესი ცენტრალური ელექტრო-სადგურის სიმძლავრე უდრიდა 600 კილოვატს, ახლა კი მოიპოვება 250.000 კილოვატის სიმძლავრის მქონე სადგურები, ამერიკაში კი შენდება 600.000 კილოვატიანი სადგურები.

1890 წლამდი ელექტრონის ენერგიით სარგებლობდენ მხოლოდ და მხოლოდ განათებისათვის, ახლა კი ელექტრონი შეიჭრა ყველგან: მას მოძრაობაში მოყავს ტრამვაის ვაგონები, მატარებლები, მანქანები ფაბრიკებში და მაღაროებში.

სწრაფად ვითარდება ელექტრონით დნობა და შედუღება. ელექტრონით სარგებლობენ ლითონების ამოღების დროს.

შესანიშნავი მიღწევებია სხვადასხვა ელექტრონულ მოწყობილობათა დამზადების საქმეში. რადიო-ტელეგრაფი და ტელეფონი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელ ნაწილად გადაიქცა.

ენერგიის ახალი წყაროების გამოყენებასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული შორ მანძილზე მავთულებით ენერგიის გადაცემის საკითხი. გადაცემა ხდება მაღალი ჰინვის დენის სახით, რადგან ასეთი წესით გადაცემის დროს უფრო ნაკლები ენერგია იკარგება.

გაუმჯობესებული სალესი ქვა

სალესი ქვები, რომლებიც ქვედა-ნაწილით წყალში არიან მოთავსებული, ვერ არიან დამაკმაყოფილებელი იმ მხრივ, რომ წყალს ჭყანტავენ და გარდა ამისა გასალეს საგანს ზედმეტად ასველებენ. ახლა-ხან გაუმჯობესებულ სალეს მოწყობილობაში ეს დაბრკოლებები მოსპობილია. როგორც სურათიდან სჩანს, სალესმოწყობილობას ქვევით მიმაგრებული აქვს ცინკგადაკრული რკინიდან გაკეთებული ყუთი. მთავარ, სალეს ბორბალს ქვევიდან ებჯინება მეორე ბორბალი, რომელზეც ქეჩაა გადაკრული. წყალი ასველებს ამ უკანასკნელ ბორბალს და ეს ბორბალი კი სისველის თანაბრად გადასცემს სალეს ქვას.



დოღი

კვირა 20 ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, 20 ივნისს, დიდუბის იპოდრომზე გაიმართა ექვსი საინტერესო დოღი.

1. განდიკაპი 60 მანეთი მოხალისე მხედართათვის. მანძილი 2667 მეტრი (3 ვერსი).

მონაწილეობდენ: **ყირგიზი, დონი, ზორკი, ვარჯიში.**

პირველი მოვიდა **ზორკი,** მეორე—**დონი,** მესამე—**ყირგიზი.**

სისწრაფე 4 წუთი 28 წამი.

2. ჯილდო 100 მანეთი მეორე და მესამე ჯგუფის ცხენებისათვის: მანძილი 2134 მეტრი (2 ვერსი).

მონაწილეობდენ: **შაშარკა და მაესტრო.**

ორივე ცხენი მოვიდა ერთად.

სისწრაფე ორი წუთი 36 წამი.

3. განდიკაპი 120 მანეთი მეორე ჯგუფის ცხენებისათვის: მანძილი 2134 მეტრი (2 ვერსი).

მონაწილეობდენ: **მაკ-კინლეი, მილანი, სარდარი.**

პირველი მოვიდა **მილანი,** მეორე —**სარდარი,** მესამე— **მაკ-კინლეი.**

სისწრაფე 2 წუთი 33 წამი.

4. ჯილდო 60 მანეთი ორწლიან ფაშატებისათვის, მანძილი 640 მეტრი (300 საჟ.).

მონაწილეობდენ: **სერენადა, უაიტ-ლედი და აზრა.**

პირველი მოვიდა—**უაიტ-ლედი,** მეორე—**აზრა.**

5. განდიკაპი 800 მანეთი. საზოგადოება „ჩემო"-ს ჯილდო არა ნაკლებ 3 წლიან ცხენებისათვის. მანძილი 2134 მეტრი (2 ვერსი).

მონაწილეობდენ: **მარსელი, მოდერნი, მოსო, იაჯა—ქიათურელი.**

პირველი მოვიდა **მარსელი,** მეორე—**მოსო,** მესამე—**მოდერნი.**

სისწრაფე 2 წუთი 37 წამი.

6. ჯილდო 40 მანეთი. სახალხო დიდი ადგილობრივი ჯიშის ცხენებისათვის; მანძილი 2134 მეტრი (2 ვერსი).

მონაწილეობდენ: **ალმაზი, დურიპში, არა და გულივერი.**

პირველი მოვიდა **გულივერი,** მეორე—**ალმაზი,** მესამე—**დურიპში.**

სისწრაფე 3 წუთი 12 წამი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილ. ორგანო მე-2-რე რაიკომის მუშა-გლეხქალთა განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, სამშაბათს 22 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგება რუსული ჯგუფის სადელეგატო კრება.

ყველა დელეგატ-ქალების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილ. ორგ. მე-2-რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

რაიკომის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

დღეს, სამშაბათს, 22 ივნისს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპში შესდგება აგიტპროპის კოლეგიის სხდომა. დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის:

კახიანი (ცეკა), მაშკევიჩი (ცეკა), მუშიშვილი (ც. კ. ბეჭდვითი განყ.), ძიგრაშვილი (ახ. ლ. კ. კ. ცეკა), რუხაძე (მთ. პოლიტგანი), ხაჭაპურიძე (ც. პ. ს. კ.), ჯაფარიძე ვ. (ქალთა განყ.), ასრიბეგოვი (ტ. კ.), 1-ლ რაიკომის აგიტპროპი, გეზა გოლდ (ცეკა), ჭელიძე (კულტგანი), ლომაძე (წერკუმსი), ერქომაიშვილი (ა. ლ. კ. მინა-ცაქ. კომ), ქეცხოველი (განათმშრ.), სულაქველიძე კოწია (ცეკა), საყვარელიძე (ცეკა), ოშიაძე (ცეკა), თათარიშვილი (ცეკა), მეძმარიაშვილი (ვან. კომის.), ჯაფარიძე ალ. (ორგ. განყ. ც. კ.).

ღრმად დამწუხრებული მამა ამბაკო, დედა მაკრინე, ძმები შალვა, პროკოფი და გრიშა, და ლუბა, რძლები ნინა, ტასია და ნინუცა და ბიძაშვილი სერგო მეგრელიშვილები აუწყებენ ნაცნობებს, ნათესავებს და ამხანაგებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, მათი საყვარელი

სანდრო (ალექსანდრე) ამბაკოს ძე მეგრელიშვილი

რომლის ცხედარი იქნება წაღებული დღეს, სამშაბათს, გურიაში. გამოსვენება საღამოს ხუთ საათზე ყოფილ ალექსანდრეს საავადმყოფოდან. დაკრძალვა მოხდება დაბა ჩოხატაურში ხუთშაბათს, 24 ივნისს. 1—1 ღ.

გულდამწვეარი დედა ნინო, და მარიამ, ძმები: ილია და იოსებ და რძლები კატო და ბაბალე ყოჩიაშვილები, მული ბაბალე ლუკაშვილისა, მაზლი პართენ ბოსტოღანიშვილი და დიდიაშვილი ტასო ბეზურიშვილი მახლობლებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ივნისის 19 ღამით გარდაიცვალა ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი

ანა გლახას ასული ყოჩიაშვილისა

დაკრძალვა მოხდება თბილისში ვერის ახალ სასაფლაოზე, სამშაბათს 5 საათზე. გამოსვენება ვერის, ნიკოლოზის ეკლესიიდან. 2883

მოულოდნელი უბედურებით თავზარდაცემული მეუღლე ალექსანდრე, შვილი მარგარიტა, დედა ელისაბედ და ნესტორ ფრუიძეები ღრმა მწუხარებით აცნობებენ ნათესავთ, ნაცნობთ, მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 20 ივნისს საღამოს 5 საათზე გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ქსენია მოსეს ასული ინწკირველი-ფრუიძისა

რომლის გამოსვენება მოხდება 24 ივნისს, ხუთშაბათს 4 საათზე ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან, კამოს ქუჩა № 103 დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. ქ. 2892

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი მშობლები მამა მოსე ნიკოლოზის ძე და დედა ნინა ინწკირველები შვილებით, მამიდა იედითი კობრეიძისა, მინიკა მჟავანაძისა, მაგდენა ხოსელიძისა, სოლომონი და რუსიეშვილისა და დეიდა პელაგეა ჟღენტისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 20 ივნისს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ქსენია მოსეს ასული ინწკირველი-ფრუიძისა

გამოსვენება მოხდება 24 ივნისს ხუთშაბათს 4 საათზე ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან, კამოს ქუჩა № 103 დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე ქ. 2892

სახაფხულო კინო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
საზაფხულო
აპოლო
(არტოს ბაღში, პლეხ. № 105).
ნოლეი
ნ. 1375 0—19

დღეს და ყოველდღიურათ
ახალი სურათი საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის სააქციონერო საზოგადოების ნაწარმოები
„მეცხრე ტალღა"
რეჟისორი ვლ. ბარსკი
ოპერატორი ა. ი. პოლიკევიჩი
მალე „რობინ გუდ" და „ნიბელუნგები"

საჯარო ვაჭრობა

27 ივნისს დღის 12 საათზედ სახალხო მამულთა ტრესტი გაჰყიდის მიმდინარე წლის

ხილის და სუფრის ყურძნის (ალექსანდრიის მუსკატი)

მოსავალს

პირობების გაგება შეიძლება სავაჭრო დარგში—ლუნაჩარსკის ქუჩა (ყოფ. ევანგულოვისა) № 2. ნ. 1414. 3—1

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

აცხადებს, რომ ა. წ. 24 ივნისს დღის 2 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის თომა დონაძეს და იმყოფება მე-10 მილიციის უბ. პლეხანოვის ქ. № 101 და შესდგება ხუთი დიდი სარკედან ჩარჩოებში, ზომით 2 არ. 3 ვერ. X სარ. 2 ვერშ. თითო შეფასებულია 100 მან. რა შეფასებიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა.

ქონება აწერილია აიკანუშ სურგულაძის და სხვ. პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 10 აპრილის 1926 წ. თარიღით № 1192 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ, ზემო-ნაჩვენ მისამართზე, სადაც შეუძლიათ მყიდველებს ქონების დათვალიერება ვაჭრობის დღეს. 2885

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფებს მიღება 12—2 საათ, დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს. მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჩორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში მოწამეთის ქუჩაზე სახლი № 37, 9 ივლისს 1926 წ. დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სერგო გოგინოვის ქონების გასასყიდათ. გაიყიდება: ბუფეტის შკაფი, სარკიანი პირსაბანი, სასადილო მაგიდა და სხვები სულ 195 მან. ნივთები.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1462

წალენჯიხა-ჩხოროწყუს უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ხ. მალაშხია

ამით აცხადებს, რომ 5 ივლისს, დღით 10 საათზე ს. ჭოლაში ზუგდიდის მაზრაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გერასიმე შენგელიას მოძრავი ქონების გასასყიდათ. გაიყიდება: ერთი ტანისამოსის შკაფი, ერთი მაგიდა და ერთი სახლი, შეფასებული 180 მანეთად ქ. ქუთაისის მცხოვ. იაკობი ქაშიბაძის ვალის დასაკმაყოფილებლად. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან. მსურველებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ვაჭრობის დროს ვალდებული გერასიმე შენგელიას სახლში. ნ. 1462

ქ. თბილისის მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს რომ ის 25 ივნისს 1926 წ. შუა დღის 3 ს. სახლში № 71 მე-8 სამილიციო უბანში 19 თებერვლის (რიყის) ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვაგარშაკ ნიკიტისძე ვართაპეტოვის ორ სართულიან ქვიტკირ სახლებს ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 23 მარტს 1925 წ., თარიღით № 853 და 25 აპრილს 1925 წ. თარიღით № 1413 გაცემულ სასამართლოს ბრძანებების ძალით „ლნოპრავლენიეს" და თამბაქოს ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად. ეს სახლები არის ძველი, დახურულია თუნუქით. აშენებულია ქალაქის მიწაზე, ზომით 218 ოთხ კ. საჟენი, ზემო სართულში არის 21 საცხოვრებელი ოთახი, ქვემო სართულში—ხუთი საცხოვრებელი ოთახი და ერთი სამრეცხველო. ამ სახლებში არის ერთი დიდი სარდაფი და ექვსი დარაბა. სახლებს აქვს წყალსადენი და კანალიზაცია, შეფასებულია იგი ორი ათას (2000) მანეთად, რომელ თანხიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს თბილისის ალმასკომის კომუნალურ განყოფილების და ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილების ცნობები იმის შესახებ, რომ არც მას, არც მის, მეუღლეს და არც მის არასრულწლოვანს შვილებს არა აქვთ ქ. თბილისში სახლები და უნდა მისცეს ხელწერილი მაში, რომ ამ პირებს არა აქვთ სახლები სხვა ადგილას. ქვ. 2893

წალენჯიხა-ჩხოროწყუს უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ხ. მალაშხია

ამით აცხადებს, რომ 5 ივლისს, დღით 10 საათზე ს. ჭოლაში ზუგდიდის მაზრაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მოძრავი ქონებისა ჭოლის თემის მცხოვრები, ყოფილ კოოპერატივ „გამოფხიზლება"-ს გამგეობის წევრი თადა შენგელიასი გაიყიდება: ერთი ხელის საკერი მაშინა, ნოხი ხავერდის, ერთი მაგიდა, ლამპა, მაგიდის სარკე და სახლი, დასაკმაყოფილებლად იაკობი ქაშიბაძის ვალისა. აწერილი ქონება შეფასებულია 200 მანეთად. საჯარო ვაჭრობა დაიწყება აღნიშნული თანხიდან და მსურველებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა, ვალდებული თადა შენგელაის ოჯახში ს. ჭოლაში. ნ. 1462

წალენჯიხა-ჩხოროწყუს უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ხ. მალაშხია

ამით აცხადებს, რომ 7 ივლისს, დილის 10 საათზე ს. ჭოლაში (ზუგდიდის მაზრაში) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მოძრავი ქონებისა ჭოლის თემის მცხოვ. ყოფილი კოოპერატივი „გამოფხიზლება"-ს. გამგეობის წევრის ალექსანდრე ნანკაიასი. გაიყიდება: 2 მაგიდა და ერთი სახლი; აწერილი ქონება შეფასებულია 150 მანეთს დასაკმაყოფილებლად ვალისა ქ. ქუთაისის მცხ. იაკობი ქაშიბაძისა. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და მსურველებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ვალდებულ ალექსანდრე ნანკაიას ოჯახში ს. ჭოლაში. ნ. 1462

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად.

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები. დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის.

თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის
კბილის სნეულებათა
კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
რენტგენის კაბინეტმა
შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

დ ა ბ რ უ ნ დ ა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ. (ლენინის და ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82. 25—1 ქვ. 2356

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და სად. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი"). გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 31—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 2215 3—1

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, სად. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. 537 25—12

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
დ. ა. ჩიხელაშვილი
და განაახლა შინაგან ავადმყოფების მიღება. სპეციალ.-ფილტვების სნეულებანი მიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 4—7 საათ. ქავჭავაძის ქ. № 9. 12—1 2858

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—2

ექიმი ნ. ტურიაშვილი
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—1

დაკარგე პირადობის მოწმობა, პარტიული მოწმობა სიღარიბის მოწმობა და სანდო პიროვნობის მოწმობა ვასილ მელიტონ-ძე გეგეშიძის სახელზე, ჩ. გ. 2882

დაკარგე პირადობის მოწმობა, ლომბარდის ქვითარი № 32995, მეტრიკული ამონაწერი კონსტანტინე ალფეზის ძე ბერაძის სახელზე, ჩ. გ, 2886

დაკარგე კავშირის წიგნაკი № 1428, შეღავათების მოწმობა № 81, საჰაერო ფლოტის საზოგადოების წიგნაკი № 4828 და რემედასის წიგნაკი № 1663, თევოზ გრიგორიანცის სახელზე, ჩ. გ. 2884

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი № 100 თინათინ ედიშერაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2895

დაკარგე 1925 წლის 11 ივლისს შეძენილი 1 აქცია, ღირებული 53 მან. და 50 კ. კოლია ბესარიონის ძე ბაქრაძის სახელზე, ჩ. გ. 1463

დაკარგე პირადობის მოწმობა № 457, გალაქტიონ მაჭარაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1463

დაკარგე პარტიული წიგნაკი, პირადობის მოწმობა და სხვა საბუთები ბიქტორ მელუას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1463

დაკარგე წლიური სამგზავრო ბილეთი № 46211, პირადობის მოწმობა № 22410 და კავშირის წიგნაკი № 7668, ეკატერინე ფურცელაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1462

დაკარგე მოწმობა, მოცემული სოც. უზრ. სახ. კომისარიატიდან № 6207, მიხეილ დემუროვის სახელზე, ჩ. გ. 2889

დაკარგე პირადობის მოწმობა, სახ. უნივერსიტეტის მიერ გაცემული და პირადი წიგნაკი ფორმა № 4 (§ 9) იოანე მიხეილის ძე თევდორაძის სახელზე, ჩ. გ. 2888

დაკარგულია სართიჭალის თემის ორგანიზაციის სოფ. მალხაზოვკის კომუჯრედის წევრების პირადი საქმეები შემდეგი ამხანაგების: 1) რემეზოვ ვასილი ალექსის-ძე პარტ. წევრი 1920 წლ. პარტ-ბილეთი № 490316. 2) ნოვიკოვ ნიკოლოზ ვასილის-ძე პარტ-წევრი 1920 წ. პარტ-ბილეთი № 490312. 3) სტრუჩალინ სტეპან მიხეილის-ძე პარტ-წევრი 1921 წლ. პარტ-ბილეთი № 501774 და 4) სტრუჩალინ ივანე მიხეილის-ძე პარტ-წევრი 1921 წლ. პარტ-ბილეთი № 501776, ზემო აღნიშნულ პარტ-ამხანაგებზე დაკარგული პირადი საქმეები ჩ. გ. 2896

ქ. თბილისის ალმასკომის ადგანყოფილების მმაჩში კონსტანტინე პეტრესძე სოლონჩენკომ შემოიტანა განცხადება მისი გვარის „სოლონჩენკო" შეცვლის შესახებ არგინით. 2891

დაკარგე მოწმობა მოცემული ახალციხის მაზრის სამხედრო კომისარიატიდან 1926 წლის 26 აპრილს № 551, რომ სრულიად განთავისუფლებული ვარ სამხედრო სამსახურიდან ავადმყოფობის გამო სვიმონ იოსების ძე კოშორიძეს სახელზე, ჩ. გ. 2887

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 64